

# მელორ ალფენიძე

## გარემოს პრობლემების ტერმინოლოგიური ცნობარი-ლექსიკონი

(პროცესები, ცნებები, განსაზღვრებები)

ანი-დან

ჰაე-მდე

თბილისი  
2011

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გეოგრაფიის პროგრამული მიმართულება

გარემოს პრობლემების

ტერმინოლოგიური

ცნობარი-ლექსიკონი

(პროცესები, ცნებები, განმარტებები)

თბილისი  
2011

UDK (უკ) 502(038)

ა-535

წიგნი ანბანზე დალაგებულ ლექსიკონ-ცნობარს წარმოადგენს, რომელიც გარემოს თანამედროვე პრობლემების ტერმინების განმარტებებს მოიცავს. წიგნს თან ერთვის ლიტერატურის სია.

ლექსიკონი-ცნობარი განკუთვნილია გარემოს პრობლემებით დაინტერესებული მკითხველების, პლანეტის ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენური გარდაქმნების შემსაწავლელი ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის. ლექსიკონი-ცნობარი, დამხმარე კონსპექტის სახით, გამოადგებათ უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, გეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს, საშუალო სკოლების მასწავლებლებს, ფართო საზოგადოებას.

რედაქტორები:

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ზაურ ლომთათიძე**

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ზურაბ სეფერთელაძე**

რეცენზენტები:

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**მერაბ გონგაძე**

ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**ილია გოროზია**

© მელორ ალფენიძე, 2011

ISBN 978-9941-0-3620-0

**ეძღვნება ჩემი ძვირფასი დედის -  
ტატუშა ფარნას ასული ხუბუა-  
ალფენიძის ნათელ ხსოვნას**

შესავალი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სისტემა მოიცავს დარგებს, რომელთა უმთავრესი ამოცანა ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესწავლას წარმოადგენს. ჩვენი პლანეტის განვითარების თანამედროვე პერიოდი, ბუნებრივ გარემოზე ძლიერი ზემოქმედების, მისი გაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების დეფიციტის ხანაა. ამიტომ, აქტუალურია რაციონალური ბუნებათსარგებლობის, ბუნებრივი მოვლენების მართვის ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი რესურსებით საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და გარემოს ოპტიმიზაციის მისაღწევად.

ბუნებრივი გარემო წარმოადგენს რა ადამიანთა საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის ფართო სააზპარეზო არენას, ბუნებრივ-ტექნოგენური სისტემის განუხრელ ფორმირებას განიცდის. ამ ახალ მდგომარეობას კი “არაბუნებრივი” გარემო შეესაბამება. მას თვისებრივად ახალი ნიშნები აქვს შეძენილი. მისი ოპტიმიზაციის კრიტერიუმები ახალი, ადრე უცნობი მდგომარეობების შეხამებათა შექმნას ემსახურება და კონსტრუქციული ამოცანის ამოხსნას განეკუთვნება.

ბუნებრივი გარემოს, როგორც რთული სისტემის მართვის მოდელების შემუშავება – კიბერნეტიკული ამოცანაა. ამიტომ, თავისი რეალიზაციისათვის იგი თანმიმდევრულ სისტემურ მიდგომას მოითხოვს. აღნიშნული თეორია ჯერ სრულყოფილად არაა ცნობილი. არც ბუნებრივი გარსის ერთიანი სისტემის რეგულირება-მართვის ეფექტური სადავეები გვიჭირავს ხელში. არადა, ბუნებრივი გარემოს ნეგატიური გარდაქმნები კოლოსალურ მასშტაბებს აღწევენ...

დაზიანებული ბუნება კი საფრთხეს უქადის მოსახლეობას. გეოეკოლოგიური რისკის წინაშეა პლანეტის ბუნებრივი სისტემები, ჩვენი ქვეყნის ზღვისპირეთები და მიმდებარე დაბლობები, ტყის ფრაგმენტები, მთიანეთები, დასახლებული არეალები. საფრთხე შეექმნა სოფლებსა და ქალაქებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სატრანსპორტო კომუნიკაციებს. სახეზეა გარემოს დეგრადაცია, ეკონომიკური ჩავარდნა და მეურნეობის სტაგნაცია.

ბუნებრივი გარემოს რღვევის შემცირება, რაციონალური ათვისება, დაცვა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება – თანამედროვეობის უმთავრესი ამოცანაა. ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის როგორც მთიანი, ისე "ანთროპოგენიზებული" რეგიონი მაღალი რისკების წინაშე დგას. ბუნების "ცხოვრების" წესებში გონივრული ჩარევისა და ოპტიმიზაციის მიზნით კი აუცილებელია გარემოს სისტემური წარმოდგენა. ჩვენი უმთავრესი მიზანიც აღნიშნული პრობლემების ღრმა გათავისება, ბუნების სტიქიური და ტექნოგენური ნაკადების სისტემური წარმოდგენა და გარემოს რეგულირება-მართვის ბერკეტების პრაქტიკაში გონივრული გამოყენების მიღწევაში მდგომარეობს.

ადამიანი-ბუნების "ანთროპოგენიზებულ" და კრიზისულ სისტემაში, არასახარბიელო მდგომარეობის თავიდან აცილება და "კომფორტის" მიღწევა, საზოგადოების რაციონალური გარდაქმნა და გარემოსთან შეგუება – ჯანსაღი მოსახლეობის, საღი გონების, დღეგრძელი და შინაარსიანი ცხოვრების პირობებშია შესაძლებელი.

ავტორ-შემდგენელი დარწმუნებულია, რომ წინამდებარე ცნობარი-ლექსიკონის მთავარი დანიშნულება ამ სასიცოცხლოდ წარმმართველი ფაქტორების სრულყოფილი აღქმა, გარემოს გონივრული სარგებლობის მიღწევა და ბუნებასაზოგადოების ჰარმონიის დამყარება, მომავალი თაობის ცნობიერებაში თავისი საცხოვრისის - ბუნებრივი გარემოს პატივისცემისა და მოვლის გათავისება წარმოადგენს.

**აბიოტური ფაქტორები** - არაორგანული ბუნების (კლიმატური, ჰიდროგრაფიული და ნიადაგური) კომპონენტები და ფაქტორები (ტემპერატურა, სინათლე, წყლები, ჟანგბადი, დედამიწის მაგნიტური ველი, ნიადაგები), რომლებიც ცოცხალ ორგანიზმებზე უშუალო (პირდაპირ) ან მეშვეობით ზემოქმედებას ახდენენ;

**აგროკლიმატური რესურსები** – კლიმატწარმომშობი ფაქტორების (ადგილის განედი, მზის რადიაციის მაჩვენებელი, აბსოლუტური სიმაღლე, ზღვის ან ოკეანის სიახლოვე და დინებები, რელიეფი, ქვეფენილი ზედაპირის ნიშნები – ტყიანობა, უდაბნო ან უტყეო მთები), კლიმატური პირობებისა და ჰავის კომპონენტების (ატმოსფერული ნალექები, ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ქარი) რაოდენობრივ-თვისებრივი მაჩვენებლები (ვეგეტაციურ პერიოდში ნალექების წლიური რაოდენობა, ტემპერატურათა ჯამი, უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა და სხვ. ფენოლოგიური ასპექტები), რომლებიც განაპირობებენ ან/და გავლენას ახდენენ მეურნეობის განვითარების მსვლელობაზე;

**აგროფიტომელორაცია** - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა (ბუჩქებისა და ხე-მცენარეების დარგავა, ტყის ზოლების, აგრეთვე მდელოების ან სხვა მცენარეთა ფრაგმენტების შექმნა) სისტემა, რომელიც მიმართულია ნიადაგური, ჰიდროლოგიური კლიმატური პირობების გაუმჯობესებისა და, საბოლოო ჯამში, სოფლის მეურნეობის ხელსაყრელი წარმართვის მიზნით;

**აგროქიმიკატები** – სასუქები, ქიმიური მელიორანტები, საქონლის საკვების დანამატები და სხვანი, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა ზრდის, ნიადაგების ნაყოფიერების რეგულირებისა და ცხოველთა დამატებითი საკვები პროდუქტების მისაღებად;

**ადამიანი და ბიოსფერო** – ბუნებრივი რესურსების მართვის პრობლემების ფუნდამენტალური კვლევების კოორდინაციის სამთავრობათშორისო პროგრამა, რომელიც მიიღეს იუნესკოს გენერა-ლური კონფერენციის მე-16 სესიაზე, შედგება 14 პროექტისაგან, მოიცავს ადამიანის მრავალმხრივი საქმიანობის, პლანეტის ძირითადი ბიომებისა და მთლიანად გარემოს შესწავლას;

**ადმინისტრაციის ზონა (ეროვნულ პარკში)** – ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განთავსების მიზნით ეროვნულ პარკში შექმნილი ერთ-ერთი ზონა;

**აეროზოლი** – აიროვან გარემოში შეფრქვეული მყარი (კვამლი, ჭვარტლი) ან თხევადი (ნისლი) ნაწილაკები, რომლებიც ატმოსფეროს შემადგენლობაში იმყოფება და მიღებულია სამრეწველო საწარმოებიდან ან ბუნებრივი წყაროებიდან (ვულკანები, ჰეიზერები, ქანების ნგრევის პროდუქტები), ასევე მტვროვანი ქარბუქის, ნიადაგის ეროზიის, ხანძრებისა და სახიფათო ქიმიურ გამაბინძურებლებს წარმოადგენენ;

**აეროვიზუალური დეტალური თვალთვალი ტყეების** - ტყის ფონდების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, საჰაერო აპარატურის გამოყენებით, დეტალური თვალთვალი მოიცავს ტყის განსაკუთრებულ უბნებზე ხანძრების საავიაციო დაცვის ან მავნე მწერების მასიური გამრავლების უბნების აღმოჩენისა და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შემუშავებას;

**აეროვიზუალური თვალთვალი ტყეების** – ტყის ფონდების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით საჰაერო ხომალდებისა და სხვა აპარატურის გამოყენებით დაკვირვებების (პატრულირების) ჩატარება, რომელიც მოიცავს ზოგადი თვალთვალის (ტყის სანიტარული მდგომარეობა და კონტროლი) ჩატარებას, ხანძრებისა და მავნე მწერების გავრცელების კერების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას;

**აეროვიზუალური სატყეო-პათოლოგიური დეტალური თვალ-თვალი ტყეების** - ტყის ფონდების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით აეროვიზუალური სატყეო-პათოლოგიური დაკვირვებების ჩატარებებისა და შესწავლის განხორციელება, რომელიც მოიცავს საჰაერო აპარატების გამოყენებით, სპეციალური ექსპედიციების მიერ ტყის განსაზღვრული ფართობის დაზვერვითი საქმიანობის ჩატარებას;

**აეროკოსმოსური შემოწმება-გამოკვლევა** – გარემოს ობიექტების უნარ-თვისებებისა და მათი ნეგატიური ცვლილებების შესწავლის მიზნით დისტანციური მეთოდებით ფოტოგრაფირების (აერო-ფოტო გადაღება) ან კოსმოსური აგეგმვა-კარტირების ჩატარება, რომელთა პრაქტიკული უზრუნველყოფა წარმართება სპეციალური აპარატურისა და მოწყობილობის (შვეულმფრენები, თვითმფრინავები, პილოტირებული ან უპილოტო კოსმოსური ხომალდები, ორბიტალური სადგურები) მეშვეობით;

**ავარია** – განსაზღვრული ტერიტორიის ობიექტების (მიწისქვეშა შახტები, სასაწყობე და საცავი ნაგებობები, აგრეთვე სამთო გამონამუშევრები, სატრანსპორტო გვირაბები და რეკრეაციული მღვიმეები) ან აკვატორიის (ჰიდროტექნიკური, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი ან მათი ინფრასტრუქტურა) ნაგებობების ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში უეცარი ან ნაწილობრივი ტექნოგენური (ხელოვნური) შემთხვევების წარმოქმნა, როცა მოსალოდნელია: შენობებისა და ნაგებობების ნგრევა; საწარმოო ინფრასტრუქტურის მოშლა; სატრანსპორტო და საწარმოო პროცესების დარღვევა; გარემოზე შესამჩნევი ზარალის მიყენება და ადამიანის ჯანმრთელობის დაქვეითება;

**ავარია ბიოლოგიური** - ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის საშიში ბიოლოგიური ნივთიერებების გარემოში მავნე რაოდენობით გაბნევა, როცა საფრთხის ქვეშაა მოქცეული მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სასოფლო-სამეურნეო ობიექტები (საქონელი, კულტურული მცენარეები), ბუნებაში



არსებული ცხოველები და მცენარეულობა, ან კიდევ საკმაოდ დიდია ბუნებრივი გარემოს ზიანისა და ზარალის მიყენების მუქარა;

**ავარია ეკოლოგიური** - მავნე ნივთიერებების ბუნებაში გადაყრა ან მათი გაჟონვა და მოხვედრა ან სხვა ტექნოლოგიური დარღვევა, რომელიც გარემოს ძლიერ ეკოლოგიურ ნეგატიურ ცვლილებებს იძლევა;

**ავარია რადიაციული** - რადიაციული თვალსაზრისით გარემოს სახიფათო ობიექტებზე მოწყობილობების გაუმართაობის, ან პერსონალის არასწორი მოქმედების შედეგად სტიქიური უბედურებითა და სხვ. მიზეზებით წარმოქმნილი ნეგატიური ტექნოგენური შემთხვევები, როცა ადამიანთა დასახიჩრებისა და დიდი მსხვერპლის წარმოქმნას აქვს ადგილი, ხდება მათი ჯანმრთელობის შერყევა ან ბუნების ობიექტების ნგრევა და განადგურება, ბუნებრივი გარემოს სერიოზული შერყევა;

**ავარია ქიმიური** - ქიმიურად საშიში ობიექტის ნგრევა, როცა ადგილი აქვს სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ობიექტის გარეთ გამოშვებას, რასაც მოსდევს: ადამიანების ქიმიური დასნებოვნება, სურსათის ან საკვები ნედლეულის ან კიდევ სილოსის მოწამვლა, ასევე სასოფლო ცხოველებისა და მცენარეების დაღუპვა, ბუნებრივი გარემოს სერიოზული ნეგატიური გზით განვითარება;

**ავიაციით ტყეების პატრულირება** - ტყეების ხანძრებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვის, მათი სანიტარული მდგომარეობის დადგენის, ავადობისა და მავნებლობის კერების გამოვლენის მიზნით - წინასწარ შემუშავებული მარშრუტების გასწვრივ და უბნების (ფართობების) ფარგლებში, სპეციალური საჰაერო ხომალდებისა და აპარატურის გამოყენებით, ფრენების (ტრასირების) ჩატარება, გარემოს ობიექტების მდგომარეობათა შესწავლა;

**ალარმიზმი** - ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ბუნების კატასტროფიული დეფორმაციების, ადგილობრივი (ლოკალური) უბნების ან გლობალური გავრცელების ფართო

ხასიათის კრიზისების გადაუდებელი ნორმალიზების მიზნით გადამწყვეტი ღონისძიებების მიღების აუცილებლობის შესახებ ყურადღების აქცენტირება;

**ალტერნატიული ენერჯეტიკა** – კრებსითი ცნება ენერჯის არატრადიციული აღდგენადი წყაროების (მზის, გეოთერმალური, ქარის, მოქცევების, ტალღების) შესახებ;

**ალტერნატიული მიწათმოქმედება** – ადვილადხსნადი მინერალური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების გარეშე, აგროტექნიკურ მეთოდებზე ორიენტირებული მიწათმოქმედება;

**ანთროპოგენური გაბინძურება** – ადამიანთა ბიოლოგიური არსებობისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგად ბიოსფეროს გაჭუჭყიანება, საზოგადოების პირდაპირი ან მეშვეობითი მოქმედებებით ბუნების გაბინძურების ინტენსიურობის გამოწვევა;

**ანთროპოგენური დატვირთვა** - ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ბუნებრივ გარემოზე, მის ცალკეულ კომპონენტებსა და ელემენტებზე უშუალო (შეგნებული) და არაპირდაპირი (შეუცნობელი) ზემოქმედებათა ხარისხობრივი ერთობლიობა;

**ანთროპოგენური ზემოქმედება ბუნებაზე** – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ბუნებრივ გარემოზე უშუალო (შეგნებული) და არაპირდაპირი (შეუცნობელი) ზემოქმედებები, რომლებიც იწვევენ გარემოს ობიექტებისა და ბუნებრივი ლანდშაფტების ძლიერ ნეგატიურ ცვლილებებს;

**ანთროპოგენური ზემოქმედებები** - ადამიანის მიერ პირდაპირი შეგნებული ან მეშვეობითი ზემოქმედება და მისი სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური შედეგები, რომელთა მიერ გარემოსა და ლანდშაფტების მკვეთრი ცვლილებები წარმოიქმნება;

**ანთროპოგენური ლანდშაფტი** – დედამიწის ხმელეთის მნიშვნელოვან ნაწილში ფორმირებული გეოგრაფიული ლანდშაფტი, რომლის წარმოშობა ადამიანის მიზანდასახული ან წინასწარ განუსაზღვრელი საქმიანობის შედეგადაა ფორმირებული,

როცა ბუნებრივი ლანდშაფტის არსებით გარდაქმნას (ბუნებრივ-საწარმოო კომპლექსები, საქალაქო დასახლებები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები) აქვს ადგილი;

**ანთროპოგენური პროცესები** – ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული უშუალო (რელიეფის ხელოვნური ფორმების წარმოქმნა, ბუნებრივი ფორმების გარდაქმნა ან განადგურება) და მეშვეობითი (ბუნებრივი პროცესების აღძვრა ან გაძლიერება, რომლებსაც ნეგატიური ცვლილებები მოაქვს) პრო-ცესების ერთობლიობა;

**ანთროპოგენური სიცარიელები** – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ქვაბულები, კარიერები, გამო-მუშავებული შახტები, შტოლნები, მიწისქვეშა სიღრუეები, ჭები და ჭაბურღილები;

**ანთროპოგენური სტრესი** – ადამიანთა ნეგატიური სამეურნეო საქმიანობის შედეგად ცხოველთა სამყაროში გამოწვეული ქცევის დარღვევები;

**ანთროპოგენური ფაქტორი** – ადამიანის მიერ ბუნებრივი გარემოს როგორც არაცოცხალ (ხმელეთის, წყლების, ჰაერის, წიაღის) გარემოზე, ისე ცოცხალ ორგანიზმებზე უშუალო გავლენა ან მათი საარსებო პირობებისა და საბინადრო გარემოზე ზემოქმედება ან მათი შეცვლა. განასხვავებენ: დედამიწის ზედაპირის სტრუქტურის, ბიოსფეროსა და მისი შემადგენელი ნივთიერებების წრებრუნვებისა და ბალანსის, რეგიონების (ტერიტორიების) ენერგეტიკული და სითბური ბალანსის, ბიოტის შემცველობისა და სხვ. ცვლილებებს;

**ანთროპოეკოსისტემა (სოციოეკოსისტემა)** – ადამიანთა საზოგადოების ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ფუნქციონალური ბუნებრივ-სივრცობრივი სისტემა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების თანასაზოგადოებებისაგან და მათი ბინადრობის გარემოსაგან (ბიოტიპისაგან) შედგება;

**ანთროპოქორია** – ადამიანის არაწინასწარგანსაზღვრული მოქმედებით გამოწვეული სოკოებისა და მცენარეების ჩანასახების გავრცელების მოვლენა;

- ანთროპოცენტრიზმი** – შეხედულებათა ერთობლიობა, რომლის მიხედვით ადამიანის მიერ გარემოს გარდაქმნის საქმიანობათა მიზნები და მოქმედებები გარემოს მდგომარეობის ცვლილებებთან შეუთანხმებლად მიმდინარეობს;
- აღდგენის ზონა (ეროვნულ პარკში)** – ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტებისა და ტერიტორიების დაცვა-აღდგენის მიზნით ეროვნულ პარკში შექმნილი ერთ-ერთი ზონა;
- აღკვეთილი (ნაკრძალი)** - ტერიტორიის ან აკვატორიის უბანი (გეოლოგიური, ფაუნისტური, ფლორისტიკული), რომლის ფარგლებში ცოცხალი ორგანიზმების განსაზღვრული სახეობების, ბიოგეოცენოზების, ეკოლოგიური კომპონენტების, სარეწი ცხოველების შენახვისა და აღწარმოების, პეიზაჟებისა და სხვ. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაცვის უზრუნველსაყოფად, მუდმივად ან დროებით აკრძალულია სამეურნეო საქმიანობის ცალკეული ფორმები;
- აღკვეთილი** – დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში ან მის გარეთ არსებული ეროვნული მნიშვნელობის, არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, მათი აღდგენითი და მოვლითი საქმიანობების ჩატარების მიზნით ეროვნული ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ტერიტორია და/ან აკვატორია, სადაც საფრთხის ქვეშაა მოქცეული ცოცხალი ორგანიზმების იშვიათი, უნიკალური ადგილობრივი და მიგრირებადი ველური სახეობები, სახეობათა ჯგუფები, ბიოცენოზები, ეკოსისტემების კომპონენტები;
- აღკვეთილი ბუნებრივი** – ბუნებრივი კომპლექსების ან კომპონენტების აღდგენა-დაცვის ან ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია (აკვატორია).

## ბ

- ბენზ(ა)პირენი** - პოლიციკლური, არომატული ნახშირწყალბადების ჯგუფის ნაერთი, ფართოდ გავრცელებული კანცეროგენული ნივთიერება, რომელთა წარმოქმნას ადილი აქვს წარმოების აიროვან ნარჩენებში, ავტომობილების გამონაბოლქვებში, თამბაქოს ბოლში, საკვების წვის პროდუქტებში;
- ბეჭდვა ოფსეტური** - დაბეჭდვის ხერხი, როცა გამოსაცემი ტექსტის ან ნახაზების დიდი ტირაჟით ქალაქდზე გადატანას საღებავების გამოყენებით ასრულებენ. ოფსეტურ ბეჭდვას, როგორც წესი, ნარჩენების გაჩენა მოსდევს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საღებავებს შეიცავს და გარემოსაც შესამჩნევად აბინძურებს. მსგავსი საწარმოები საჭიროებენ გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას;
- ბიოგაზი** - გაზების ნარევი, რომელიც მოიცავს მეთანსა (55-65 %) და ნახშირბადის დიოქსიდს (35-45 %), წარმოიქმნება ორგანული ნარჩენების (ნაკელი, მცენარეული ნაგავი, ჩალა) ანაერობული გახრწნის შედეგად.
- ბიონდიკატორი** - ერთი სახეობის ჯგუფის არსებობისა ან მდგომარეობის, ან კიდევ, ქცევის მიხედვით გარემოს ბუნებრივი ან ანთროპოგენური ცვლილებების განსაზღვრა;
- ბიონდიკაცია** - ორგანიზმების საბინადრო გარემოს ხარისხის ან ცალკეული მახასიათებლების შეფასება ბუნებრივ პირობებში მისი ბიოტის მდგომარეობის მიხედვით. ანთროპოგენური ფაქტორის მოქმედების შედეგად გარემოს ცვლილებების აღრიცხვის მიზნით ადგენენ ინდიკატორული ორგანიზმების ნუსხას;
- ბიოლოგიურად დასაშვები გადანაყრები** - ბუნებრივი გარემოს გაბინძურება, როცა ცოცხალი ორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობისა და რაოდენობის (რიცხოვნების) ნეგატიურ ცვლილებას ადგილი არა აქვს;

**ბიოლოგიურად სახიფათო ნარჩენები** - ადამიანური ან ცხოველური წარმოშობის (კვების ნარჩენების გარდა) ნებისმიერი სახის (ქსოვილები, ორგანოები, სისხლის ელემენტები, გამონაყოფები, ნახვევები) ნივთიერებები, რომლებიც შესაძლოა გამოდგნენ როგორც პათოგენური ორგანიზმების გაჩენის წყაროები და მოითხოვენ აუცილებელ უტილიზაციას;

**ბიოლოგიური გაბინძურება ნიადაგების** – ორგანული გაბინძურების შემადგენელი ნაწილი, რომელიც განპირობებულია ინფექციური და ინვაზიური (პარაზიტებით დასნებოვნება) დაავადებების დესემინაციით, ასევე მავნე მწერებითა და ტკიპებით, ასევე ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების გადამტანებით – ავადობის გამომწვევებით;

**ბიოლოგიური გაწმენდა ბინძური წყლების** – გაბინძურებული წყლების გაწმენდის მეთოდი - წყალმარჩხი გუბურების, ბიოფილტრების საშუალებითა და მიკროორგანიზმები-საპრობიონტების გამოყენებით ამ წყლებიდან ორგანული ნივთიერებების მინერალიზაციას ან მათ გამოტანას აქვს ადგილი;

**ბიოლოგიური გუბურა (ტბორი)** – გაბინძურებული წყლების გაწმენდის მიზნით ბუნებრივ პირობებში ხელოვნურად შექმნილი და გამოყენებული წყალსატევი;

**ბიოლოგიური თვითგაწმენდა** – ბიოსფეროს მიერ გამაბინძურებელი ნივთიერების მავნე ზემოქმედების ნეიტრალიზაციისა და ეკოსისტემის ხარისხის (თვისების) აღდგენის უნარი;

**ბიოლოგიური ინდიკაცია წყლის** – წყალში არსებული ორგანიზმების (გაბინძურების ინდიკატორი) მიხედვით ამ ობიექტის ხარისხის დადგენა;

**ბიოლოგიური ფილტრი** – გაბინძურებული წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, რომელშიც გასაწმენდი მასების გაწმენდის პროცესი შემდეგ პრინციპებს ექვემდებარება: თანდათანობითი გასუთავება; აქტიური მიკრობიოლოგიური აფსკიანი ფილტრების გამოყენება; გამწმენდი ორგანიზმების სპეციალურად თავმოყრილ სივრცეში ბინძური წყლების გაშვება;

- ბიოლოგიური მეთოდი ქვიშების (გრუნტების) დამაგრების** – ადვილად მოძრავი გრუნტების ზედაპირის დამაგრების მიზნით, ნიადაგგრუნტის დაცვის მექანიკური ან სხვ. ხერხების გამოყენების გარეშე ან მათთან შესაბამისობაში ბალახეული მცენარეულობის დათესვა, ხე-ტყისა და ბუჩქნარის დარგვა;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნება** – ცოცხალი ორგანიზმების ვარიაბელურობა (რაიმე ასპექტის ქონის უნარი), რომელიც სახეობრივ დონეზე მოიცავს მათ ორგანულად დაკავშირებულ მიწისზედა, ზღვიურ და წყლის ეკოსისტემებს;
- ბიოლოგიური რესურსები** – ადამიანთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასათვის აუცილებელი, ცოცხალ ბუნებაში დაცული ენერგომასების შემცველი, სამკურნალო თვისებების ან მიმზიდველი სანახაობის, ასევე გენეტიკური ნიშნების მქონე ორგანიზმები ან მათი ნაწილები, პოპულაციები ან ეკოსისტემის სხვა ბიოტური კომპონენტები, კულტურული მცენარეულობა, შინაური ცხოველები, ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები, რომლებსაც კაცობრიობისათვის სარგებლიანობა ან ღირებულება გააჩნიათ;
- ბიოლოგიური ტესტირება წყლის** – წყლის ხარისხის შეფასება მისი ორგანიზმების (ტესტ-ობიექტები) საპასუხო რეაქციის მიხედვით;
- ბიომასა** - ნებისმიერი ორგანული (ხეები, მცენარეთა მშრალი ან სხვა ორგანული ნარჩენები) მასალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სათბობის სახე;
- ბიომი** – ბიოსფეროს მსხვილი რეგიონული ან სუბკონტინენტური ქვედანაყოფი, რომელიც ხასიათდება ამა თუ იმ მცენარეულობის ძირითადი ტიპით ან გააჩნია განსზღვრული ბუნებრივი ზონის ან სარტყლის ორგანიზმების ჯგუფებისა და მათი საარსებო გარემოს ერთიანობა. მაგ., სტეპები ან ტაიგა ზომიერ სარტყელში, არიდულ არეალის უდაბნო;

**ბიომრავალფეროვნება ცხოველთა სამყაროს** – რომელიმე ერთი სახეობის, სახეობათა შორისა და ეკოლოგიური სისტემებში არსებული ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება;

**ბიომრავალფეროვნების კონვენცია (1992 წ)** – წარმოადგენს ერთ-ერთ გლობალურ და მრავალმხრივ კონვენციას (ხელმოწერა 1992 წლის 5 ივნისი, ძალაშია 1993 წლის 29 დეკემბერიდან). კონვენციის უმთავრეს მიზნებად განცხადებულია ეკოსისტემის მრავალფეროვნების დაცვა, მისი კომპონენტების გამოყენების, სამართლიანი და თანაბარი სარგებლობის ერთობლივი მიღების აღიარება, გენეტიკური რესურსების ათვისებაში ყოველმხრივი (ამ რესურსებთან დაშვებისა და აუცილებელი ტექნოლოგიების უფლებების გადაცემა, შესაბამისი დაფინანსება) ხელშეწყობა;

**ბიოსფეროზე ადამიანის გავლენა** – პროცესი, როცა ბიოსფეროში ატომების მიგრაცია, ბუნებრივ ბიოგეოქიმიურ პროცესებთან შედარებით სწრაფად მიმდინარეობს და, ამავე დროს, არაორგანულ გარემოში ადგილი აქვს გარე დატვირთვების გაძლიერებას, რომლის შედეგად ახალი ტიპის სფეროს – ნოოსფეროს (ბიოსფეროს ევოლუციის უმაღლესი სტადია, ე. ლერუა, პ. შარდენი, ვ. ვერნადსკი) აქვს ადგილი;

**ბიოსფეროს გამაბინძურებელი** - ბიოსფეროზე ნეგატიურად მოქმედი ნებისმიერი ტექნოგენური და/ან ბუნებრივი გამაბინძურებელი (მათ შორის, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენები). შენიშვნა: ზემოქმედება შეიძლება იყოს ანთროპოგენური, ფსიქო-ფიზიოლოგიური, მექანიკური ან ინფორმაციული ხასიათის. ბიოსფეროს გამაბინძურებელთა შორისაა ნივთიერებები და მასალები, რომლებმაც გაიარეს მუშაობის ვადა ან მოხვდნენ წუნდებულთა შორის და წამოადგენენ მყარ, პასტისებრ, თხევად, აირისებრ ან/და სხვ. მდგომარეობებში მყოფ მასალებს;

**ბიოსფერული რეზერვატი** – განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორია (70 ქვეყანაში გამოყოფილია 300 უბანი) დედამიწის ძირითადი ბიომების ეტალონური



ფართობებით, რომლებიც გამოყოფილია ბუნებრივი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის, ბუნების, სასიცოცხლო გარემოს, ბუნებრივი პროცესებისა და ბიომრავალფეროვნების დინამიურ-თვითრეგულირებად მდგომარეობაში შენარჩუნებისა და დაცვის, გარემოს გლობალური მონიტორინგის, მეცნიერული კვლევის, რეკრეაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მიზნით და წარმოადგენენ შედარებით ფართო ტერიტორიას, რომელზეც მოცემულია საერთაშორისო ღირებულების მქონე ერთი ან რამდენიმე ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური ობიექტი: ბიომების წარმომადგენლობითი ბუნებრივი ნიმუშები; განსაკუთრებული ბუნებრივი წარმონაქმნების მომცველი გამორჩეული მნიშვნელობის ტერიტორიები; მიწათსარგებლობის ისტორიულ პროცესში წარმოქმნილი ჰარმონიული ლანდშაფტების ნიმუშები; ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენის მიზნით ჯერ კიდევ ვარგისი სახეცვლილი და დეგრადირებული ლანდშაფტები. ბიოსფერული რეზერვატის აღიარებას იუნესკოს "ადამიანი-ბიოსფეროს" პროგრამის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო ახდენს;

**ბიოსფერული რეზერვატის ძირითადი ზონები** – ბიოსფერული რეზერვატის ზონებია: ბირთვი ანუ ბუნების მკაცრი დაცვის (დასაშვებია მხოლოდ მეცნიერული არამანიპულაციური დაკვირვებები) ზონა, ბუნების მართვადი დაცვის (მანიპულაციების) ანუ ბუფერული (დასაშვებია კვლევა-ძიების, გარემოს დაცვისა და აღდგენითი საქმიანობა) ზონა, აღდგენისა (დასაშვებია ანთროპოგენიზაციის შედეგად დაზიანებული ტერიტორიების დაცვა და აღდგენა) და ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის (დასაშვებია განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული სამეურნეო გამოყენება) ზონა;

**ბიოტექნოლოგია** – ტექნოლოგიის ნებისმიერი სახე, დაკავშირებული ბიოლოგიური სისტემების, ცოცხალი ორგანიზმების ან მათი დამზადების წარმოების ან პროდუქციის ცვლილების

ან პროცესების გამოყენებასთან, რომელიც მათი კონკრეტული ათვისების მიზანს ემსახურება;

**ბიოტოპი** - დედამიწის ზედაპირის რაიმე ფრაგმენტი, რომელიც თავისი ასპექტებით მიმდებარე უბნებისაგან განსხვავებულია და ცოცხალი ბუნების საკუთარი ბიოცენოზით, ბიოგეოცენოზით ან ლანდშაფტური ფაციესით ხასიათდება. მაგ., მარჩხი წყლის შლამიანი ფსკერი, ხრამის თიხოვანი ფერდობი, ქვიშიანი ჭალის ბრტყელი ან ტალღობრივი ზედაპირი;

**ბიფენილები პოლიქრომირებული** - მრეწველობაში გამოყენებული ტოქსიკური ნაერთები, რომელთა ნეგატიური გავლენა (მცირე კონცენტრაციის დროსაც) აშკარაა ზღვის ფლორისა და ფაუნისათვის, აქვთ ორგანიზმში აკუმულაციისა და ტროფიულ რგოლებში მიგრირების (ყოველ შემდგომ რგოლში მისი კონცენტრაცია მატულობს, მათი უმეტესი ნაწილი გროვდება მტაცებელთა ორგანიზმში) უნარი, რასაც შეუძლია კანისა და სხვ. დაავადებების გამოწვევა და (მაღალი დოზის შემთხვევაში) ადამიანის ლეტალური შედეგის გამოწვევა;

**ბოლი (კვამლი)** – ბუნებრივ გარემოში მყარი ან თხევადი ნივთიერებათა არასრული წვისას წარმოქმნილი აეროზოლი;

**ბოლი თამბაქოს** - გაზებისა და აეროზოლების ნარევი, რომელიც ხასიათდება რამდენიმე ათასი ნივთიერების შემცველობით, რომელთა შორის უმთავრესია ნახშირწყალბადები, სპირტები, ფენოლები, ნიკოტინი, ნახშირბადის ოქსიდი, დარიშხანი, ამიაკი, აზოტის ოქსიდი, გოგირდწყალბადი, ბენზ(ა)პირენი, კადმიუმი, ქრომი, ფორმალდეჰიდი, რადიოაქტიური პოლონიუმი, სხვადასხვა მჟავები და სხვები, რომლებიც იწვევენ მრავალ სახიფათო დაავადებას. ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების რისკი მატულობს შემდეგი რიგის მიხედვით: პასიური მწევლები - ჩიბუხით მწევლები - სიგარეტის მწევლები - სიგარეტის მწევლები;

**ბონიტეტი** – ბიოლოგიური ობიექტებისა და მიწის სავარგულების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი და მეურნეობრივად ღირე-

ბული წარმონაქმნების განსხვავების მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების შედარებითი დახასიათება;

**ბონიტირება** – ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსების, მათი ტერიტორიული შეხამების, ერთიანობის ან ცალკეული სამეურნეო ღირებულებების ხარისხობრივი შეფასება;

**ბონიტირება ნიადაგის** – მიწების ეკონომიკური შეფასების, კადასტრირების ან მელიორაციის მიზნით უმთავრესი აგრონომიული ასპექტების მიხედვით ნიადაგების შედარებითი დახასიათება;

**ბონიტირება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების** – საქონლის სანაშენო ან პროდუქტიულობის მიხედვით და მათი ჯიშების ფასეულობის განსაზღვრის მიზნით სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შეფასება;

**ბრაკონიერება** – ველური ცხოველების გადამეტებული რეწვა ან განადგურება, ნადირობისა და თევზჭერის წარმოება ბუნებადაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნილებათა დარღვევით;

**ბუნებადაცვითი ობიექტი** – ნაგებობები და მოწყობილობანი (წყლების გამწმენდი, ნარჩენების შემკრები სისტემა ან მათი დაწვა-გადაბუგვის დანადგარები), რომელთა მიერ გარემოს გაბინძურებისაგან დაცვას მიმართავენ;

**ბუნებადაცვითი ღონისძიებები** – სამეურნეო საქმიანობის სახეები, მიმართული გარემოს ნეგატიური ზემოქმედებების შემცირებისა და ლიკვიდაციისაკენ, აგრეთვე რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური ათვისებისაკენ, რომელიც მოიცავენ:

- გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლოატაციას;
- მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების განვითარებას;
- საწარმოებისა და სატრანსპორტო ნაკადების სისტემების მოწყობა-განთავსებას ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად;
- მიწების რეკულტივაციას;
- ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებებს;

- ფლორისა და ფაუნის დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებების რეალიზაციას;
- წიაღისა და მინერალური რესურსების დაცვის ღონისძიებების შემუშავებასა და დანერგვას;

**ბუნებათმოსარგებლე** – ამა თუ იმ დატვირთვით, ბუნებრივი რესურსებისა და საცხოვრებელი (საარსებო) პირობების მომხმარებელი ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, საწარმოო ან სამეურნეო დაწესებულება, საზოგადოება ან ნებისმიერი ადამიანი;

**ბუნებათსარგებლობა** – საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის გონივრული წარმართვა, რომელიც მიმართულია გარემოს მატერიალური სიმდიდრის მიღების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისებისა და სარგებლობისაკენ;

**ბუნებათსარგებლობა არარაციონალური** - ბუნებათსარგებლობის სისტემა, რომლის დროს: **ა.** უმეტესად ადვილად ხელმისაწვდომი ბუნებრივი რესურსების დიდი რაოდენობით ათვისებას, მათი სწრაფი გამოლევა და დაუძლურება მოსდევს; **ბ.** ადგილი აქვს დიდი რაოდენობის ნარჩენების გამოყოფას; **გ.** ბუნებრივი გარემო ძლიერ ბინძურდება;

**ბუნებათსარგებლობა რაციონალური** - ბუნებათსარგებლობის სისტემა, რომლის დროსაც: **ა.** მოპოვებული ბუნებრივი რესურსების მთლიანი ათვისება განაპირობებს მათი მოხმარებადი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანას; **ბ.** უზრუნველყოფილია განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგენა; **გ.** მიღწეულია წარმოების ნარჩენების მთლიანი და მრავალჯერადი გამოყენება. რაციონალური ბუნებათსარგებლობის სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს გაბინძურებას;

**ბუნებათსარგებლობა ტრადიციული** - გარემოს ათვისების ისტორიულად ჩამოყალიბებული მეთოდები და მიდგომები, როცა განახლებადი ბუნებრივი რესურსების ბალანსირებული ათვისება მიმდინარეობს მათი მდგრადი აღწარმოების უნარის შენარჩუნებით;

- ბუნებათსარგებლობის ინტენსიურობა** – ბუნებრივი რესურსების საზოგადოებისათვის სასარგებლო გამოყენების (ათვისების) ხარისხი და მისი ეფექტიურობის საზომი ერთეული;
- ბუნებათსარგებლობის ინტენსიფიკაცია** – მეურნეობაში ჩართული ბუნებრივი რესურსების კონკრეტული და ინტეგრალური სიდიდეები, რომლებიც ეკონომიკური დანახარჯების ზრდის პირობებში განიცდიან საზოგადოებრივი წარმოების მატერიალურ-ენერგეტიკული და სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებასა და დიდი რაოდენობის სასარგებლო პროდუქტის მიღებას;
- ბუნებათსარგებლობის ლიმიტი** - ეკოლოგიური შეზღუდვის სისტემა, რომელიც ყოველ ბუნებისმოსარგებლეს ავალდებულებს დაიცვას: ბუნებრივი რესურსების გამოყენების ან მოპოვების ზღვრული მოცულობები; გარემოში გამაბინძურებელი ნარჩენების გადაყრის ან შეფრქვევის სიდიდეები; წარმოების ობიექტების განლაგების საზღვრები;
- ბუნებათსარგებლობის ობიექტი** – არსებული ან გეგმის მიხედვით მოსალოდნელი ტექნოლოგიების ფარგლებში, კონკრეტული ბუნებრივი რესურსების სივრცებრივად შემოსაზღვრული კომპლექსი, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი რესურსების ურთიერთგანპირობებული ათვისებაა, როცა სახეზეა მეურნეობისა და მისი სპეციალიზაციის განვითარების, ასევე ტექნიკური, მატერიალური და შრომითი რესურსების უზრუნველყოფის შედარებით ერთგვაროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები;
- ბუნების გარდაქმნა** – ბიოლოგიური პროდუქტიულობისა და ბუნებრივი კომპლექსების სამეურნეო მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით ბუნებრივი გარემოს ხელოვნური შეცვლა და ახალ მდგომარეობაში გადაყვანა, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური ფუქციების ან მათი შესრულების ეფექტიურობის ამდლების უზრუნველყოფას;
- ბუნების დაცვა** – საერთაშორისო და სახელმწიფო, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების მიხედვით განხორციელებული

ადმინისტრაციული, პოლიტიკური, სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა (კომპლექსი), რომლის მიზანია ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობას შორის რაციონალური ურთიერთობის მხარდაჭერა, ბუნებრივი სიმდიდრის აღდგენისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისების პროექტების რეალიზაცია, საზოგადოების სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული პირდაპირი და მეშვეობითი (ირიბი) მავნე-ნეგატიური ეკოლოგიური და მისი თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური შედეგების წინასწარი გაფრთხილების მიღება, ამ შედეგების მინიმიზაციისა და აღმოფქვრის პრაქტიკული საქმიანობის დანერგვა და სხვ. ზომების მიღება, რომლებიც დადგენილი მოთხოვნილებების შესაბამისად - მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოების კეთილდღეობის, შინაარსიანი და უსაფრთხო ცხოვრების მისაღწევად;

**ბუნების დაცვის რუკები** – ასახავს გარემოს დაცვის ღონისძიებების (ტყეების აღდგენა, ქვიშების დამაგრება და სხვ) არეალს, უკვე ჩატარებულ და რეკომენდირებულ, ან გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს, რომელთა საფუძვლად გამოიყენება როგორც ლანდშაფტური, ისე ეკოლოგიური ვითარების ამსახველი კარტოგრაფიული მასალები, ხოლო მათ წარმოსაჩენად იყენებს კარტოგრაფიაში შემუშავებულ პირობით ნიშნებს; ბუნებრივი გარემოს დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების რუკებზე ასახულია სამეურნეო საქმიანობის შეზღუდული (ნაკრძალებისა და ტყის ან ცალკეული სახეობის მცენარეების გაჩეხვის შეზღუდვის ტერიტორიები, მდინარეთა ჭალიდან ან კალაპოტიდან ინერტული მასალის მოპოვების, წიაღისეულის დამუშავებისა და თევზჭერის დროებითი აკრძალვის, სეზონური ნადირობის შეზღუდვის) რეგიონები;

**ბუნების მკაცრი დაცვის ზონა (ეროვნულ პარკში)** – ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამანიპულაციური მეცნიე-

რული კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ეროვნულ პარკში შექმნილი ერთ-ერთი ზონა;

**ბუნების ძეგლი** - დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში ან მის გარეთ არსებული ეროვნული მნიშვნელობის, ბუნების ეკოლოგიური, მეცნიერული და ბუნებრივ-კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ღირებული, უნიკალური, აღუდგენელი ბუნებრივი კომპლექსები, ბუნებრივი ან/და ხელოვნური ობიექტები, უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიისა და ბუნებრივი ან კულტურული წარმონაქმნების დასაცავად შექმნილი მაღალი ესთეტიკური ნიშნების მქონე უნიკალური კულტურის ან გამაჯანსაღებელი ობიექტები, კომპაქტური ეკოსისტემები, გეომორფოლოგიური (მღვიმე, ტრავეტინის მოზაიკა, კანიონი) და ჰიდროლოგიური (ჩანჩქერი, მყინვარი) წარმონაქმნები, მცენარეთა ეგზემპლარები, ცოცხალ ორგანიზმთა (დინოზავრის ნაკვალევი) ნამარხები;

**ბუნების მართვადი დაცვის ზონა (ეროვნულ პარკში)** – სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე მანიპულაციური მეცნიერული კვლევის, ტურიზმისა და საგან-მათლებლო საქმიანობის მიზნით ეროვნულ პარკში შექმნილი ერთ-ერთი ზონა;

**ბუნებრივ-კულტურული თვითმყოფადი გარემო** – მრავალფეროვანი, ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი და მისი მრავალსაუკუნოვანი ათვისების შედეგად ჩამოყალიბებული, მასთან შერწყმული ისტორულ-კულტურული გარემო, რომელიც ეკოლოგიური წონასწორობით, მაღალი ესთეტიკური ღირებულებითა და რაციონალური სამეურნეო გამოყენებით გამოირჩევა;

**ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი** – ბუნებრივი რესურსების, ობიექტების, გარემოწარმომქმნელი ფაქტორებისა და პირობების (კლიმატური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვ) ერთობლიობა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამეურნეო ან სხვ. საქმიანობაში;

**ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი ტერიტორიის** – მნიშვნელოვანი სამეურნეო ფაქტორი, რომლის მიხედვით ფასდება რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა და წარმოადგენს ამა თუ იმ რეგიონის ბუნებრივი რესურსების გაერთიანებას, რომელთა სამეურნეო პერსპექტიული ათვისება (გამოყენება) შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევის გათვალისწინებით, ხოლო ტერიტორიის ათვისების პროცესში შესამჩნევ რაოდენობრივ-თვისებრივ ცვლილებებს განიცდის;

**ბუნებრივი განახლებადი რესურსები** – ზოგი ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი აღდგენის უნარი, რომელიც განახლებად ბუნებრივ (მცენარეთა ინტროდუქცია ან აღდგენა, ცხოველთა რეაკლიმატიზაცია და სხვ) რესურსებს მიეკუთვნება;

**ბუნებრივი გარემოს დაცვა** – საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი, რეგიონული და ლოკალური ადმინისტრაციულ-სამეურნეო ტექნოლოგიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ღონისძიებები, მიმართული ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული, ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური კომფორტის შესაქმნელად და ემყარება მეცნიერულ (დაკვირვების მასალები, ანალიზის შედეგები, პროექტები და ღონისძიებები), სამართლებრივ (კანონები, წესები, საერთაშორისო შეთანხმებები), ტექნიკურ (რესურსების ათვისების, უნარჩენო ტექნოლოგიების საფუძვლები) და საგანმანათლებლო (გარემოს დაცვის პროპაგანდა, ბუნებადაცვითი განათლება) ბაზებს, მოიცავს საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონული ღონისძიებების ერთობლიობას, მიმართულს ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისების, აღწარმოებისა და დაცვის მიღწევისაკენ, დედამიწის ბუნების ბიოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფისა და გარემოს იმ მდგომარეობის შენარჩუნებისაკენ, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ბიოსფეროსა და მისი ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციური განვითარების თანამედროვე დონეს;



**ბუნებრივი რესურსები** - საზოგადოების მიერ, თავისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყენებული ბუნების ობიექტები და პროცესები. ბუნებრივი რესურსები იყოფა: ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი; აღდგენადი და არააღდგენადი; შეცვლადი და შეუცვლადი; განახლებადი და არაგანახლებადი. ბუნებრივი რესურსების შემადგენლობაშია: სასარგებლო წიაღისეული, ენერჯის წყაროები, ნიადაგები, წყლის ნაკადები და წყლის აუზები, მინერალები, ტყეები, ველური მცენარეულობა, ხმელეთისა და აკვატორიების ცხოველთა სამყარო, კულტურული მცენარეულობის გენოფონდი, შინაური ცხოველები, ატრაქციული ლანდშაფტები, გამაჯანსაღებელი ზონები;

**ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება** – ბუნებრივი რესურსების არასრული სარგებლობის (მოპოვების), ბუნებაში მოპოვებული რესურსის ნაწილობრივი უტილიზაციის პირობებში, ამ რესურსის ბაზაზე არსებული მეურნეობის დარგებზე და, ასევე მთლიანად, გარემოზე არსებითი ზარალის მიყენება;

**ბუნებრივი რესურსების აღწარმოება** – საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული ფორმა, როცა ბუნებრივი პროცესების მიზანმიმართული მართვის საფუძველზე, მისი შემადგენელი მეურნეობის დარგების საქმიანობა მიმართულია ბუნებრივი რესურსების გაფართოებული მოპოვების ან მიღების უზრუნველყოფისა ან კიდევ მათი რაოდენობების ან მოცულობების მეტ-ნაკლებად შენარჩუნების მიღწევისაკენ;

**ბუნებრივი რესურსების გამოლევა** – ბუნებრივი რესურსების პირდაპირი (ტყის ზედმეტი გაჩეხვა, გადამეტოვება, მიწის სავარგულების ექსტენსიური ათვისება) და მეშვეობითი (ეროზიისა და გაბინძურების შედეგად ნიადაგის ნაყოფიერების დაკლება, ატმოსფეროში წარმოების ნარჩენი ნივთიერებების შემოფრქვევის შედეგად ჰავის დათბობის გამოწვევა, პესტიციდებისა და ჰერბიციდების მიერ წყლების გაბინძურება) დამუშავების შეუსაბამო მათი მოპოვების

ნორმებთან, რაც საბოლოოდ აფერხებს ბუნებრივი გარემოს მდგრადობასა და ხელს უშლის სიცოცხლის უსაფრთხო უზრუნველყოფას;

**ბუნებრივი სახიფათო მოვლენები** – ბუნებრივი წარმოშობის ან გარემოს ელემენტების მოვლენა, რომელიც თავისი ინტენსიურობის, გავრცელების ხარისხისა და ხანგრძლივობის მიხედვით საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, სახალხო მეურნეობასა და გარემომცველ ბუნებას;

## ბ

**გაბინძურება** – გარემოსთვის არაადამახასიათებელი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების შემოსვლა ან ახალი აგენტების გაჩენა, რომლებსაც რაიმე დროის განმავლობაში შეუძლიათ, საშუალო მრავალწლიური კონცენტრაციის დონეზე, მეტი მნიშვნელობის მიღება და როგორც ადამიანის (ცოცხალი ორგანიზმების), ისე გარემოს ნეგატიური ზემოქმედებების ზრდა; გაბინძურება მიუთითებს ამა თუ იმ ნივთიერებებით გარემოს გაჯერების ხარისხზე;

**გაბინძურება ატმოსფეროს** - ჰაერის სახიფათო გაბინძურება, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია წიაღისეული სათბობის წვასთან. გამოვლენილია 2000-ზე მეტი ჰაერის გამაბინძურებელი, რომელთა დიდი ნაწილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: გოგირდოვანი გაზი ( $\text{SO}_2$ ), აზოტის ოქსიდები ( $\text{N}_2\text{O}$ ,  $\text{NO}$ ,  $\text{NO}_2$ ), გოგირდწყალბადი ( $\text{H}_2\text{S}$ ), ამიაკი ( $\text{NH}_3$ ), ბენზ(ა)პირენი ( $\text{C}_{20}\text{H}_{12}$ ), მტვერი. ზოგჯერ მზის სხივების მოქმედებით აზოტისა და ნახშირწყალბადების ოქსიდებისაგან შეიძლება წარმოიქმნას ახალი შენაერთები - ფოტოოქსიდანტები: ოზონი, აზოტის მჟავა, რომლებიც ადამიანში სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების ანთებებს იწვევენ;

**გაბინძურება ბინების** - საცხოვრებელ ბინებში არასასურველი ქიმიური, ფიზიკური ან ბიოლოგიური აგენტების (გამაბინძუ-

რებლების) შემოტანა, რომელთა წყაროებს წარმოადგენენ იატაკის სინთეტიკური საგებები (პოლიქლორილებული ფილები, ხალიჩები), მერქნის დამუშავების ნარჩენებისაგან დამზადებული ავეჯი, კედლის ან ავეჯის ლაქ-სადებავები, განსაკუთრებით თამბაქოს ბოლი. სამილე ოთახებში შეიძლება დაგროვდეს თვით ადამიანის მიერ გამოყოფილი (400-ზე მეტი) სხვადასხვა ნივთიერება, ან კიდევ ავადობის წარმომქნელი ბიოლოგიური (გრიპის ვირუსები) მიკროორგანიზმები, ალერგიის გამომწვევი მიკროსკოპული ტკიპები. გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებებს მიეკუთვნება: ბინების განთავსება, გამაბინძურებელი ნივთიერებების აკუმულაციის უნარის მქონე ოთახის მცენარეთა (ქლოროფიტუმი, ალოე) მოშენება.

**გაბინძურება ბიოგენური** – არასასურველი ბიოგენური ნივთიერებების (მკვდარი მასის) გავრცელება გარემოს რაიმე მოცემულ სივრცეში;

**გაბინძურება ბიოლოგიური** - ადამიანის საქმიანობის უშუალო ან მეშვეობითი ზემოქმედება, მიმართული ეკოსისტემების ან ცხოველთა (ბაქტერიები) და/ან მცენარეების ტექნიკური მოწყობილობების ფარგლებში;

**გაბინძურება ბიოსფეროს** – ადამიანთა საზოგადოების მიერ გარემოზე ზემოქმედებათა კომპლექსი, რომელიც იწვევს ბიოსფეროში მავნე ნივთიერებების შემცველობის დონის ზრდას ან არსებული ნივთიერებების კონცენტრაციის მატებას, ან ახალი ქიმიური შენაერთების, ნაწილაკებისა და უცხო საგნების გაჩენას, ტემპერატურის გადაჭარბებულ ზრდას (სითბური გაბინძურება), ხმაურის ან რდიაოაქტიურობის მატებას და ა.შ.

**გაბინძურება ბუნებრივი** – ბუნებრივი, როგორც წესი, კატასტროფული პროცესების (ვულკანის ძლიერი ამოფრქვევა, მიწისძვრა) შედეგად წარმოქმნილი გაბინძურება;

**გაბინძურება გარემოს** – ბუნებრივი გარემოსათვის უცხო (არადა-მახასიათებელი) და ახალი ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტების შემოტანა ან წარმოქმნა, ან რაიმე პერიოდის

განმავლობაში იმავე აგენტების კონცენტრაციის საშუალო მრავალწლიურ დონეზე მაღალი მნიშვნელობის მიღება. განასხვავებენ გარემოს ბუნებრივ და ანთროპოგენურ გაბინძურებას, რომელთა დონის კონტროლს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის (ზდკ) ნორმატივები განსაზღვრავენ;

**გაბინძურება გლობალური** – გარემოს ბიოსფერული გაბინძურება ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური აგენტებით, რომელთა არსებობა შეინიშნება გაბინძურების წყაროდან მოშორებით და პრაქტიკულად პლანეტის ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი;

**გაბინძურება გლობალური ფონური** – გლობალური გავრცელების გაბინძურება, რომელიც თავისი გაჩენის წყაროებიდან პლანეტის საკმაოდ დაშორებულ და მრავალ უბნებზეა (წერტილებზე, ფრაგმენტებზე) დაფიქსირებული;

**გაბინძურება ელექტრომაგნიტური** - გარემოს ფიზიკური გაბინძურების ფორმა, რომელიც დაკავშირებულია მისი ელექტრომაგნიტური თვისებების დარღვევასთან;

**გაბინძურება ლოკალური** – რაიმე საწარმოო დაწესებულების, დასახლებული პუნქტის, ავტომაგისტრალისა და სხვ. მიდამოებში არსებული შედარებით მცირე ფართობის (რეგიონის) გაბინძურება;

**გაბინძურება მექანიკური** – გარემოს გაჭუჭყიანება სხვადასხვა აგენტებით, როცა გარემოცვაზე მხოლოდ მექანიკურ (ფიზიკურ-ქიმიური შედეგების გარეშე, მაგ., ნაგავის მიერ) ზემოქმედებას აქვს ადგილი;

**გაბინძურება ნიადაგების** - ნიადაგის ორგანიზმებისათვის სასიცოცხლოდ სახიფათო ქიმიური ნივთიერებების დაგროვება. მათ წყაროებს წარმოადგენენ სამრეწველო საწარმოების გადანაყრები, ჰერბიციდები და მინერალური სასუქები, ქარხნების მიწებიდან ჰაერში შემოფრქვეული (ვრცელდებიან 8-10 კმ-ის სივრცეში, თუმცა ქარის მოქმედებით 50 კმ-ის მანძილზეც გადაიტანებიან) ნივთიერებები, ნავთობქიმიური კომპლექსების, აგრეთვე ფერადი ლითონების მოპოვებისა და

გადამუშავების ნახშირწყალბადებით გაბინძურებული და მძიმე ლითონების გავრცელების მიდამოები;

**გაბინძურება რადიაქტიური** - გარემოს გაბინძურების ყველაზე დიდი სახიფათო ვარიანტი. როცა ბუნებაში არარსებული რადიოაქტიური ნივთიერებების შემოტანას ან ბუნებრივი რადია-ციული ნივთიერებების შემცველობის ზრდას აქვს ადგილი. მისი მიზეზი შეიძლება გახდეს აეს-ის (ჩერნობილი, ქიშტიმი) ავარია, რადიაციული ნარჩენების შენახვის წესების დარღვევა, აეს-ის ექსპლოატაციის ნორმატივების დაუცველობა, ბირთვული აფეთქებები (გამოცდები);

**გაბინძურება სითბური (თერმული)** - გარემოს ფიზიკური გაბინძურების ფორმა, რომელიც ხასიათდება მოცემული ადგილის ტემპერატურის პერიოდული ან ხანგრძლივი ზრდის ტენდენციით მის საშუალო დონესთან შედარებით;

**გაბინძურება ფიზიკური** - გარემოს გაბინძურება, რომელიც ხასიათდება მისი ტემპერატურულ-ენერგეტიკული, ტალღური, რადიაციული და სხვ. ფიზიკური ასპექტების ნორმისაგან გადამეტებით;

**გაბინძურება ქიმიური** - გარემოს გაბინძურება, როცა შეინიშნება ბუნებრივი ქიმიური თვისებების აშკარა ცვლილებები ან გარემოში უჩვეულო ქიმიური ნივთიერებების შემოსვლა ან ქიმიური ნივთიერებების ისეთი კონცენტრაციის ფორმირება, როცა რაიმე მოცემული დროში, გარემოს რაიმე ნივთიერების რყევა გადამეტებულია ფონური (საშუალო მრავალწლიური, ბუნებრივი) მდგომარეობისაგან;

**გაბინძურება შუქური** - გარემოს ფიზიკური გაბინძურების ფორმა, რომელიც დაკავშირებულია რაიმე ადგილის ბუნებრივი ან ხელოვნური წყაროების მიერ განათების დონის საშუალო მნიშვნელობაზე პერიოდულ ან ხანგრძლივ გადაცილებასთან (გადამეტებასთან);

**გაბინძურება წყლების** - ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტების წარმოქმნა ან შემოტანა, რომლებიც ჰიდროსფეროს გარემოს როგორც არასახარბიელო ზემოქმედებებს, ისე მათე-

რიალური ფასეულობების მნიშვნელოვან განადგურებას იწვევენ;

**გაბინძურება ხმაურით** - გარემოს ფიზიკური გაბინძურების სახე, რომლის ფორმირებას ხმაურის დროს აქვს ადგილი. ხმაური - ქალაქის ეკოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ხმაურით გაბინძურებას აქვს ადგილი დიდ საწარმოებშიც. ხმაურით გაბინძურების განზომილების ერთეულად მიღებულია დეციბალი (დც). ჩურჩულის ხმაურს 20-40 დც გააჩნია, ჩვეულებრივ საუბარს - 50-75 დც, ქალაქის მაგისტრალებზე ტრანსპორტის ხმაურს - 120 დც, თვით-მრინავის ძრავის ხმაური 130 დც-ით იზომება. ძილის დარღვევას ადგილი აქვს 35 დც ხმაურზე, გონებრივი საქმიანობის პროდუქტიულობის შემცირებას კი 55 დც-ზე, ხოლო სმენის გაუარესებას - 70 დც-ზე. ხმამაღალი საუბარი ადამიანში ადრე-ნაღისის გამოყოფას აძლიერებს;

**გაბინძურების გუმბათი** - ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების (დაწესებულებების) მიერ გამოფრქვეული გამაბინძურებლების მიერ გარემოში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზრდა, ამ ტერიტორიის თავზე, გაბინძურების გუმბათის (ხუფის, თალფაქის) ფორმირებას იწვევს, როცა გამაბინძურებელთა შემოფრქვევის ადგილიდან დაშორების მიხედვით გაბინძურების კონცენტრაციის თანდათანობით შემცირებას აქვს ადგილი;

**გაბინძურების დონე** - მთლიან გარემოში ან მის ცალკეულ (ატმოსფერო, წყლები, ნიადაგი) ნაწილში გამაბინძურებელი ნივთიერებების (აბსოლუტურ ან ფარდობით ერთეულებში, ასევე მეშვეობითი მაჩვენებლებით) შემცველობა;

**გაბინძურების ფონური დონე** - გარემოში შემოსული გარეგანი (შორეული) ან ადგილობრივი წარმოშობის გამაბინძურებლების ბუნებრივი, ასევე გაუთვალისწინებელი (აღურიცხავი) სტაციონარული და არასტაციონარული წყაროების გამო-ნაფრქვევთა კონცენტრაცია;

- გადამეტოვება** - საქონლის (ნახირის) მიერ უკონტროლო მოვების შედეგად სამოვრების მცენარეულობის დეგრადაცია, პროდუქტიულობისა და მწარმოებლურობის შემცირება;
- გადამეტებული დაჭერა თევზის** - კომერციული და არაკომერციული თევზჭერა, რომელიც მიმართულია თევზის მარაგის აღწარმოების დაცემისა და პოპულაციის რიცხოვნობის თვითაღდგენის უნარის შეზღუდვისაკენ.
- გადანაყრები** - გაზომტვროვანი ნივთიერებები, რომელთა გადაყრა (გამოყოფა ატმოსფეროში) წარმოების ფარგლებს გარეთ (მათ შორის, მათი შემცველი სახიფათო და ღირებული კომპონენტები) მიზანშეწონილია წარმოებისა და გარემოდაცვითი ასპექტებიდან გამომდინარე;
- გადაშენება სახეობათა** – ბუნებრივი ევოლუციური პროცესების ან წინასწარგანსაზღვრული მოქმედებების, ან ადამიანის არაგონივრული და მეშვეობითი (უნებლიე) საქმიანობის შედეგად ნებისმიერი სახეობის ან უფრო მაღალი რანგის ტაქსონის გაუჩინარება;
- გამაზინძურებელი** – სასიცოცხლო გარემოში მოხვედრილი ნებისმიერი ბუნებრივი ან ანთროპოგენური წარმოშობის აგენტი (უპირველესად ქიმიური ნივთიერება და ბიოლოგიური სახეობა, უმთავრესად კი მიკროორგანიზმები), რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ორგანიზმების ბუნებრივი მდგომარეობის ჩარჩოებს და, განსახილველი პერიოდის განმავლობაში, სცილდება ზღვრული ბუნებრივი რყევის საზღვრებს ან რეგიონის დამახასიათებელ ფონური მდგომარეობის მაჩვენებელს და ნეგა-ტიურად მოქმედებს როგორც გარემოს მდგომარეობის ხარისხზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- გამონაბოლქვი ავტომობილის** - ავტოტრანსპორტის (მსოფლიოში 1 მლრდ-მდე) მუშაობის პროცესში ნახშირორჟანგის (კიდევ 300 სხვა მავნე ნივთიერების), ნახშირწყალბადების (ბენზ(ა)პირენები, ფორმალდეჰიდი, ბენზოლი) აზოტის ოქსიდების, ჭვარტლის, ტყვიის, გოგირდის დიოქსიდის,

რეზინის მტვრის შემოფრქვევები, რომ-ლებიც (3,2 მლნ ტონა დღე-ღამეში) ხელს უწყობენ ატმოსფეროში სათბურის ეფექტის ფორმირებასა და ნიადაგების მძიმე ლითონ-ნებით გაბინძურებას;

**გამოსხივება ულტრაისფერი** - ელექტრომაგნიტური გამოსხივების სახე, რომლის ტალღის სიგრძე 180-400 ნმ-ია. მათი დიდი ნაწილი ატმოსფეროში ოზონის ფენის მიერ შთაინთქმება. 180-289 ნმ-ის სიგრძის ტალღები ცოცხალი უჯრედების (მაგ. ბაქტერიების) მოკვდინებას იწვევენ, ხოლო 289-313 ნმ-ის სიგრძის ტალღიანი გამოსხივების მცირე დოზები ვიტამინების სინთეზის, სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის, ადამიანის მდგომარეობის (ზომიერი ნამზეურობის ეფექტი) გაუმჯობესების სიმპტომებს იძლევა. გამოსხივები მაღალი დოზები კი კანის კიბოსა და თვალის ბადურის დაზიანებას იწვევს;

**გარემო** – დედამიწის გარემომცველი ბუნებრივი გარემო წარმოადგენს მოცემული ორგანიზმის, პოპულაციისა და მათი თანასაზოგადოების, გარემოცვის ყოველი ობიექტის, მოვლენისა და პროცესის ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს ნივთიერებათა წრებუნებების მეშვეობით, მოიცავს ამა თუ იმ მოცემული ორგანიზმის ურთიერ-თმოქმედებას გარშემო არსებულ ნივთიერებებსა და ბიოტის ორგანიზმებთან, აგრეთვე პოპულაციასა და ორგანიზმების თანა-საზოგადოებასთან;

**გარემო ადამიანის** – ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური და ანთროპოგენური ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობას, რომელშიც ადამიანი, თავისი საქმიანობის პროცესის მიმდინარეობისას, აშკარა ურთიერთქმედებას ახდენს;

**გარემო არტეზიური** – ადამიანთა ხელოვნური გარემოცვა, რომელიც ძირითადად შედგება საინჟინრო ნაგებობებისა და სამეურნეო ინფრასტრუქტურისაგან, ხოლო ბუნებრივი კომპონენტები (ჰაერი, ბუნებრივი განათება, თერმული და დატე-



ნიანების პირობები) ნაწილობრივ (ცალხმრივ) ”შემავსებლის” როლს ასრულებენ;

**გარემოს დაკვირვებები** – ღონისძიებათა სისტემა, მიმართული გარემოს მახასიათებელი მდგომარეობის პარამეტრებისა და მისი ცალკეული ელემენტების, აგრეთვე ტექნოგენური ზემოქმედების სახეების განსაზღვრის მიზნით და ზოგად-მეცნიერული მეთოდი, რომელიც მოიცავს მკვლევართა მიერ ბუნებრივ გარემოში პირველადი ინფორმაციის შეგროვებას, განსაზღვრულ პირობებში მიმდინარე მოვლენების, შემთხვევებისა და პროცესების უშუალო რეგისტრაციის გზით;

**გარემოს დარღვევა** – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოწვეული ბუნებრივი პირობების ყოველგვარი დარღვევა, რომელიც მიმდინარობს ან არ მიმდინარეობს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების ან მატერიალური დანაკარგების თანხლებით. მას მიეკუთვნება ტყეების გაჩეხვა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, დაწესებულებების გადანაყრები, საწარმოო ჩამონადენები და ა.შ.

**გარემოს დაცვა** – საერთაშორისო, რეგიონული, სახელმწიფო და ლოკალური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს ადმისტრაციულ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ, იურიდიულ და საზოგადოებრივ საქმიანობებს და მიმართულია დედამიწის ბიოტის აუცილებელი მოცულობის შენარჩუნება-შენახვისაკენ, რაც ლოკალურ და რეგიონულ დონეებზე გარემოს არამდგრადი მდგომარეობის ფორმირების პარალელურად, მდგრადი გარემოს შექმნა-შენარჩუნების უზრუნველყოფას განაპირობებს;

**გარემოს დეგრადაცია** – 1. ბუნებრივი მოვლენების (ვულკანების ამოფრქვევა, წყალდიდობა, მიწისძვრები, ცუნამი, ღვარცოფი და სხვ) ან ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარემოს მდგომარეობის გაუარესება და ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო პირობების ფორმირება; 2. ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი საცხოვრებელი (მაგ., ქალაქი,

- დასახლებები) გარემოს მდგომარეობის (წყლის ან ჰაერის გაბინძურება) ან სოციალური პირობების გაუარესება;
- გარემოს ზღვრული დასაშვები დატვირთვა (გზდდ)** – გარემოს დატვირთვის ის მაჩვენებელი, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში მისი სტრუქტურის ნგრევა და ფუნქციის რღვევა მიმდინარეობს;
- გარემოს თვითგაწმენდა** – გარემოს სამეურნეო ობიექტებსა და ცოცხალ ორგანიზმებზე გამაბინძურებელი ნივთიერებების მიერ მავნე და არასახარბიელო ზემოქმედებების ნეგატიური შედეგების აღდგენის ბუნებრივი პროცესების ერთობლიობა;
- გარემოს კონტროლი** - გარემოს მდგომარეობის შესახებ მონაცემთა, ტექნოგენური ზემოქმედების კრიტერიუმებისა და ნორმების ან ფონური პარამეტრების შედარება მათი შესაბამისობის შეფასების მიზნით;
- გარემოს კრიტიკული მდგომარეობა** – ანთროპოგენური დატვირთვების გაძლიერების პროცესში გარემოში წარმოქმნილი მდგომარეობა, როცა მისი შემდგომი დარღვევა ბუნებრივი გარემოს მდგრადობისა (ნივთიერ-ენერგეტიკული ბალანსი) და თვითრეგულირება-თვითაღდგენის უნარის დაქვეითება-დაკარგვას იწვევს;
- გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლები** – გარემოს მდგომარეობის დატვირთვისა და შეზღუდული ეკოლოგიური პრობლემების მიმართ ადამიანის საპასუხო რეაქციის სიდიდეების ასახვა, რომელთა მიხედვით შესაძლოა ადამიანი-ბუნების ურთიერთქმედებების კონცეპტუალური მოდელის შემუშავება;
- გარემოს პროგრამა (გაეროში)** - სტოკჰოლმის (1973 წ) ინიციატივითა და გაეროს გენერალური ასსამბლეის გადაწყვეტილებით შექმნილი სამთავრობათშორისი პროგრამა, რომლის მიზანს ბუნებრივი გარემოს რაციონალური სარგებლობის რაციონალური მეთოდების შემუშავება-დანერგვა წარმოადგენს;
- გარემოს შეუქცევადი ცვლილებები** – გარემოწარმომქმნელი კომპონენტების ან მათი თანაშეხამებების ისეთი გარდაქმნები, როცა ბუნებრივი აღდგენითი პროცესების მსვლელობა, მათ

შორის, ბუნებრივი სუკცესიის პირობები - ვერ ახდენენ მათ კომპენსაციას;

**გარემოს ხარისხი** – ადამიანთა, მცენარეთა და ცხოველთა მოთხოვნილებებთან ბუნებრივი პირობების შესაბამისობის ხარისხი;

**გარემოს ხარისხი (ადამიანის ცხოვრების)** – ბუნებრივი და სოციალური პირობების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ (ან ვერ უზრუნველყოფენ) ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კომპლექსებს, მიუთითებენ მისი ცხოვრებისა და მოთხოვნილებათა შორის თანაფარდობას, ინტეგრალურად გვიჩვენებენ ადამიანთა ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობას, წარმოადგენენ ჯანმრთელობის საზომ ერთეულსა და მოცემული ეთნოსისათვის სტანდარტულად დამახასიათებელი მდგომარეობის (ფიზიკური და ფსიქიკური ავადმყოფობის) დონეს;

**გატყიანება** – ხე-მცენარეების თესვის ან ნერგების დარგვის გზით ან ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის შედეგად ტყის მასივების აღდგენა ან ახალი მასივების შექმნა;

**გაუდაზნოება (არიდიზაცია)** - მიწების არარაციონალური ათვისების (გადამეტოვება, არაგონივრული მორწყვა ან დაშრობა) პირობებში, ბუნებრივ კომპლექსში მცენარეული საფარის განადგურების, ტყეების გაჩანაგების, რეგიონების დაჭაობების ან დამლაშების, ნიადაგების პროდუქტიული ფენის დეგრადაციისა და მათი პროდუქტიულობის მკვეთრი დაცემის პროცესი, მათი შემდგომი აღდგენის შეუძლებლობის გარეშე, რომელიც, როგორც წესი, მშრალი არელებისთვისაა დამახასიათებელი, მიმდინარეობს ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების (მაგ., სამოვრების არაგონივრული ათვისება) ზემოქმედებების შედეგად;

**გენტრიფიკაცია (გენტისის – გვაროვნული, ტომობრივი)** – მსოფლიოს თანამედროვე პირობებში დამახასიათებელი ტენდენცია, როცა მსგავსი ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური თავისებურებების ადამიანთა ჯგუფებს მეტ-

ნაკლები განცალკევებული ცხოვრების წესისაკენ აქვთ მიდრეკილება;

**გეოლოგიური გარემოს დაცვა** – საყოველთაოდ აპრობირებული ღონისძიებებისა და დაკანონებული წესების ერთობლიობის გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის რაციონალური, მთლიანი და უზიფათო მოპოვების უზრუნველყოფა, გეოლოგიური სივრცის რაციონალური ათვისება-გამოყენების მიღწევა;

**გეოტექნიკური სისტემა** – ერთმანეთთან პირდაპირ დაკავშირებული ბუნებრივი ობიექტებისა და ტექნიკური ნაგებობების ერთობლიობა, როცა თითოეული მათგანი ერთმანეთთან აშკარად (ორგანულად, სისტემურად) არიან დაკავშირებული;

**გეოჰიგიენა** - ადამიანის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების პირობების შექმნის მოთხოვნილებათა ერთობლიობა;

**გეოჰიგიენის საგანი** - ადამიანის პირდაპირი და მეშვეობითი სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების გლობალური ნიშნებისა და ნეგატიური გამოვლინებების სამედიცინო ასპექტების შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინა;

**გლობალური პრობლემები** – ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური ან ანთროპოგენური მოვლენები, რომელთა გამოვლინებებს მთელი მსოფლიო აქვთ დაკავებული. ამ მოვლენების განვითარების პროცესს გლობალიზაციას უწოდებენ;

**გლობალური პრობლემები კაცობრიობის** – რიგი ქვეყნებისა და დედამიწის მოსახლეობის, ატმოსფეროს, მსოფლიო ოკეანისა და ახლო კოსმოსის პრობლემები და სიტუაციები, რომელთა გადაწყვეტა არა თუ შეუძლებელია ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ძალებით, არამედ მოითხოვს გარემოს დაცვის დებულებების შესრულებაში ერთობლივ ძალისხმევასა და ურთიერთანხმობას, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, სუსტი და განვითარებადი ქვეყნების დახმარებასა და ა.შ.

**გოგირდწყალბადი** - მკვეთრი სუნის მქონე გაზი ( $H_2S$ ), რომლის წარმოშობა ცილოვანი ნივთიერებების გახრწნას უკავშირდება და შედის ნავთობის საბადოების თანმხლები გაზების, ბუნებრივი და ვულკანური აირების, მინერალური წყაროების წყლების შემადგენლობაში. მას შავი ზღვის, აგრეთვე რიგი ოკეანეების ღრმა წყლებიც შეიცავს, სადაც სიცოცხლის არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია. მის წარმოქმნას ხელს უწყობს აგრეთვე ნავთობის, ბუნებრივი და ქოქოსის გაზების გაწმენდის საქმიანობა. იგი ძალიან ტოქსიკური გაზია, რომლის არსებობას ადამიანი გრძნობს მისი უსაფრთხო რაოდენობის (0,1 ნაწილი 1 მლნ ნაწილზე) დროს. თუმცა, მაღალი შემცველობისას ადამიანი ამ აირის არსებობას ვერ გრძნობს, ხოლო 250-500 მლ/კუბ.მ-ზე შემცველობისას, ადამიანს ეწყება მძიმე მოწამვლა, რაც ფილტვების შეშუპებისა და სუნთქვის დამბლის მომასწავებელია;

## დ

**დამპინგი** - ოკეანეებისა და ზღვების ფსკერზე ნარჩენების განამარ-ხება ეკოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამისად;

**დარღვევა ბუნებრივი წონასწორობის** – გეოფიზიკური ან ანთროპოგენური ზემოქმედებებით გამოწვეული ბიოგენური წრებრუნვების დარღვევა, რომლის შედეგად, მაღალი ხარისხის სიზუსტით, შესაძლებელია ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა;

**დატვირთვა რეკრეაციული** – დამსვენებლების მიერ ბუნებრივ კომპლექსებსა და რეკრეაციულ ობიექტებზე (მაგ., არქიტექტურული ძეგლები) ზემოქმედების ხარისხი, რომლის გამოვლინება უკავშირდება ადამიანი-ობიექტის კონტაქტებს და განისაზღვრება ადამიანთა (დამსვენებელთა) რაოდენობით ფართობის ერთეულთან ან იმავე ფართობზე კაც-დღის

კონტაქტის დროითი სიდიდით ან ამა თუ იმ ობიექტზე მათი გავლენის (დატვირთვის) ხანგრძლივობით;

**დაცვა ატმოსფერული ჰაერის** – სახელმწიფო და თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანის ჯანმრთელობს დაცვისაკენ, ასევე გარემოს მავნე ზემოქმედებების შემცირებისაკენ;

**დაცვა მიწების** - ორგანიზაციულ-სამეურნეო, ტექნიკური, აგრონომიული, მელორაციული და ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მიწების მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი პროცესებისა და მიწების სარგებლობის წესების დარღვევის თავიდან აცილებისაკენ;

**დაცვა მწვანე ნარგავების** – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ეკონომიკური, არქიტექტურულ-საგეგმო და აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია მწვანე ნარგავების როგორც შენარჩუნებისა და აღდგენის, ისე მათი გაუმჯობესებისაკენ;

**დაცვა ორგანიზმთა საბინადრო გარემოს** – ადამიანთა საზოგადოების შეგნებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია ცოცხალი სამყაროს საბინადრო ობიექტების საარსებო პირობების შენარჩუნებისა და აღდგენისაკენ;

**დაცვა ცოცხალი სამყაროს** – პლანეტის ან რაიმე რეგიონის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ცოცხალი სამყაროს მდგრადი არსებობის უზრუნველყოფის, აგრეთვე ბიოსფეროს ობიექტებისა და რესურსების რაციონალური ათვისებისა და აღწარმოების მიზნით განხორციელებული ადამიანთა საზოგადოების მიზანმიმართული საქმიანობა;

**დაცვა წყლის ობიექტების** – წყლის რესურსების დაცვისა და აღდგენისაკენ მიმართული ღონისძიებების სისტემა;

**დაცული ბუნებრივი ტერიტორიები** – ბიოსფეროს ნაწილი ეკოლოგიური წონასწორობის ან კაცობრიობის სასიცოცხლო

გარემოსა და მისი ჯანმრთელობის, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების დაცვის, ისტორიული-სამეურნეო-ესტეტიკური მნიშვნელობის ღირებული ბუნებრივი და ხელოვნური ობიექტების, ასევე მოვლენების შენარჩუნების მიზნით მთლიანად ან ნაწილობრივ, დროებით ან მუდმივად განთავისუფლებული ინტენსიური სამეურნეო საქმიანობისაგან;

**დაცული ლანდშაფტი** - დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში ან მის გარეთ არსებული ეროვნული მნიშვნელობის მქონე თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული და მაღალი ესთეტიკურ-ისტორიული ღირებულებით გამორჩეული სახმელეთო ან წყლის სივრცე, რომელიც დაარსებულია როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მიზნით;

**დაცული ტერიტორიები** – ბიოსფეროს ნაწილი, რომელიც ბუნებრივი კომპლექსების ან მცენარეთა და ცხოველების სახეობათა დაცვის, ასევე ბუნებრივი პროცესების განვითარების მსვლელობაზე თვალთვალის მიზნით შექმნილი სამეურნეო საქმიანობის წარმოებიდან ნაწილობრივ ან მთლიანად ამოღებული ტერიტორია ან აკვატორია, რომელიც განეკუთვნება ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უზნებს, ჰქმნის ადამიანის საარსებო გარემოსა და მისი ჯანმრთელობის დაცვის ასპექტებს, უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების, ასევე ისტორიული, სამეურნეო და ესთეტიკური მნიშვნელობის ბუნებრივი ან ხელოვნური ობიექტების ან მოვლენების განსაკუთრებული რეჟიმის დაცვას; დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, ადკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია; საქართველოში დაშვებულია დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში

ჩართული კატეგორიების დაშვება: ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია;

**დაცული ტერიტორიების კატეგორიები** – დაცული ტერიტორიების კატეგორიებს მიეკუთვნება სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. საქართველოში დაშვებულია დაცული ტერიტორიების სართაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიების არსებობა - ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია;

**დეზაქტივაცია** – ამა თუ იმ ზედაპირიდან ან რაიმე ნივთიერებიდან რადიოაქტიური ნივთიერების მოცილება ან მოშორება;

**დენდრომეტრია** – ტყის ტაქსაციის დარგი, რომელიც სწავლობს ტყის ობიექტებისა და პროდუქციის, ხე-მცენარეების ტაქსაციური პარამეტრების გაზომვის მეთოდებსა და ხერხებს;

**დეტერიორაცია გარემოს** - ადამიანისა და სხვა ორგანიზმების გარემომცველი სივრცის გაუარესება, რომლის გამოწვევა, ხშირად, ადამიანის არაგონივრულ საქმიანობასა და მით გამოწვეულ გაბინძურებას მიეწერება;

**დეფოლიანტები** – პესტიციდების ჯგუფში შემავალი ქიმიური (მაგნიუმის ქლორატი, ბუთიფოსი, ბუთილკაპტაქსი) პრეპარატები, რომლებიც იწვევენ მცენარეთა ფოთლების ნაადრევხელოვნურ დაბერებასა და ფოთოლცვენას, მოსავლის დაწიფების დაჩქარებასა და მოსავლის აღების გაადვილებას. მათ, არც თუ ხშირად, იყენებენ მცენარეთა ფოთლებისაგან გათავისუფლების მიზნით;

**დიოქსიდი გოგირდის** - უფერო გაზი ( $SO_2$ ) მკვეთრი სუნით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ გამაბინძურებელს ატმოსფეროში. ის წარმოიქმნება წიაღისეული სათბობის წვის (სათბობ-ენერგეტიკულ და ნავთობქიმიურ კომპლექსებში, შიდაწვის ძრავებში) დროს და დამლუპველად (ქლოროფილის



დამშლელი უნარის გამო) მოქმედებს მცენარეებზე, იწვევს მჟაუნა წვიმებს;

**დიოქსიდი ნახშირბადის** - ნახშირბადის შემცველი ნაერთების დაჟანგვის პროდუქტი ( $\text{CO}_2$ ) წარმოიქმნება ორგანიზმების სუნთქვისა და ნახშირის შემცველი სათბობის წვის, ასევე ვულკანების ამოფრქვევისა და კარბონატული ქანების გამოფიტვის დროს. მისი ატმოსფეროში კონცენტრაციის ზრდის შემთხვევაში "სათბურის ეფექტის" წარმოშობას აქვს ადგილი;

**დიოქსინები** - ყველაზე შხამიანი ნივთიერებათა ჯგუფი, რომლებიც იხსნებიან ორგანულ ნივთიერებებში, აქვთ კანცეროგენული მოქმედების უნარი და ძალიან დიდი მდგრადობა. მისი ნახევარ-დაშლის პერიოდი ნიადაგში 10-12 წელიწადს შეადგენს;

**დიქლორდიფენოლტრიქლორი (დდტ)** - ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ინსექტიციდი, რომელიც გამოირჩევა მაღალი მდგრადობით, გარემოს ცოცხალ ორგანიზმებში კონცენტრაციით, ძუძუმწოვრებისა და, მათ შორის, ადამიანის ღვიძლის, ასევე თირკმელებისა და ტვინის ქსოვილებში დაგროვებით;

**დრენაჟის ქსელი** - წყლის ნაკადების სისტემის მეშვეობით მიწების დაშრობის მიღწევა;

## ე

**ეგერი** – მოყვარულ-მონადირეების მომსახურე მონადირე-სპეციალისტი, რომელიც ახდენს კონტროლს ნადირობის კანონებისა და ბუნებათსარგებლობის წესების დაცვის შესახებ;

**ევაკუაცია** – სტიქიური უბედურების ან მოწინააღმდეგე ძალის საფრთხის წინაშე ჩავარდნილი ზონებიდან სამოქალაქო მოსახლეობის, დაჭრილების, ავადმყოფების, ტყვეების გაყვანის ან საწარმოების, დაწესებულებების, მხატვრული და კულ-

ტურული ფასეულობების, პირადი და სამხედრო ქონების გატანა;

**ეკოლოგია საცხოვრებლების** - ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ეკოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დახშულ (ჩაკე-ტილი) შენობაში ადამიანის ცხოვრების პირობებს. ბინის პრობლემა - ქალაქის მინიატურული პრობლემაა: ატმოსფეროს ქიმიური და ფიზიკური (ელექტრომაგნიტური, კავშირგაბმულობის სისტემის ნეგატივიზმი, ტელევიზორების ეკრანისა და კომპიუტერის დისპლეის იონიზირებული გამოსხივება) გაბინძურება, ნარჩენების პრობლემა (კანალიზაცია, ნაგვის სადენები და ნაგავსაყრელები), ენერგომომარაგების სისტემა (კედლების, ფანჯრების, კარების სითბოიზოლაცია, დღის ნათების შუქების, მაცივრებისა გამათბობლების გამოყენება, პოლირებული ჭურჭლეული, ელექტროქურები და ა.შ. ბინების "გაეკოლოგიურების" მიზნით მიმართავენ სპეციალური მოწყობილობების გამოყენებას: მზის ელემენტები, წყლის კასრები, ოთახის მცენარეები. ისინი იწვევენ საცხოვრისების უხიფათო მიკროკლიმატის შექმნას;

**ეკოლოგია სამედიცინო** - გამოყენებითი ეკოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანის ჯანმრთელობაზე ეკოლოგიური ფაქტორების (უმთავრესად, ანთროპოგენური ზემოქმედებებით გამოწვეული) გავლენებს, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობისა და მოსახლეობის დაავადებათა, აგრეთვე დემოგრაფიული პროცესების დინამიკას, ახდენს მოსახლეობის არასახარბიელო ეკოლოგიური ფაქტორებისაგან დაცვის რეკომენდაციების შემუშავებას;

**ეკოლოგია სოციალური** - დარგობრივი ეკოლოგია, რომელიც ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნების მიზნით და გარემოს (ბუნებრივ-საზოგადოებრივი ობიექტის) შენახვის პოზიციიდან გამომდინარე, შეისწავლის ადამიანი-ბუნებას შორის სისტემური და სპეციფიკური კავშირების შეცნობას, ადამიანსა და გარემოს კომპონენტებზე ბუნებრივი და

საზოგადოებრივი ფაქტორების ერთობლივი გავლენის წარმოჩინებას, გარემოს შენარჩუნების უზრუნველყოფასა და ა.შ.;

**ეკოლოგიური აღზრდა და განათლება** – საქმიანობა, რომელიც მიმართულია ეკოლოგიური კულტურის ფორმირების, გარემოს ობიექტებისადმი მზრუნველობითი და ფრთხილი მოპყრობის აუცილებლობის გათავისებისა და ეკოლოგიური ცოდნის უზრუნველყოფისაკენ;

**ეკოლოგიური დანაშაული** – ბუნებრივი გარემოს ან მისი ცალკეული ელემენტების მდგომარეობის ხელყოფა, როცა ირღვევა წესები;

- სამუშაოთა წარმოებისას გარემოს დაცვის;
- ეკოლოგიურად საშიში ნივთიერებებისა და ნარჩენების შენახვის;
- მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტების ან ტოქსინების ხმარება-გამოყენების უსაფრთხოების;
- ვეტერინალური და მცენარეთა დაცვის;
- ატმოსფეროს, წყლების, ზღვის გარემოს გაბინძურების;
- ნიადაგებისა და წიაღის გამოყენების;
- ეკონომიკური ზონების, კონტინენტური შეღვის კანონმდებლობის;
- წყლის ცხოველების რეწვისა და მცენარეების მოპოვების;
- თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის, ნადირობის, წითელ წიგნში შეტანილი ორგანიზმების კრიტიკული საბინადროების;
- ტყის ზიანი, განადგურება და ბუჩქნარების ჩეხვის;
- დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისა და ბუნების ობიექტების რეჟიმის.

**ეკოლოგიური დასაშვები დატვირთვა** – ცალკეული ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი ზემოქმედებებისაგან შემდგარი ანთროპოგენური დატვირთვა, რომელიც არ განაპირობებს და არ იწვევს გარემოს ხარისხის ცვლილებებს, ან ახდენს მის გარდაქმნას დასაშვები პარამეტრების ფარგლებში და ხელს უწყობს საზოგადოების პროდუქტიულობის (სტრუქტურული

და ფუნქციონალური მთლიანობის) შენახვისა და/ან ზრდის უზრუნველყოფას;

**ეკოლოგიური ექსპერტიზა** – რაიმე განზრახული სამეურნეო ან სხვა საქმიანობის შესაბამისად ეკოლოგიური მოთხოვნების დაწესება და ეკოლოგიური ექსპერტიზის დაშვება, რომლის საფუძვლად შესაძლებელია ამ ზემოქმედებების მიერ გარემოს ან მისი ობიექტების მოსალოდნელი არასასურველი სოციალური, ეკონომიკური ცვლილებების პროგნოზი, ნეგატიური შედეგების შესახებ გაფრთხილებათა შემუშავება და საზოგადოების დროული ინფორმირება;

**ეკოლოგიური ზარალი** – ადამიანის სიცოცხლის, მცენარეულობისა და ცხოველთა სახეობების, აგრეთვე სხვა ორგანიზმების სახიფათო და არასასურველი შედეგების ლიკვიდაციის, ეკოლოგიური სისტემების, ბუნებრივი კომპლექსების, ლანდშაფტთა ობიექტების ფაქტობრივი და შესაძლო დანაკარგების რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე მოსალოდნელი სარგებლიანობის მიუღებლობის მოცულობები და სხვა დამატებითი ხარჯები, რომლებიც წარმოიშვნენ გარემოს ხარისხის ნორმატივების დარღვევების ან სამეურნეო საქმიანობის უარყოფითი ან ნეგატიური ზემოქმედებების ან ტექნოგენური ავარიებისა და კატასტროფების შედეგად;

**ეკოლოგიური ზარალი გარემოს** – ეკოლოგიური, ეკონომიკური ან სოციალური ფაქტობრივი დანაკარგები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ბუნებადაცვითი კანონმდებლობის ან ადამიანის სამეურნეო საქმიანობის წესების დარღვევასთან, ან კიდევ, გარემოში სტიქიური ეკოლოგიური უბედურებებისა და კატასტროფების შემთხვევებთან, როცა ადგილი აქვს ფაქტობრივ დანაკარგებს ბუნებრივი და შრომითი, მეურნეობის მატერიალური და ფინანსური რესურსების სფეროებში, სახეზეა მოსახლეობის სოციალურ-ჰიგიენური ცხოვრების პირობების გაუარესება;

**ეკოლოგიური ზონირება ტერიტორიის** – რეგიონების კადასტრისა და მონიტორინგის წარმართვის, ბუნებრივი ობიექტების

ტების აღრიცხვის, გონივრული და რაციონალური ათვისებისა და დაცვის მიზნით, სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად, ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა სისტემის მიმართვა ტერიტორიების, აკვატორიების, საჰაერო სივრცის, ბუნებრივი ობიექტებისა და საზღვრების გამოყოფისა და დადგენისაკენ;

**ეკოლოგიური ინტერესი საზოგადოების** – ადამიანთა საზოგადოების მიერ არაგონივრული სამეურნეო საქმიანობის შედეგად დარღვეული გარემოს აღდგენისა და გაუმჯობესების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კლიმატის არასასურველი ცვლილებების, ასევე ადამიანის სხვა სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებისა და ეკოსისტემების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფისადმი საზოგადოებრივი დაინტერესება;

**ეკოლოგიური ინფორმაცია** – ცნობები პიროვნებების, საგნების, ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების (გარემოს დაცვა; ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაცვა; ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა) შესახებ;

**ეკოლოგიური კატასტროფა** – მნიშვნელოვნად არასახარბიელო, უკუქცევის გარეშე ხანგრძლივი მოვლენები, რომლებიც იწვევენ რეგიონების ეკონომიკური დონის დაქვეითებასა და ბუნებრივი გარემოს დეგრადაციას, რეგიონალურ ბუნებრივ (ხანგრძლივი გვალვა, საქონლის მასიურ განადგურება, ტექნიკური ავარიები, ბუნებრივ სისტემებში ეკოლოგიური წონასწორობის მთლიანი განადგურება) ანომალიებს;

**ეკოლოგიური კლასიფიკაცია საავტომობილო ტრანსპორტის (საშუალებების)** – არსებული წესების შესაბამისად და ეკოლოგიური მოთხოვნილებების დონის მიხედვით მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი შემად-

გენელი ნაწილების (საზიდარი, დამატებითი საგნები და კონსტრუქციები) დანაწილება-კლასიფიცირება;

**ეკოლოგიური კომპონენტები** – ეკოსისტემის ძირითადი მატერიალურ-ენერგეტიკული შემადგენლები: ენერგია, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, ავტოტროფები-პროდუცენტები, ჰეტეროტროფები-კონსუმენტები და რედუცენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნივთიერებათა ცვლას;

**ეკოლოგიური კონტროლი** – ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოს მდგომარეობისა და ცვლილებების თვალთვალი, გარემოს რაციონალური ათვისების ღონისძიებების მიმდინარეობის შემოწმებები, გარემოს გაჯანსაღების, ბუნებადაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნისა და გარემოს ხარისხის ნორმატივების შესრულება;

**ეკოლოგიური კრიზისი** – ბუნებრივი გარემოს შექცევადი კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც ემუქრება ადამიანის არსებობას და საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების შეუფარ-დებლობას ასახვს;

**ეკოლოგიური კრიტერიუმი წყლის ხარისხის** – რაიმე დროის ფარგლებსათვის დადგენილი წყლის ხარისხის კრიტერიუმი, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია წყლის ეკოლოგიური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების პირობები;

**ეკოლოგიური მდგომარეობა** – გარემოს ზოგადი (ხარისხობრივი) მდგომარეობა ადამიანის სასიცოცხლო პირობების, მცენარეულობისა და ცხოველების არსებობის თვალსაზრისით;

**ეკოლოგიური მდგომარეობის რუკები** – ბუნებრივი გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მდგომარეობის (ჰაერის, წყლების, ნიადაგების გაბინძურების, მცენარეული საფარის დარღვევის, ცხოველთა რიცხოვნების ცვლილების) ამსახველი რუკები;

**ეკოლოგიური მოთხოვნილება** – საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია რაციონალური ბუნებათსარ-

გებლობის, გარემოს გაუმჯობესების, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და გენეტიკური ფონდის შენარჩუნებისაკენ;

**ეკოლოგიური მონიტორინგის ავტომატიზირებული სისტემა** – ეკოლოგიური ვითარების ასახვის მიზნით პროგრამულ-მეთოდური უზრუნველყოფის ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, როცა კომპეტენტური პერსონალი ასრულებს მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზსა და პროგნოზირებას;

**ეკოლოგიური ნორმატივი ჰაერის ხარისხის** – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს (გამოსახავს) ჰაერში არსებული მავნე ნივთიერებების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის მაქსიმალურ შემადგენლობას, როცა გარემოს მავნე ზემოქმედებები არ შეიმჩნევა;

**ეკოლოგიური ნორმირება** – ეკოსისტემის ეკოლოგიური ტევადობის ფარგლებში ანთროპოგენური ზემოქმედებების ნორმირება, როცა შენარჩუნებულია თვითრეგულაციის მექანიზმის სტაბილურობა, ხოლო მის კრიტერიუმებს შეადგენენ ბიოტური ბალანსის შენარჩუნება, ეკოსისტემის სტაბილურობა და მრავალფეროვნება;

**ეკოლოგიური პასპორტი სამრეწველო დაწესებულების** – ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ცნობებს სა-წარმოოს მიერ ბუნებრივი და მეორადი რესურსების გამოყენებისა და გარემოზე ზემოქმედების განსაზღვრის შესახებ;

**ეკოლოგიური პოლიტიკა** – ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (რეგიონები, ქვეყნები) მიერ დაწესებული ნორმების შესაბამისი პრინციპებისა და განზრახვების განაცხადები, რომელთა მიხედვით დეკლარირებული ეკოლოგიური ეფექტიურობის მიღწევა სამეურნეო-ეკოლოგიურ მიზნობრივი და გეგმიური მოქმედებების საფუძველზე ეყრდნობა;

**ეკოლოგიური რისკი** – ბუნებრივი ობიექტების ანთროპოგენური ნეგატიური საქმიანობის ან სხვა პროცესებით გამოწვეული ცვლილებების მიერ ბუნებრივი რესურსების, ადამიანის,

ცხოველების, მცენარეებისა და სხვა ორგანიზმების ნორმალური ცხოველმოქმედებაზე ნებისმიერი გავლენის არასასურველი მოლოდინი (შესაძლებელი შედეგები) და მასშტაბები;

**ეკოლოგიური რისკის ზონა** – ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის სივრცეები, სადაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად შესაძლებელია საშიში ეკოლოგიური სიტუაციის წარმოქმნა;

**ეკოლოგიური საგანგებო სიტუაციის ზონები** – რეგიონის ტერიტორიები, სადაც ადამიანის სამეურნეო და სხვა საქმიანობის შედეგად მიმდინარეობენ ბუნებრივი გარემოს უარყოფითი ცვლილებები, რომელთა ხიფათი მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების, ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემების რღვევის, მცენარეებისა და ცხოველთა გენეტიკური ფონდების დეგრადაციისაკენ;

**ეკოლოგიური სახელმწიფო კონტროლი** – სახელმწიფოს მიერ ეკოლოგიური სამართლის სარეალიზაციო სამართლებრივი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ სამეურნეო და სხვა საქმიანობათა პროცესის შემოწმება, გარემოს ობიექტებზე ზემოქმედების ეკოლოგიური მოთხოვნებისა და ბუნებადაცვითი ღონისძიებების შესრულების წესების დაცვის გათვალისწინებით;

**ეკოლოგიური უსაფრთხოება** – გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედებების, ასევე სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფებისაგან პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობა;

**ეკოლოგიური უსაფრთხოება საავტომობილო ტრანსპორტის** – პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, ასევე მცენარეული და ცხოველთა სამყაროს ობიექტების თვითგადარჩენის უნარის მდგომარეობა საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ადამიანის (მოსახლეობის) ჯანმრთელობისა და გარემოს მავნე ზემოქმედებების შედეგად;



**ეკოლოგიური უსაფრთხოების სახეები** - გარემოს დაცვის დონის მახასიათებელი, რომლის განსაზღვრისათვის საკმარისია "აბსო-ლუტური უსაფრთხოება" ან "მისაღები რისკი";

**ეკოლოგიური უსაფრთხოების ობიექტები** – ეს ადამიანის უფლებათა, ჰქონდეს ჯანმრთელი და ხელსაყრელ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, ან საზოგადოებას თავისი მატერიალური და სულიერი ფასეულობებით, რომლის მდგომარეობა ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაციებითაა განსაზღვრული, ან კიდევ ბუნებრივი გარემო და რესურსებია, რომლებიც საზოგადოების მდგარადი განვითარების წყაროსა და აუცილებელი პირობებს, აგრეთვე თანამედროვე და მომავალი თაობების კეთილდღეობის განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ;

**ეკოლოგიური ხარისხი გარემოს** – ეკოლოგიური სისტემების ფუნქციონირების, ადამიანის ცხოველმყოფელობის კომფორტულობისა და ტერიტორიულ-ბუნებრივ-რესურსული კომპლექსების ფიზიკურ-გეოგრაფიული საფუძვლების დაცულობის უზრუნველყოფის უნარი;

**ეკოლოგიური შოკი** – საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მსვლელობაში ეკოლოგიური სიძნეელების (ეკოლოგიური კრიზისები, ეკოლოგიური კატასტროფები, ეკოლოგიური კოლაფსი) უეცარი გამოცლინება და შეცნობა;

**ეკოსისტემა** - ცოცხალი ორგანიზმების თანასაზოგადოებათა არა-ცოცხალ გარემოსთან ურთიერთობისა და ურთიერთკავშირების სისტემა;

**ეკოსისტემა საქალაქო** - საქალაქო ტერიტორია, მისი მოსახლეობა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა. ი. ოდუმი: ქალაქები - ბიოსფეროს პარაზიტებია, რადგან აქ მიმდინარეობს ჟანგბადის, წყლისა და სხვა რესურსების კოლოსალური მოხმარება, მათ სანაცვლოდ კი მხოლოდ ნახშირორჟანგის პროდუცირებას აქვს ადგილი, რაც გარემოს გაბინძურებას იწვევს;

**ეკოსისტემა დასახლებების** – სივრცებრივად შეზღუდული ბუნებრივ-ტექნოგენური სისტემა, ავტონომიური ცოცხალი ორგანიზმების ნივთიერებათა და ენერგიების მიმოცვლის, აბიოტური ელემენტების, ბუნებრივი და ტექნოგენური კომპონენტების ერთმანეთთან დაკავშირებული რთული კომპლექსი, რომლებიც ჰქმნიან ადამიანის საქალაქო საცხოვრისის გარემოსა და უზრუნველყოფენ მის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეთნიკურ, შრომით, ეკონომიკურ მოთხოვნილებებს;

**ეკოფობია** – ადამიანთა საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი გარემოს დეგრადაციისა და ნგრევისაკენ;

**ელექტრომაგნიტური გაბინძურება** - მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების, რადიო- და სატელევიზიო სადგურების, რადარებისა და ლოკატორების მიერ გამოყოფილი ტალღური გამოსხივების შედეგად წარმოქმნილი გაბინძურება, რომელიც განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ორგანიზმებზე. ზოგ შემთხვევაში ის ახდენს ორგანიზმის პროცესების სტიმულირებას (თესლის ელექტროდამუშავება), სხვა შემთხვევაში ავად-მყოფობის წარმოშობას იწვევს;

**ენერგიის განახლებადი წყაროები** – დედამიწის ბუნებაში, ეკოლოგიურად უსაფრთხო და სუფთა, მუდმივად აღდგენადი (განახლებადი) მზეში, ქარში, ოკეანეში, მდინარეებში დაცული (არსებული) ჰიდროენერგიის წყაროები, რომელთა გამოყენება პლანეტის დამატებით გათბობას არ იწვევს;

**ეროვნული მოქმედების გეგმა გარემოს დაცვის შესახებ** – გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურების მიერ შემუშავებული მოკლე- და გრძელვადიანი ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც მოიცავენ პირველი რიგის ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებს, მკვეთრად ფორმულირებული კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავებული პრიორიტეტების დად-

- გენას, წარმოებაში ეკონომიკურად ეფექტური მოქმედების ღონისძიებების (გარემოდაცვითი პროექტების) შემუშავებას;
- ეროვნული პარკი** – ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანამანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობის მიზნით შექმნილი სახმელეთო ტერიტორია და/ან აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე არსებული ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან მცირედ დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და ველური ცოცხალი ორგანიზმების სახეობები;
- ეროვნული პარკის ზონები** – ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, სასიცოცხლო გარემოს დაცვის, ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების, ბუნების ობიექტების აღდგენისა და დაცვის, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლის მიზნით ეროვნულ პარკში გამოიყოფა: ბუნების მკაცრი და მართვადი დაცვის, ვიზიტორების, აღდგენის, ისტორიულ-კულტურული, ადმინისტრაციის, ტრადიციული გამოყენების ზონები;
- ეროვნული სტრატეგია ბუნების დაცვის** – სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს: გარემოს ყველაზე აქტუალური მოთხოვნილებების გამოვლენა, ქვეყანაში ეკოლოგიური პრობლემების ფართო განხილვის სტიმულირება, ეკოლოგიური შემეცნების განვითარება, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყოფა და ა.შ.
- ეროზია ნიადაგის** - ზედაპირული წყლებისა და ქარების (დეფლაცია) მოქმედებით ნიადაგების ზედაპირული ფენის დეგრადაცია, რაც იწვევს მათი პროდუქტიულობის მკვეთრ შემცირებას;
- ეტალონი ბუნებრივი** – ესა თუ ის ტერიტორია ან აკვატორია, რომელზედაც ბუნებრივი სისტემა ხელუხლებელია და პირვე-

ლადი მდგომარეობითაა (ჩვეულებრივად, კლიმაქსის ფაზა-შია, ანუ მდგრადია) შენარჩუნებული, ან კიდევ, ბუნების ჩამოყალიბების პროცესში, ანთროპოგენური დატვირთვების შედეგად, ამა თუ იმ ხარისხის დარღვევას ჰქონდა ადგილი;

**ექსპერტიზა გეოგრაფიული** – გეოგრაფოსი-სპეციალისტების მიერ, ბუნების კომპონენტების ნორმალური ფუნქციონირების ასპექტების გათვალისწინებით, გარემოს ობიექტების ან რაიმე ტერიტორიების პოზიტიური გზით შეცვლის ან მის ნეგატივიზმზე დადებითი ზემოქმედების მიზნით შემუშავებული პროექტების შემოწმება და შესაბამისი შეწორებების შეტანა. იგი მოიცავს: ბუნებრივი ფაქტორების გავლენითა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზემოქმედებით გარემოს თანამედროვე მდგომარეობის შეფასებასა და გეოგრაფიულ პროგნოზირებას;

**ექსპერტიზა გეოეკოლოგიური** – მშენებლობის ან ნაგებობის (ნავსადგური, ჰეს-ი), ან რაიმე საწარმოს ფუნქციონირების შედეგების გამოვლენის მიზნით, სპეციალისტების ან მათი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა ან ნეგატიური ეკოლოგიური ასპექტების შეფასება;

### 3

**ვიდეოგაბინძურება** - საქალაქო არქიტექტურის ნაგებობათა ელემენტებით გაჯერების შედეგად ადამიანის ფსიქიკის მოშლა, ან აგრესიულობის წარმოქმნა;

**ვიზიტორების ზონა (ეროვნულ პარკში)** - ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნით ეროვნულ პარკში შექმნილი ერთ-ერთი ზონა;

**ვერცხლისწყალი** - მძიმე ლითონია. მისი შენაერთები მეტად სახიფათო ნივთიერებას წარმოადგენენ, რომლებიც აბინძურებენ ატმოსფეროს, წყლებს, კვების პროდუქტებს. შედარებით ნაკლებად სახიფათოა ვერცხლისწყლის არააქ-

როლადი ლითონური და არაორგანული მარილები. მათი სახიფათო მოქმედება შესაძლებელია ორგანიზმში საკვები პროდუქტების გზით მოხვედრისას. მთავარი საშიშროება ვერცხლისწყლის შემცველი ორგანული (მეთილვერცხლისწყალი) შენაერთებიდან მოდის, რომელიც ამ ლითონის წყალში ჩაშვების შემთხვევაში წარმიქმნება. ამ ნივთიერებას დიდი რაოდენობით აგროვებენ ცენტრალური აზიის (უზბეკეთი) ტბებისა და მდინარეების ბინადარი თევზები, რომელთა ზომიერად მიღება ადამიანისათვის სასიკვდილოა;

## ზ

- ზონა გაბინძურების** – ტერიტორია, რომლის ფარგლებში გავრცელებული ან შემოტანილი საშიში ქიმიური ნივთიერებების ასევე ბიოლოგიური (ბაქტერიული) საშუალებების რაოდენობა, რაიმე დროის განმავლობაში, სახიფათოა სოფლის მეურნეობისა და (მცენარეები და ცხოველები) მოსახლეობისათვის;
- ზონა ეკოლოგიური რისკის** – ხმელეთის ზედაპირი და მსოფლიო ოკეანის აკვატორია, რომელზედაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის (ნავთობის წყალქვეშა - შეღწევაზე მოპოვება, ნავთობისა და მისი პროდუქტების ტანკერებით გადაზიდვის სახიფათო ტრასები, მათი ავარიების ადგილები და ნავთობის წლებში ჩაღვრის კერები, შხამიანი და რადიაციული ნივთიერებების ნარჩენთა განამარხების ადგილები) შედეგად შესაძლებელია სახიფათო ეკოლოგიური სიტუაციების შექმნა და გამოწვევა;
- ზონა ეკოლოგიური უბედურების** – სამეურნეო საქმიანობის ან სხვა ზემოქმედების შედეგად გარემოში შექმნილი მდგომარეობა, მიმართული სერიოზული ეკოლოგიური

- ბალანსის რღვევისა და მნიშვნელოვანი გაბინძურებისაკენ, რომლებსაც თან სდევს მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ბუნებრივი წონასწორობისა და ეკოსისტემების დარღვევა ფაუნისა და ფლორის დეგრადაცია;
- ზონა საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების (ეკოლოგიური კრიზისის)** – ესა თუ ის ოფიციალურად განცხადებული ტერიტორია, სადაც გარემოს არასასურველი და არახელსაყრელი ცვლილებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მისი კეთილდღეობას, ბუნებრივ ეკოსისტემებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური ფონდები აშკარა საშიშროებას განიცდის;
- ზონა ტექნოგენური ზემოქმედების** – საწარმოო (სამეურნეო) ობიექტის ზემოქმედების გავრცელების ტერიტორია, რომლის ფარგლებში აშკარად ჩანს ჰაერის, წყლის, ქანების, რელიეფისა და სხვათა მდგომარეობის (გაბინძურება, ბალანსების დარღვევა, ბუნებრივი ლანდშაფტების დეგრადაცია და ა.შ.) მკვეთრი გაუარესება;
- ზონა უბედურების** – საგანგებო სიტუაციის ზონის ნაწილი, რომელიც, ამ საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციის მიზნით, მოითხოვს დამატებითი დაუყოვნებლივი დახმარების გაწევას, მატერიალური რესურსების გაღებას;
- ზღვრული დასაშვები გადაშვებები (ზღგ)** – ამა თუ იმ ბუნებრივ პირობებში (რეჟიმში) არსებული ობიექტების ფარგლებში, როგორც წესი, გამდინარე წყლებში შემოსული ნივთიერებათა მაქსიმალური რაოდენობის შემოსვლის შემთხვევაში - წყლის ხარისხის გაფუჭებას ადგილი არა აქვს;
- ზღვრული დასაშვები გადაყრები (ზღგ)** - ნივთიერებათა მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა, რომლის გადაყრა (შეფრქვევა, შემოღინება) გამდინარე წყლებში, რაიმე დროის მანძილზე, ხელს უწყობს წყლის მისაღები ხარისხის შენარჩუნებას. ბინძური შემოღინების შედეგად, ზღგ-ის ზრდის შემთხვევამ, შესაძლოა წყლის ეკოსისტემის ეკოლოგიური ზარალი გამოიწვიოს;

**ზღვრული დასაშვები (კრიტიკული) დატვირთვები** – გარემოზე ერთი ან რამდენიმე გამაბინძურებელი (მაგნე) ნივთიერებათა ზემოქმედების დონე, რომლის გადამეტებამ შესაძლოა გარემოს ნეგატიური გარდაქმნები გამოიწვიოს;

**ზღვრული დასაშვები დონე (ზდდ)** – გარემოს სპეციფიკური გამაბინძურებლების (ხმაური, რადიოაქტიურობა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება) მიერ დატვირთვის მაჩვენებელი, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში მისი სტრუქტურის ნგრევასა და ფუნქციის რღვევას აქვს ადგილი;

**ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ)** – ეკოლოგიური ნორმატივი, რომელიც აღნიშნავს წყლებში, ნიადაგებში, ატმოსფეროში ან საკვებ პროდუქტებში ნივთიერებების ზღვრულ კონცენტრაციას, რომლის დროსაც ადამიანისა და მისი შთამომავლობის ჯანმრთელობის შერყევას ადგილი არა აქვს. ზდკ-ს იყენებენ გარემოსა და საკვები პროდუქტების გაბინძურების კონტროლისა და ეკოლოგიური ნორმირებისათვის. ნორმატივების დრო და დრო გადასინჯვა და გამკაცრებას აქვს ადგილი. ყველაზე მკაცრი ნორმატივები იაპონიაშია მიღებული, ყველაზე რბილი - რუსეთში: ატმოსფეროში მტვრის შემცველობის ზდკ: 0,15 მგ/მ<sup>3</sup>; ნახშირბადის ოქსიდისა - 1 მგ/მ<sup>3</sup>; გოგირდის ოქსიდის - 0,5 მგ/მ<sup>3</sup>; აზოტის დიოქსიდის - 0,085 მგ/მ<sup>3</sup>; ბენზ(ა)პირენის - 0,0000001 მგ/მ<sup>3</sup>. წყალში ბენზოლისა და ალუმინის ზდკ 0,5 მგ/ლ შეადგენს, დიქლორდიფენოლტრიქლორი (დდტ) - 0,1 მგ/ლ; ბენზ(ა)პირენი - 0,000005 მგ/ლ. ნიადაგში ტყვიის ზდკ 32,0 მგ/კგ-ს, ფორმალდეჰიდისა - 7მგ/კგ, ვერცხლისწყლისა - 2,1მგ/კგ, ხოლო ბენზ(ა)პირენისა - 0,02 მგ/კგ;

**ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) ქიმიური ნივთიერებების ნიადაგში** – ნიადაგში ადამიანისათვის არამავნე ქიმიური ნივთიერებების კომპლექსური შემადგენლობის მაჩვენებელი, როცა მისი დასაბუთების კრიტერიუმში ასახავს მახასიათებელ გარემოზე გამაბინძურებელის ზემოქმედების შესაძლო გზებს, ასევე ნიადაგის ბიოლოგიურ აქტიურობასა

და მისი თვითგაწმენდის პროცესებს; ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზდკ-ის დასაბუთება ეყრდნობა მავნეობის 4 ძირითადი კრიტერიუმის ექსპერიმენტალურ განსაზღვრას: 1. ტრანსლოკაციური – ახასიათებს ნივთიერების გადასვლას ნიადაგიდან მცენარეებში; 2. მიგრაციული (წყლის) – აფიქსირებს ნივთიერებათა გადასვლას ნიადაგიდან მიწისქვეშა წყლებსა და წყლის სხვა წყაროებში; 3. მიგრაციული (ჰაერის) – აფიქსირებს ნივთიერებათა გადასვლას ნიადაგიდან ჰაერში; 4. ზოგადსანიტარული – აჩვენებს გამაბინძურებელი ნივთიერების მიერ ზემოქმედების გავლენას ნიადაგის თვითგაწმენდის უნარსა და ბიოლოგიურ აქტიურობაზე. ზემოქმედების ყოველი სახის შეფასება მიმდინარეობს მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით და შემადგენელ ნივთიერებათა მავნეობის დასაშვები დონის დასაბუთებით. ამასთან, შემადგენლობის ყველაზე უმცირესი მაჩვენებელი წარმოადგენს რა მალიმიტირებელ დონეს და მიიღება ზდკ-ას მახასიათებლად;

**ზღვრული დასაშვები ნორმატივი ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების** – ატმოსფერულ ჰაერზე ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური და სხვა ფიზიკური ზემოქმედებების წყაროების მიმართ დადგენილი ნორმატივი, რომლის დროსაც ამ წყაროების მიერ ზღვრული დასაშვები დონეები ჰაერზე რაიმე ნეგატიურ ფიზიკურ ზემოქმედებას არ იწვევს;

**ზღვრული დასაშვები შემოფრქვევა (ზდშ)** – დადგენილი ნორმატივების მიხედვით ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე ნაკლები გამაბინძურებლების ნაკადის რაოდენობა ფართობის ან მოცულობის ერთეულებზე;

## ○

**ინსექტიციდები** - ქიმიური პრეპარატები, რომლებსაც სასოფლო და სატყეო მეურნეობებში იყენებენ მავნე მწერების პოპუ-



ლაციის სიმჭიდროვის კონტროლის მიზნით. გარემოში მოხვედრისას ისინი იწვევენ ადამიანისათვის სასარგებლო მწერების განადგურებასაც, რაც ამცირებს კულტურული მცენარეების (წიწიბურა, მზესუმზირა, ჯვაროსანნი, ნაყოფის-მომცემი და ხილეული) მოსავლიანობას;

**ინტროდუქცია** – ადამიანის მიერ ორგანიზმების სახეობების გავრცელების არელების (ფარგლების) გარეთ წინასწარ-განზრახული ან შემთხვევითი გადასახლება;

**ინტროდუქცია მცენარეთა** - მცენარეთა კულტურული ჯიშების შემოტანა იმ ადგილებში, სადაც ისინი ადრე არ ხარობდნენ. მას ორი ფორმა გააჩნია: ნატურალიზაცია და აკლიმატიზაცია.

### 3

**კადასტრი** – ქვეყანაში უძრავი ქონების ფრაგმენტთა საზღვრების პერიოდული (ტოპოგრაფიული აგეგმვები) ან განუწყვეტელი გაზომვების (დაკვირვებების) საფუძველზე, ეკონომიკური რესურსების შესახებ სისტემატიზებული და ოფიციალური მონაცემების შეგროვება, რომლებიც გამოიყენება: ბუნებრივი რესურსების გამოყენების საფასურებისა და გადასახადების აღრიცხვის, ობიექტების ღირებულებათა შეფასებების, დაგირავებისა და გაყიდვის მიზნით;

**კადასტრი მიწის სახელმწიფო** – მიწების გადასახადების აღრიცხვის დაანგარიშების მიზნით აუცილებელი მონაცემებისა და დოკუმენტების სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს: მიწის სამართლებრივ რეჟიმს, მის გადანაწილებასა და მესაკუთრეობას; მონაცემებს მიწის მფლობელობის, მოსარგებლეობისა და მოიჯარეობის შესახებ; მიწების კატეგორიებად დაყოფას; ხარისხობრივ და ღირებულებრივ ნიშნებს;

**კადასტრი წყლის** – რეგიონების სამეურნეო საქმიანობის მსვლელობაში წყლის რესურსების სიდიდეთა და წყლების გამოყენების ფორმების შესახებ მონაცემთა სისტემატიზაცია,

რომელიც მოიცავს ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლებისა და ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიურ შესწავლილობას;

**კადასტრული აგეგმვა** - მიწის ნაკვეთებზე გეოდეზიურ სამუშაოთა ჩატარება, რომელთა მიერ განსაზღვრულია:

- მიწათმოსარგებლეთა მიერ დაკავებული მიწის საზღვრები და გასამიჯნი ნიშნები;
- განაშენიანებული ან კეთილმოწყობილი ტერიტორიების ფართობები;
- მყარი საფარების გზებისა და გაზონების არსებობა;
- ნაგებობათა მახასიათებლები;
- ინფორმაცია მიწის საზღვრებზე საკამათო საკითხების არსებობა ან არ არსებობის შესახებ;

**კადასტრი მრავალმიზნობრივი** - კადასტრული აგეგმვების შედეგად და, მიწის ნაკვეთების საკუთრების შესახებ რუკების შედგენის საფუძველზე, საკუთრებაში არსებული უბნებისა და მათი მფლობელების რეესტრის შედგენა და წარმოება, მიწების კლასიფიკაციისა და შეფასების განხორციელება.

მრავალმიზნობრივი კადასტრის შემადგენელი ნაწილებია:

- საადგილმამულო რეესტრი;
- საკუთრების რეესტრი;
- არენდის რეესტრი და სხვ.

**კადასტრული რუკა** - კადასტრული აგეგმვის შედეგი, ადგილის დეტალური რუკა, შემოლიც მოიცავს მიწათმოსარგებლობის უბნების საზღვრებს, მიწათმფლობელობის პირობითი ნიშნების აღ-ნიშვნით;

**კანცეროგენული ნივთიერებები** - უმთავრესად ანთროპოგენური წარმოშობის ქიმიური (პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები, ბენზ(ა)პირენები, დარიშხანი, აზბესტი) ნივთიერებები ან რადიოაქტიური გაბინძურების ხელშემწყობი ფიზიკური აგენტები (რადიოაქტიური ელემენტების იზოტოპები), რომლებიც იწვევენ ან ხელს უწყობენ ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ფორმირებას;

- კატასტროფა ბუნებრივი** – ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური ან ანთროპოგენური სისტემების მდგრადობის დაკარგვა, რომლის გამომწვევ ფაქტორებად გვევლინება ამ სისტემების შიდა და გარე ფუნქციონალური მახასიათებლების – პარამეტრების შესამჩნევი ცვლილებები;
- კონსერვაციონიზმი** – საზოგადოებრივ-ეკოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი სახე, რომლის თანახმად მოწოდებულია ბუნებისა და მისი კომპონენტების პირველადი სახით (შეუცვლელად) მთლიანი და უსიტყვო შენარჩუნება. მისი უკიდურესი ფორმაა ლოზუნგი: "უკან მღვიმეებსა და გამოქვაბულებში";
- კონტროლი გარემოს გაბინძურების** – ადამიანის ნორმალური ცხოველყოფილობის (გარემოს მონიტორინგის შემადგენელი ნაწილი) მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე, დაკვირვებები გარემოს ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებისა და მისი მავნე ნივთიერებებით გაჯერებულობის სიდიდეების შესაბამისობასთან;
- კონტროლი გარემოს** – სახელმწიფოს სპეციალურად რწმუნებული ორგანოების მიერ გარემომცველი სივრცის მდგომარეობისა და მისი საზოგადოების სამეურნეო ან სხვა სახით საქმიანობის შედეგად გამოწვეული ცვლილებების დასადგენად დაკვირვებების ჩატარება, ასევე ბუნების დაცვის გეგმებისა და ღონისძიებების შესრულების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს გაჯანსაღების მიმდინარეობის კონტროლი;
- კონტროლირებადი ზემოქმედება** – გარემოზე ზემოქმედების ის ნაწილი, რომელიც გაწერილია სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგებით, ეყრდნობა სახელმწიფო ეკოლოგიური მონიტორინგისა და კონტროლის მონაცემებს;
- კონცენტრაცია ატმოსფერული მინარევების** – ჰაერის მასისა და მოცულობის ერთეულზე მოქცეული ნივთიერებათა რაოდენობა, რომლებიც განსაზღვრავენ მის ნორმალურ მდგომარეობას;

- კონცენტრაცია ატმოსფერული მინარევების საშუალოწლიური** – ატმოსფერულ ჰაერში მინარევების კონცენტრაცია, რომელიც მიღებულია საშუალოდღიური მაჩვენებლების პროგრამული კონტროლის მიხედვით ჩატარებული დაკვირვებების (თვეში არანაკლებ 20 და წლიურად არანაკლებ 200 დღე) შედეგად;
- კონცეფცია დოვლათიანობის (ბარაქიანობის)** – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, ბუნებრივი რესურსების ხელოვნური პროდუქციით შენაცვლების შედეგად (სინთეტიკური მასალები, პოლიმერები, ტყავისა და ქსოვილების ან საკვები პროდუქტების ხელოვნური ანალოგები), ადამიანთა კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ცრუ და უსუსური თეორია;
- კონცეფცია ეკოლოგიური რისკის** – ბუნებადაცვითი თვალსაზრისით ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომლის შედეგად მიიღება ეკონომიკურად ეფექტური და სოციალური გამართლებული გარემო, როცა ბუნების ობიექტებსა და ეკოსისტემაზე (მათ შორის, ადამიანზე) ზემოქმედებები მინიმუმამდეა დაყვანილი;
- კონცეფცია "ხუფის" ანუ გაბინძურების "გუმბათები"** - ამა თუ იმ საწარმოთა (მაგ., სავაჭრო) ფარგლებში გადანაყრების (შემონაფრქვევების) ინდივიდუალური ან ტერიტორიული უბნებზე საკუთარი ზდმ-ისა და ზდგ-ის დროებითი განთავსების უფლების მინიჭება;
- კრიტიკული ეკოლოგიური დატვირთვა (კონცენტრაცია)** – ანთროპოგენული ფაქტორის ის მინიმალური კონცენტრაცია, რომელიც გარემოს ისტორიულად ჩამოყალიბებული კონკრეტული (ცვლადი) პოპულაციის ან/და თანასაზოგადოების (ბიოცენოზის) სტრუქტურულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის სტატის-ტიკურად (რაოდენობრივად) დამაჯერებელ ცვლილებს იწვევს და ბიოსისტემის ადაპტაციური შესაძლებლობების ფარგლებს სცილდება.

## ლ

**ლანდშაფტები ბუნებრივი** – სივრცებრივად ბუნებრივი საზღვრებითაა შემოსაზღვრული ბუნებრივი კომპლექსები, რომელთა ფარგლებში ბუნებრივი კომპონენტები ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ სისტემაში არსებობენ;

**ლანდშაფტი** – ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ძირითადი ერთეული, რომელიც გენეტურად ერთიანი რეგიონია რელიეფის ერთი ტიპით, გეოლოგიური აგებულების, კლიმატის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ზოგადი ხასიათით, აგრეთვე ნიადაგების, მცენარეულობისა და ცხოველების კანონზომიერი შეთანაწყობით. გენეტური ასპექტების მიხედვით გამოიყოფა ლანდშაფტები: ანთროპოგენური, ბუნებრივი, გეოგრაფიული გეოქიმიური, კულტურული, აკულტურული, აგრიკულტურული, ჭაობების, ელემენტარული და სხვ;

**ლანდშაფტი ისტორიულ-კულტურული** – ანთროპოგენური წარმოშობის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ან მის რაიმე ეტაპში შექმნილი და მატერიალურად შესაბამისი მოვლენის ამსახველი ლანდშაფტი, რომელიც საკუთარი ეთკურ-ესთეტიკური და სხვ. კულტურული ღირებულებებით გამოირჩევა;

**ლანდშაფტის პოტენციალი (ტევადობა)** – განსაზღვრული ტერიტორიის რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომელიც ლანდშაფტის თვითრეგულაციის დონის მისაღწევი პროცესის ზიანის მიუყენებლად ადამიანთა მიერ შესაძლებელია იყოს გამოყენებული რეკრეაციული, სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

**ლანდშაფტი ჰარმონიული** – ბუნებრივი და ანთროპოგენური კომპონენტების ფუნქციონალური გაწონასწორების შედეგად ლანდშაფტში მათი მაღალესთეტიკური შერწყმის მიღწევა;

**ლანდშაფტების მართვა** – ლანდშაფტების რესურსების (ნიადაგები, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო) შენარჩუნება-

ხელშეწყობისა და მიმართული განვითარების მიზნით რიგი ხერხებისა და მეთოდების გამოყენება;

**ლიკვიდაცია საგანგებო სიტუაციების** – ავარიულ-მაშველური და სხვა გადაუდებელი საქმიანობანი, რომელთა წარმოება უკავშირდება საგანგებო სიტუაციების წარმოშობას და მიმართულია ადამიანთა გადარჩენისა და მათი ჯანმრთელობის დაცვისაკენ, ასევე გარემოს ზარალის შემცირების, საგანგებო სიტუაციათა ზონების ლოკალიზაციის, საშიში ფაქტორების მოქმედებათა შეჩერებისაკენ;

**ლიმიტი ბუნებათსარგებლობის** – ეკოლოგიური ტერიტორიული შეზღუდულობის სისტემა, რომელიც განისაზღვრება ამა თუ იმ დაწესებულებისა და წყალმოსარგებლეთა მიმართ განსაზღვრული ვადითა და მოიცავს ბუნებრივი რესურსების ათვისების, გამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში შემოფრქვევისა და ჩადინების, წარმოების ნარჩენების განლაგების ადგილებისა და რაოდენობების ზღვრულ დასაშვებ მოცულობებს;

**ლიმიტი ნარჩენების განთავსებაზე** – კონკრეტული სახის ნარჩენების ზღვრული დასაშვები რაოდენობა, რომელთა განთავსება ნებადართულია განსაზღვრულ ადგილებში, მითითებული ობიექტების ფარგლებში და შემუშავებული წესების დაცვით;

**ლიცენზია** - ბუნებათსარგებლობაში წარმოადგენს დოკუმენტს, გაცემულს შესაბამისი რწმუნებული ორგანოს მიერ განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე, რომელიც მის მფლობელს, გარკვეული დროით, ანიჭებს ამა თუ იმ რაოდენობის ბუნებრივი რესურსის ათვისების (გამოყენების) უფლებას;

**ლიცენზია კომპლექსური ბუნებათსარგებლობის შესახებ** – ბუნებრივი რესურსების ათვისების ზღვრული მოცულობების, მათი გამოყენების შეზღუდულობისა და გარემოს გაბინძურების მოთხოვნების, აგრეთვე ბუნებათსარგებლობის პირო-

ბების შესახებ კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტი;

**ლიცენზია წიაღით სარგებლობის შესახებ** – წიაღის ათვისების (მოპოვება, გადამუშავება), პროცესში მისი მფლობელის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი წიაღის გამოყენების საზღვრების, წესისა (ნარჩენებისა და გადანაყრების უტილიზაცია) და ვადების შესახებ;

**ლიცენზია წყალსარგებლობის** – განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით წყლის ობიექტებისა და მისი ნაწილებით სარგებლობის სპეციალური ნებართვა;

## მ

**მაცნე ორგანიზმები** – ცოცხალი ორგანიზმების სახეობები (მცენარეთა ინფექციური დაავადებების გამომწვევი და მავნებლები), რომელთა რიცხოვნების განსაზღვრული სიდიდეზე გადაჭარბების ან განვითარებისა და გავრცელების კრიტიკული დონის მიღწევის შემთხვევაში, სახეზეა ტყეებისა და ტყის პროდუქციის ეკოლოგიური დეგრადაცია და ეკონომიკური ზარალი;

**მაზუთი** - ნავთობის გადამუშავების ნარჩენი პროდუქტი, რომელიც ერთ-ერთ ბინძურ სათბობს წარმოადგენს. მისი წვის დროს ატმოსფეროში გოგირდის დიოქსიდის წარმოქმნას აქვს ადგილი.

**მაკულატურა** – ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენები, მოხმარებიდან გამოსული და წუნდებული ქაღალდი, მუყაო, ტიპოგრაფიული ნაწარმი, საქმის ქაღალდი და სხვ;

**მანიპულაციები დაცული ტერიტორიების** – მეცნიერული კვლევისა და მოვლა-პატრონობის აქტიური ქმედება-საქმიანობა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი მასალის მოპოვების, ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მოწყობის, ცხოველთა სახეობების ინტროდუქციის, რეინტროდუქციის,

ტრანსლოკაციისა და სანიტარული აღდგენითი და მოვლითი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ჩატარებისაკენ;

**მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები** - ელექტროტოკის შორ მანძილზე ტრანსპორტის დროს ელექტრომაგნიტური გამოსხივებისას შექმნილი გაბინძურება სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ხაზების გასწვრივ დარღვეულია ბუნებრივი ლანდშაფტების იერ-სახე, ხშირია ფრინველებისა და ზოგჯერ ადამიანთა დაღუპვა, მათი გაყოლებით ფორმირებული ოზონი ანადგურებს ტყის მასივებს;

**მდგრადი განვითარება** - თანამედროვე და მომავალი თაობების მდგრადი ანუ ბალანსირებული ეკონომიკის უზრუნველსაყოფი განვითარება;

**მდგრადი განვითარების მაჩვენებლები** – რეგიონების, ქვეყნების მდგრადი განვითარების სიდიდეები დაკავშირებულია გარემოს ხარისხის მდგომარეობასთან, რაც ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებითაა განსაზღვრული;

**მდგრადი განვითარების სახელმწიფო სტრატეგია** – ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების, ეკონომიკის განვითარებისა და ბუნებათსარგებლობის, ასევე სოციალური, მეცნიერულ-ტექნიკური და რეგიონული განვითარების ხელშეწყობა იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ეკონომიკური აქტიურობის შეზღუდვის უმთავრესი ფაქტორი ბიოსფეროს განვითარების პრობლემაში მდგომარეობს;

**მელორაცია ნიადაგების** - რაციონალური ბუნებათსარგებლობის სახე, როცა ღონისძიებათა კომპლექსის წარმოება მიმართულია ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ან ადგილის საერთო გაჯანსაღებისაკენ და შეიძლება შეეხოს მთლიან ლანდშაფტს ან მის ცალკეულ ნაწილებს: მდელოებს, წყლის აუზებს, ნიადაგებსა და ა.შ. განასხვავებენ: ჰიდროტექნიკურ (დაშრობა, მორწყვა, მლამობების ჩარეცხვა), ქიმიურ (მოკირიანება, თაბაშირის შეტანა, დაჟანგვა), ფიზიკურ (აგროფიტომელორაცია, მოთიხნარება, მოსილვა) მელორაციას;



- მელორაციული სისტემა** - ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსი ან სხვა სახის საქმიანობა, რომელიც მიმართულია წყლებისა და ჰაერის, ნიადაგების სათბური და საკვები ოპტიმალური რეჟიმების შექმნისაკენ;
- მელორაციული ფონდი** - სასოფლო-სამეურნეო მიწებით გამოყენებისათვის ვარგისი მიწები, რომელებიც საჭიროებს მელორაციას;
- მთიანი რეგიონების დაცვა** - განვითარებული სამთო-მომპოვებელი მრეწველების რეგიონებში ნეგატიური ზემოქმედებისაგან გარემოს მაქსიმალურად დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსი;
- მინდორსაცავი ტყის ზოლები** - ბუნებრივი ან ხელოვნური ტყის მცენარეების უბნები, რომელთა დანიშნულებას კულტურული მცენარეულობისათვის ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობების შექმნა ან სახნავ-სათესი მიწების ეროზიისა და ქარებისაგან დაცვა წარმოადგენს;
- მეორადი ენერგეტიკული რესურსები** - განმეორებით გამოყენებადი წარმოებისა და მოხმარების ნარჩენები, რომლებსაც აქვთ სითბური ან/და ელექტროენერჯის გამოყოფის უნარი;
- მეორადი მატერიალური რესურსები** - წარმოებისა და მოთხოვნილების ნარჩენები, რომელთა წარმოქმნა მიმდინარეობს სახალხო მეურნეობაში და რეალურად არსებობს მათი მეორადი გამოყენების (უშუალოდ ან დამატებითი გადამუშავების შედეგად) შესაძლებლობა;
- მეორადი ნედლეული** - მეორადი მატერიალური რესურსები, რომლებსაც გააჩნიათ მეურნეობაში გამოყენების რეალური შესაძლებლობანი და მიზანშეწონილობა;
- მეორადი პროდუქცია** - სხვადასხვა ობიექტების ნივთიერებები, მასალები, საკომპლექტაციო ნაკეთობანი, დეტალები, ფუნქციონალური კვანძები, ბლოკები და აგრეგატები, რომლებსაც თავიანთი მოხმარების ვადა აქვთ დაკარგული და შემდგომი ექსპლოატაციისათვის, დირექტიული მოთხოვნილებებისა და/ან ნორმატიული დოკუმენტაციების თანახმად, არ არიან

გამოსადეგარნი, თუმცა სასაქონლო თვისებები არ დაუკარგავთ;

**მეორადი რესურსები** - ამ თუ იმ ნედლეულის, ნივთიერებების, მასალებისა და პროდუქციის დანაგროვებები, რომლებიც წარმოქმნილია წარმოებისა და მოხმარების პროცესების მსვლელობისას, არ შეიძლება იყვნენ გამოყენებულნი პირდაპირი დანიშნულებით, თუმცა მეორადი ათვისებისათვის (ნედლეულის, ნაკეთობათა ან ენერჯის მიღება) პოტენციალურად ვარგისნი არიან;

**მიწათსარგებლობა** - მიწების გამგებლობის ფორმა, სასარგებლო თვისებების ან შემოსავლების მიღების მიზნით რომელიც შესაძლებელია: თავისუფალი მეურნეობის, ტერიტორიის რაციონალური ორგანიზაციის, მიწების განადგურებისა და გაბინძურების პროცესების დაცვის, სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გზებით;

**მიწები ბუნებადაცვითი დანიშნულების** – აღკვეთილების (სამონადირეოს გარდა), აკრძალული და ქვირითის ყრის ზოლების მიწის ნაკვეთები, ასევე დაცვის ფუნქციების მქონე ტყეებით დაფარული მიწები, ბუნებრივი ძეგლების მიდამოებისა და გარემოს დაცვის სისტემაში შემავალი სხვა სახის ტერიტორიები;

**მიწები გაჯანსაღებითი დანიშნულების** – ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების მქონე (მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახის ბუდობები, კლიმატური და სხვა პირობები) მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ადამიანთა მკურნალობისა და პროფილაქტიკის ორგანიზაციისათვის საჭირო ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ;

**მიწები ისტორიულ-კულტურული დანიშნულების** – ისტორიისა და კულტურის ძეგლების, ღირსშესანიშნაობათა და ნაკრძალების, ეროვნული პარკების, მუზეუმ-ნაკრძალების (ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის) განლაგების ადგილები, ასევე კულტურის დაწესებულებების ნაგებობებით, სამხატვრო და ტრადიციულ რეწვასთან ან რაიმე

- ხელოვანობასთან ან გამოყენებით ხელოვნებასთან დაკავშირებული ობიექტებით დაკავებული მიწები;
- მიწები რეკრეაციული დანიშნულების** – მოსახლეობის მასიური დასვენებისა და ტურიზმის ორგანიზაციისა და გამოყენების მიზნით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები;
- მიწები საერთო სარგებლობის** – დაცვის ზონებით, გზებით, გასასვლელებით, საერთო სარგებლობის ობიექტებითა და სხვა ნაგებობებით დაკავებული მიწის ნაკვეთები;
- მიწები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების** – სოფლის მეურნეობის დარგების საჭიროებისათვის მიჩენილი ან ამ მიზნებისათვის განკუთვნილი მიწები;
- მიწები ტყის ფონდის** – ტყეებით დაფარული ან სატყეო მეურნეობისა და ტყის მრეწველობის საჭიროებისათვის გამოყოფილი უტყეო მიწები;
- მიწების მარაგი** – საკუთრებაში ან ვისიმე მფლობელობაში ან იჯარაში არ მყოფი ან საკუთრების, მფლობელობისა და სარგებლობის უფლება შეწყვეტილი მიწები;
- მყაუნა წვიმები** – მეტალურგიული ან ქიმიური მრეწველობის ნარჩენების ატმოსფეროში გამობოლქვის გამო გოგირდოვანი თოვლის ფანტელის ან წვიმის წვეთების შემცველი ატმოსფერული ნალექების მიერ ფორმირებული გოგირდოვანი მჟავა ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებას იწვევს, ახდენს მცენარეულობისა და ცხოველების ავადობას, შენობა-ნაგებობების დაზიანებას;
- მონიტორინგი** – ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების მდგომარეობების შესწავლისათვის სპეციალურად ორგანიზებული სისტემატური დაკვირვებები მათი შეფასების, კონტროლისა და პროგნოზის მიზნით;
- მონიტორინგი ბუნებრივი გარემოს** – ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის, მისი მოსალოდნელი კრიტიკული სიტუაციებისა და გაბინძურების, მდგომარეობის შეფასებებისა და პროგნოზირების, ადამიანის ჯანმრთელობისა და სხვა ორგანიზმების სახიფათო და საზიანო მდგომარეობათა შესახებ გაფრთხი-

ლებების შემუშავების მიზნით რეგიონების რეგულარული სივრცე-დროითი, ხანგრძლივი დაკვირვებების ჩატარება და შესაბამისი სისტემის მოწყობა;

**მონიტორინგი გეოლოგიურ-ეკოლოგიური** - გეოლოგიური ობიექტების (მიწისქვეშა წყლები, წიაღისეულის, ქანების) რეჟიმის დადგენის მიზნით დაკვირვებათა სისტემა, შეფასება და მდგომარეობის პროგნოზი;

**მონიტორინგი ეკოლოგიური** - ბუნებრივი გარემოს ცვლილებებით გამოწვეული ეკოსისტემების, პოპულაციებისა და ორგანიზმების (მათ შორის ადამიანის) პროცესების თვალთვალის სისტემა, რომლის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციების მდგომარეობა, ადამიანის ჯანმრთელობა და ა.შ. განასხვავებენ ფონურ და ლოკალურ ეკოლოგიურ მონიტორინგს. პირველ შემთხვევაში, დაკვირვების ობიექტს ბიოსფერო და მისი ქვედანაყოფი - ბიომი წარმოადგენს, ხოლო მეორეში კონკრეტული ობიექტების (ლანდშაფტების) ანთროპოგენური ცვლილებები იხილება;

**მონიტორინგი სოციალურ-ჰიგიენური** - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საარსებო გარემოს მდგომარეობის, ასევე მათი ანალიზის, შეფასებისა და პროგნოზის ჩატარების, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობასა და მასზე გარემოს ფაქტორების ზემოქმედებებს შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი ურთიერთკავშირების განსაზღვრის მიზნით სახელმწიფოს მიერ დაკვირვებათა სისტემის შექმნა;

**მონიტორინგი კოსმოსური** - კოსმოსური საშუალებების გამოყენებით მონიტორინგის ჩატარება, რომელიც ოპერატიულად ახდენს გარემოს ძლიერი ცვლილებების კერებსა და ხასიათს, აჩვენებს პროცესების ინტენსიურობას, ეკოლოგიური ძვრების ამპლიტუდებს და ტექნოგენური სისტემების ურთიერთმოქმედებებს.

**მონიტორინგის თანამგზავრული ლაბორატორია** - თანამგზავრული კომპლექსი, რომელიც მეტეოროლოგიური კოსმოსური

ხომალდებიდან ასრულებს მონაცემთა მიღებას, პოლარულ-ორბიტალური თანამგზავრებიდან (NOAA, FY-1C და FY-1D, SeaStar და GMS-5, FY-2B, FY-2S, MTSAT-1R) მასალის დამუშავებასა და არქივირებას. ინფორმაცია მოიცავს: დაკვირვების კოორდინატების, თარიღის, სეზონის კატალოგებს; გამოსახულებას მერკატორის პროექციაში; ოკეანის ზედაპირის ტემპერატურისა და ზედაპირული დინებების რუკებს;

**მონიტორინგის ობიექტი** - ბუნებრივი, ტექნოგენური ან ბუნებრივ-ტექნოგენური ობიექტი ან მისი ნაწილი, რომლის ფარგლებში განსაზღვრული პროგრამით მიმდინარეობს გარემოზე რეგულარული დაკვირვებები, მისი მდგომარეობისა და კონტროლის, მიმდინარე პროცესების გამოვლენისა და ანალიზის, დროული პროგნოზირების, ცვლილებებისა და შეფასების მიზნით;

**მონიტორინგის ძირითადი ტიპები:**

- გლობალური* – მთელი დედამიწის ბიოსფეროსა და ეკოსფეროს, აგრეთვე ეკოლოგიური კომპონენტების ფარგლებში მიმდინარე მსოფლიო პროცესების თვალთვალი და მოსალოდნელი ექსტრემალური სიტუაციების წარმოშობისა და გამოვლინების საშიშროებათა შესახებ გაფრთხილებების სისტემის ამუშავება;
- იმფაქტური* – განსაკუთრებულად სახიფათო ზონებსა და ადგილებში ბუნებრივ გარემოზე რეგიონული და ლოკალური ანთროპოგენური ზემოქმედებების მონიტორინგი;
- რეგიონული* – რაიმე რეგიონის ფარგლებში გარემოს პროცესებისა და მოვლენების თვალთვალი ჩატარება, როცა ეს პროცესები და მოვლენები თავისი ბუნებრივი, ანთროპოგენური, ფონური ზემოქმედებების მიხედვით შესაძლოა განსხვავებულიც კი იყოს მთელი ბიოსფეროს მახასიათებელი მდგომარეობისაგან;
- საბაზო* – ზოგადბიოლოგიური მოვლენების მიმდინარეობის (რეგიონალური ანთროპოგენური ზემოქმედების გარეშე) შესახებ თვალთვალი;

**მონიტორინგის ობიექტები/სახეები:**

- *ატმოსფეროს* - დაკვირვებებისა და კონტროლის სისტემა ატმოსფეროს დაბინძურების, რადიოაქტიური, სახიფათო ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების შედგენილობის, მისი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებების, ჰაერის მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირების შესახებ;
- *ბიოლოგიური* - ეკოლოგიური მონიტორინგის სახე, როცა გარემოს გაბინძურების შედეგად ცოცხალი ორგანიზმების მიერ გამოვლენილ რეაქციებზე დაკვირვებების ჩატარება მიმდინარეობს;
- *გარემოზე ზემოქმედების* - მრავალმიზნობრივი საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომლის ამოცანას წარმოადგენენ გარემოს ზემომქმედ წყაროებზე დაკვირვებების, შეფასებებისა და პროგნოზის შესრულება;
- *დისტანციური* - საავიაციო ან კოსმოსური, აგრეთვე ძნელადმისადგომ არეალებში (ჭაობები, მთიანეთები, უდაბნოები) დამონტაჟებული აპარატურის გამოყენებით მონიტორინგის ჩატარება, რომელთა ინფორმაციის ავტომატური შორეული გადაცემა (რადიო, თანამგზავრული) მიმდინარეობს დაკვირვების ცენტრებში;
- *ეპიზოტოლოგიური* - ეპიზოტოტიკური მდგომარეობის მუდმივი თვალთვალის სისტემის შექმნა, რომელიც დაადგენს ორგანიზმების ექსტრემალურად ნორმისაგან გადახრის ადრეული გამოვლინებას, მათი სივრცესა და დროში მოდელირებასა და განვითარების პროგნოზირებას, ცხოველთა დაცვის რეკომენდაციების ვარიანტების შემუშავებას;
- *ზღვებისა და ტერიტორიული წყლების მდგომარეობის* - რეგულარული დაკვირვებების სისტემა, რომელიც მიმართულია ზღვის წყლის გარემოს მდგომარეობისა და ფსკერული ნალექების ფიზიკური, ქიმიური, ჰიდრობიოლოგიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების, აგრეთვე მათი როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებების შეფასებისა და პროგნოზირებისაკენ;

- კონტინენტური შეღვის* – რეგულარული დაკვირვებების სისტემა, რომელიც მიმართულია ზღვის გარემოსა და ფსკერული ნალექების მდგომარეობის, წყლის ქიმიური და რადიოაქტიური დაბინძურების, ჰიდრობიოლოგიური და მიკრობიოლოგიური პარამეტრებისა და მათი როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებების შესწავლისაკენ;
- კოსმოსური* – კოსმოსური საშუალებების გამოყენებით დაკვირვებისა და თვალყურის დევნების (მონიტორინგის) ჩატარება გარემოს ცვლილებების კერებისა და ხასიათის ოპერატიულად გამოვლენის, პროცესების ინტენსიურობისა და ეკოლოგიური ძვრების ამპლიტუდის დადგენის, ტექნოგენური სისტემების ურთიერთმოქმედებების შესწავლის მიზნით;
- ლითოსფეროს* – დაკვირვებებისა და კონტროლის სისტემა ლითოსფეროში რადიოაქტიური, საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების შემცველობის დონის გამოვლენის მიზნით;
- მიწისქვეშა წყლების* – ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით მიწისქვეშა წყლების მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირების მიზნით დაკვირვებებისა და კონტროლის სისტემის შექმნა;
- მიწების* – გარემოს მდგომარეობის მონიტორინგში შემავალი დაკვირვების სისტემა მიწის ფონდების ცვლილებების დროული გამოვლენის, მათი შეფასებების, გაფრთხილებისა და ნეგატიური პროცესების შედეგების აღმოფხვრის მიზნით;
- ნიადაგების ქიმიური გაბინძურების* – რეგულარული დაკვირვებების სისტემა, რომელიც მოიცავს დაკვირვებებს: ქიმიური ნივთიერებებით ნიადაგების ფაქტობრივი გაბინძურების, პროგნოზული დონეების განსაზღვრის, გაბინძურების ფაქტობრივი შედეგების შეფასების, გაბინძურების წყაროების გამოვლინებების შესახებ;
- საშიში ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების* – გარემოში საშიში ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების ფორმირების,

აგრეთვე მათი წარმოშობისა და განვითარების ფაქტორების დადგენის მიზნით რეგულარული დაკვირვებებისა და კონტროლის სისტემის შექმნა;

-*საკვანძო* – თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და სხვა საფრენი აპარატების გამოყენებით (არაკოსმოსური სიმაღლეებიდან) ტროპოსფეროს ფარგლებში შესრულებული გარემოს მონიტორინგი;

-*ტყეების* - ტყის ფონდების მდგომარეობისა და დინამიკის შეფასება-პროგნოზის დაკვირვების სისტემა, რომლის მიზანია ტყეების გამოყენების, დაცვის, აღწარმოების მიღწევა;

-*წყლების ობიექტების* – ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის ნაწილი, რომელიც მოიცავს: ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ობიექტების მდგომარეობის, მათი რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების პარამეტრებზე რეგულარული დაკვირვებებს; დაკვირვების მონაცემთა შეგროვებას, შენახვას, შევსებასა და დამუშავებას; მონაცემთა ბანკების შექმნასა და წარმოებას; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივ-თვისებრივი მაჩვენებლების აღრიცხვას, წყლის რესურსების მდგომარეობის ცვლილებათა შეფასებასა და პროგნოზს;

-*ფიტოსანიტარული* – ორგანიზმების გავრცელების, რიცხოვნების, განვითარების ინტენსივობისა და მავნებლობის მოსალოდნელი დონის დადგენა და პროგნოზირება;

-*ცოცხალი სამყაროს ობიექტების* - რეგულარული დაკვირვებების სისტემა, რომელიც მიმართულია ცოცხალი სამყაროს ობიექტების გავრცელების, რიცხოვრიობის, ფიზიკური მდგომარეობის, მათი ბინადრობის გარემოს ხარისხისა და ფართობის დადგენისაკენ;

-*ჰიდროსფეროს* – წყლის ხარისხის კონტროლის, მისი რადიოაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებით გაბინძურების დაკვირვების სისტემა;

**მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია** – დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში ან მის გარეთ არსებული, გარემოს



დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების სამეურნეო საქმიანობის გამოყენების მიზნით ორიენტირებული, ხმელეთის ან წყლის სივრცის შედარებით დიდი ფართობი, რომელიც წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობის, ნადირობის, თევზ-რეწვისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების, ასევე ტურიზმის განვითარების ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს;

**მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი (მმუ)** – უნივერსალური მნიშვნელობის ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ტერიტორიები, რომელთა შექმნის საფუძველს წარმოადგენს ბუნების უნიკალური წარმონაქმნების დაცვა, სართაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევო, საგანმანათლებლო და მონიტორინგის საქმიანობანი, რომლებიც ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ფასეულობებითაა (ბუნებრივ გარემოში განივთებული დედამიწის ისტორიის ამსახველი ნიმუშები; გეოლოგიური და ბიოლოგიური პროცესების, ასევე ადამიანი-ბუნების ურთიერთქმედების შედეგები; უნიკალური და იშვიათი ბუნებრივი ფენომენები; ბუნების ესთეტიკური ღირებულებები; იშვიათი და გადაშენების წინაშე მყოფი პოპულაციები; ადამიანის შემოქმედებითი გენიის უნიკალური მაღალმხატვრული ქმნილებები – ხუროთმოძღვრული ძეგლები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ბუნებისა და კულტურის ჰარმონიული ერთიანობის მაგალითები) წარმოდგენილი; მმუ-ს ფარგლებში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე დაცული ტერიტორიის კატეგორიის (სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი) ჩართვა ან კიდევ თავად მისი ჩართვა სხვა დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი) შემადგენლობაში;

**მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი** – ბუნებისა და კულტურის ძეგლები, შესაძლოა მთელი ქალაქიც კი (მაგ., მცხეთის სამო-

ნასტრო კომპლექსი), რომლებიც სპეციალური პროცედურის გავლის შედეგად იუნესკოს მიერ მსოფლიოს მემკვიდრეობათა საერთაშორისო ჟურნალშია შეტანილი;

**მტვერი შეტივნარებული** - ჰაერის შემადგენლობაში (წვრილდის-პერსიული ფრაქცია 90 %) არსებული მყარი (მძიმე ლითონები, პოლიციკლური ნაწილაკები, რომელთა მიერ ჰაერის გაბინძურებას, ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევას (ფილტვებში დაგროვება) აქვს ადგილი. ადამიანის ფილტვებში შეიძლება მოხვდეს შეტივნარებული მტვერის ისეთი სახიფათო ნივთიერებები, როგორცაა მძიმე ლითონები და პოლიციკლური არომატული (ბენზ(ა)პირენები) ნახშირწყალბადები. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ფარგლებში შეტივნარებული მტვერის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ ქიმიური და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების საწარმოები, ავტოტრანსპორტი და სხვ.;

**მცირენარჩენიანი ტექნოლოგია** – პროდუქციის ერთეულის მისაღებად შესრულებული საწარმოო პროცესი, რომლის დროსაც მცირე მოცულობის ნარჩენების მიღებას აქვს ადგილი;

**მძიმე ლითონები** - 50 ატომურ ერთეულზე მეტი მასის მქონე ქიმიური (40-ზე მეტი) ელემენტები. მათ შორისაა: ტყვია, თუთია, ვერცხლისწყალი, მოლიბდენი, მანგანუმი, ნიკელი, კალა, კობალტი, ტიტანი, სპილენძი, ვანადიუმი და სხვ.

## ნ

**ნაგავსაწვავები** - საყოფაცხოვრებო ნაგავის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ მყარი ნარჩენების შემცირების პარალელურად ატმოსფეროში ადგილი აქვს რიგი გამაბინძურებლების (გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, დიოქსინები, ქლოროვანი და ფტოროვანი წყალბადი და სხვ) შემოსვლას;

**ნაგებობა ჰიდროტექნიკური** – კაშხლები, ჰეს-ების ნაგებობები, წყალსარინები, წყალსაწნევი კოშკები, წყალსათავსები, წყალსატევები, წყალსატუმბი, წყალსადენი ნაგებობები; გვირაბები, არხები, სატუმბი სადგურები, სანაოსნო რაბები, გემების ასაწევი მოწყობილობები; წყალსაცავებისა და მდინარეთა კალაპოტების, მათი ნაპირების, ასევე ფსკერის დანგრევისაგან დაცვისა და წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაგებობები; საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისაგან სხვადასხვა საცავების დასაცავი ნაგებობები (ჯებირები, დამბები); არხების წარეცხვის საწინააღმდეგო მოწყობილობები; წყლის რესურსების ათვისებისა და მათი თხევადი ნარჩენებისაგან დაცვის საშუალებები-ობიექტები და ა.შ.;

**ნადირობა** – ველური ცხოველებისა და ფრინველების ნადავლის მიზნით მათი კვალის მიგნებითი ან მოპოვებითი საქმიანობა;

**ნაკრძალი ბიოსფერული** – სახელმწიფო მნიშვნელობის ბუნებრივი ნაკრძალები, რომლებიც შედიან გლობალური ეკოლოგიური მონიტორინგის განმახორციელებელი ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო სისტემაში;

**ნაკრძალი ბუნებრივი** – ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების ბუნებრივი განვითარების მსვლელობის შესწავლის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს გენეტიკური ფონდის, ასევე ცალკეული სახეობებისა და თანასაზოგადოებების, აგრეთვე ტიპური და უნიკალური ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნების მიზნით ორგანიზებული ბუნებადაცვითი, სამეცნიერო-კვლევითი და ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო დაწესებულება; ნაკრძალი, ჩვეულებრივად ტიპობრივია ამა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის, ან შეიცავს სამეცნიერო თვალსაზრისით ძვირფას ბუნებრივ ობიექტებს (მცენარეებისა და ცხოველების სახეობებს, ლანდშაფტების ტიპებს, მინერალებს), ან წარმოადგენს მთელ ქალაქს ან მის ნაწილს, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული, ინდუსტრიულ-მხატვრული ან მემორიალური მნიშვნელობა გააჩნია;

**ნაკრძალი სახელმწიფო** – დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში არსებული და/ან რომელიმე მათგანის (ბუნების ძეგლი) მომცველი ტერიტორია, დაარსებული ბუნების, ბუნებრივი პროცესების, გენეტიკური რესურსების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების, მცირე ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით, შერჩეული ხმელეთისა და/ან აკვატორიის იმ პარამეტრების ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას ადამიანის მიერ სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე;

**ნაკრძალი სახელმწიფო საქართველოში** – ბუნების, მისი კომპონენტების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, გარემოს მონიტორინგისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნით საქართველოში დაარსებული დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის დაცული ტერიტორიების I კატეგორიას – მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი, სადაც ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნება უზრუნველყოფილია ადამიანის სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე; იგი ბუნების დაცვის ერთ-ერთი ფორმაა და კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, სადაც მიმდინარეობს დაკვირვებები ბუნების ცალკეულ ობიექტებზე, კომპლექსებსა და ბიოგეოცენოზებზე; აქ შეისწავლიან ნადირ-ფრინველის რაოდენობრივი და თვისებრივი ცლილებების გამომწვევ მიზეზებს, მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიურ ასპექტებს, ტყისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებს, ატარებენ ღონისძიებებს ბუნებრივი კომპლექსების შესანარჩუნებლად, იშვიათი და განადგურების გზაზე მდგარ მცენარეთა და ცხოველთა

მოსამრავლებლად და ა.შ.; სახელმწიფო ნაკრძალი საქართველოში შეიძლება შედიოდეს რომელიმე დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია) შემადგენლობაში და/ან მოიცავდეს თავის თავში სხვა (ბუნების ძეგლი) რომელიმე მათგანს;

**ნარჩენები** – განსაკუთრებული, მაღალი, სახიფათო ან მცირედ-სახიფათო მავნე უნარის მქონე, ინფექციური ავადმყოფობის (ტოქსიკური) ან საშიში თვისებების (ფეთქებადი, ხანძარსაშიში) გამომწვევი ნივთიერებები, რომლებსაც საკუთრივ ან სხვა ნივთიერებებთან კონტაქტის პირობებში შეუძლიათ ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება, ბუნებრივი გარემოს უშუალო ან პოტენციური ხიფათის შექმნა და მისი დარღვევა;

**ნარჩენები ბიოლოგიური** - ბიოლოგიური ქსოვილები და ორგანოები, ასევე ბიოტექნოლოგიური მრეწველობის ნარჩენები, რომელთა წარმოშობა მიმდინარეობს სამედიცინო და ვეტერინარული ოპერატიული პრაქტიკის, სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტების, საქონლისა და სხვა ცხოველფრინველთა დაცემის, საკვები პროდუქტებისა და ცხოველური წარმოშობის არასაკვები ნედლეულის გადამუშავებისას;

**ნარჩენები გამოყენებადი** – ნედლეულის სახით (პოლუფაბრიკატები) სახალხო მეურნეობაში გამოყენებული ნარჩენები (გამოხდილი ან აღდგენადი ნარჩენები) ან მათი დანამატები, როცა შესაძლებელია მათგან მეორადი პროდუქციის ან საწარმოო დანიშნულების ენერჯის მისაღება;

**ნარჩენები გამოუყენებადი** – გამოყენების გარეშე დატოვებული ნარჩენები, რომელთა მოცემულ დროში გადამუშავება და მეურნეობაში ათვისება ეკონომიკურად არაეფექტური, ეკოლოგიურად სახიფათო და სოციალურად მიზანშეუწონელია;

**ნარჩენები დაუბრუნებელი (დანაკარგი)** - წარმოების ნარჩენები, რომელთა ხელმეორედ გამოყენება შეუძლებელია ან არამიზანშეუწონელია, არაეფექტურია.

**ნარჩენები ვიტასახიფათო** - ტოქსიკური, ინფექციური, კანცერო-გენური, რადიოაქტიური ნარჩენები, რომლებიც განსაკუთრებულად სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისა და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, ცოცხალი ორგანიზმებისათვისა და მათი რეპროდუქციული უნარისათვის.

**ნარჩენები თვითაალებადი** – ნორმალურ ბუნებრივ პირობებში არსებული ნარჩენების უნარი ჰაერთან შეხებისას ან წყალთან რეაქციის გზით, ცეცხლსაშიში გაზების გამოყოფის შედეგად, თვითგახურება და შემდგომი აალება განიცადოს;

**ნარჩენები თხევადი ცეცხლსაშიში** – თხევადი სახის ნარჩენები ან მყარი ნივთიერებების შემცველი ხსნარები ან კიდევ სუსპენზიები, რომლებიც დახურულ არეში (600 C) საშიშროებას არ წარმოადგენენ, ხოლო ღია არეში (<65,6 °C) ცეცხლსაშიში ორთქლს წარმოშობენ და ხანძრის გაჩენის კერებს ჰქმნიან;

**ნარჩენები ინერტული** – გარემოსა და ადამიანზე ნეგატიურად არ მოქმედი ნარჩენები;

**ნარჩენები მყარი ცეცხლსაშიში** – ტრანსპორტირების შემთხვევაში ადვილად ანთებადი (აალება) ან ხანძრის წარმოქმნის ხელშემწყობნი ან ხანძრის ჩაქრობისას მისი გაძლიერების უნარის მყარი თუმცა არა ფეთქებადსაშიში ნარჩენები;

**ნარჩენები რადიოაქტიური** – ბირთვული მასალები და რადიოაქტიური ნივთიერებები, რომელთა შემდგომი გამოყენება არაა გათვალისწინებული;

**ნარჩენები საკვები პროდუქციის** – საკვები ნიშნების არ მქონე კვების პროდუქტები, რომლებმაც თავიანთი პირველადი სამომხმარებლო თვისებები წარმოების, გადამამუშავების, მოხმარების ან შენახვის დროს მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს;

**ნარჩენები სამასალე** – ამა თუ იმ სახის ნაკეთობათა დასამზადებლად ვარგისი ნარჩენები;

**ნარჩენები სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების** – ადამიანთა მკურნალობის ან/და პროფილაქტიკური სამედიცინო მანიპულაციების შედეგად წარმოქმნილი, პირველად

- დი სამომხმარებლო თვისებადაკარგული, გარემოსათვის საზიანო და მავნე ნივთიერებები, მასალები და ნაკეთობანი;
- ნარჩენები სახიფათო** – ადამიანის ჯანმრთელობისა და/ან გარემოს მდგომარეობისათვის მავნე და საშიში ნარჩენები;
- ნარჩენები საყოფაცხოვრებო** - მოხმარების ნარჩენები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანის ყოფითი პირობებისა და მოსახლეობის ცხოველმოქმედების მსვლელობაში;
- ნარჩენები ტოქსიკური** – მავნე და საშიში კომპონენტების შემცველი ნარჩენები, რომელთა გარემოში მოხვედრისას, ბიოტურ სისტემებზე ტოქსიკური ზემოქმედებების პირობებში მათი ბიოაკუმულირების შედეგად, აშკარაა ადამიანის ჯანმრთელობის ძლიერი შერყევა;
- ნარჩენები წარმოების** – ამა თუ იმ საწარმოს მიერ წარმოების პროცესში წარმოქმნილი მასალები, ნივთიერებები და ნაკეთობანი ან ნედლეულისა და საგნების ნარჩენები, ან კიდევ მაღაროს გაყვანისას მიღებული ფუჭი ქანები და მყარი ნივთიერებები, რომლებიც მოცემულ დროს არ გამოიყენება და მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგული აქვთ თავიანთი სამომხმარებლო თვისებები;
- ნარჩენები უსაფრთხო** - ამა თუ იმ დროსა და განსაზღვრულ პირობებში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემომომცველი ბუნებისათვის არასაშიშად ცნობილი ნარჩენები;
- ნარჩენები ფეთქებადსაშიში** - ქიმიური ნივთიერებების შემცველი ნარჩენები და მათი შენარევები, რომლებსაც ბუნებრივ პირობებში აქვთ უნარი აწარმოონ ქიმიური რეაქციები, გამოჰყონ მაღალი ტემპერატურა და ატმოსფერული წნევა, რომელსაც საბოლოო ჯამში ძლიერ აფეთქებებამდე მივყავართ;
- ნარჩენები ქიმიური** – ქიმიური მრეწველობის დარგების ნარჩენები ან მათი პროდუქცია, ქიმიური ნივთიერებების ნედლეული ან მათი შენაერთები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოს სისტემისათვის სახიფათოდ ითვლება;
- ნარჩენები ხე-ტყის** – ხე-ტყის დამზადების, დამუშავებისა და გადამუშავების, ან კიდევ, ხის მასალების ან ნაკეთობათა

ტრანსპორტირება-ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენები;

**ნარჩენების აღდგენადობა** - მოთხოვნილების მნიშვნელობის ფარგლებში ნარჩენების უნარი დაქვემდებაროს აღდგენას პირვანდელ (ან მასთან მიახლოებულ) მდგომარეობამდე;

**ნარჩენების გადამუშავება** – ნარჩენების შემდგომი გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით, რაიმე ტექნოლოგიური ოპერაციების (ბიო-ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური მოქმედებებით ნარჩენების გახრწნა, უტილიზაცია) შერულება, რომლის შედეგად შესაძლებელია მათი ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური მდგომარეობების შეცვლა;

**ნარჩენების გამდიდრება** – ნარჩენებში არსებული მავნე და სახიფათო ნივთიერებათა გამოვლენა და მოცემულ სიტუაციაში მათი შემცველი ზედმეტი ან უვარგისი კომპონენტების შემდგომი გადამუშავება მათი გარდაქმნის ან სრული გამორიცხვის გზით;

**ნარჩენების გამოშრობა** – ტენის ან/და მყარი წარმონაქმნების მოცილების მიზნით ნარჩენების თემული დამუშავება;

**ნარჩენების გამოყენება** – ამ თუ იმ ნარჩენებისაგან ძვირფასი კომპონენტების ამოკრება მათგან ნედლეულის, ენერჯის, მეორადი სასაქონლო პროდუქციის, მომსახურეობის გაწევის ან სასუქების მიღების მიზნით, როცა დაცულია ეკოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნები;

**ნარჩენების განადგურება** – ნარჩენების არსებობის მთლიანი შეწყვეტის მიზნით მათი გადამუშავებითი საქმიანობის ჩატარება;

**ნარჩენების განთავსების ლიმიტი** – კონკრეტული ნარჩენების ზღვრული დასაშვები რაოდენობა, რომლის რაიმე ვადით განთავსება მოცემულ ტერიტორიაზე შესაძლებელია ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით;

**ნარჩენების განთავსების ობიექტი** – სპეციალურად მოწყობილი ნაგებობა, რომელიც გამოიყენება ნარჩენების მოთავსების (პოლიგონი, ნანგრევის ან შლამების საცავები და სხვ) მიზნით;



- ნარჩენების გაუვნებლება** – სპეციალურ დანადგარებში ნარჩენების გადამუშავების ან მთლიანი განადგურების (მაგ., დაწვა) საქმიანობა, რომელიც მიმართულია მათი გარემოსა და ადამიანზე მავნე ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად;
- ნარჩენების დამარხვა** – სამომავლოდ გამოუყენებადი საშიში ნარჩენების განუსაზღვრელი დროით იზოლაცია, რომელთა განთავსებას (შენახვას) მიმართავენ სპეციალურად გამოყოფილ და ნებადართულ ადგილზე, როცა გამორიცხულია, ამ ნარჩენების მიერ, გარემოსა და დაუცველ ადამიანებზე მავნე ნეგატიური ზემოქმედება;
- ნარჩენების დამარხვის პოლიგონი** – შემოსაზღვრული ტერიტორია, რომელიც ნარჩენების დამარხვის აუცილებლობის შემთხვევისათვის შექმნილი და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მოწყობილობებს ან გარემოს გაბინძურების საწინააღმდეგო სისტემებს მოიცავს;
- ნარჩენების დასაწყობება** – რაიმე დროის განმავლობაში, სპეციალურად მოწყობილ ნაგებობებში, შენობებსა და ტერიტორიებზე, ნარჩენების მოწესრიგებული განთავსებისა და კონტროლირებადი შენახვის მიზნით შესრულებული საქმიანობა;
- ნარჩენების დაწვა** – მოცულობათა შემცირების, ფასეული მასალების ამოღების, ნაცრის ან ენერჯის მიღების მიზნით ნარჩენების თერმული დაჟანგვის პროცესი;
- ნარჩენების დეზაქტივაცია** – რადიოაქტიური ნივთიერებების ან/და მისი შემცველი ნარჩენების გაუვნებლობის ნებისმიერი ხერხი;
- ნარჩენების დეზინფექცია** – ავადობის გამომწვევი მიკროორგანიზმებისაგან ნარჩენების გაუვნებლობითი საქმიანობის ჩატარება და მათი ფიზიკურად ან ქიმიურად დამუშავება;
- ნარჩენების დემერკურიზაცია** – ვერცხლისწყლისა და მისი შენაერთებისაგან ნარჩენების გაუვნებლობის საქმიანობა;
- ნარჩენების ეკოლოგიური უსაფრთხოება** – უტილიზაციის, დამარხვისას ან/დაგანადგურების ეტაპებზე ნარჩენებისაგან გარემოში დაუშვებელი რისკის არ არსებობა;

- ნარჩენების ეკოლოგიურობა** – ნარჩენების ბუნებრივი თვისება, არსებობის ყველა შემთხვევაში, გარემოსთან საკმაოდ ახლო მდებარეობის მიუხედავად, ამა თუ იმ დროის განმავლობაში, გამორიცხოს მასზე უარყოფითი გავლენის შესაძლებლობა;
- ნარჩენების ემისია** – გარემოში გამაბინძურებელი ნივთიერებების შემოტანა მოკლევადიანი ან რაიმე განსაზღვრულ დროით;
- ნარჩენების ექსპორტი** – ინდემწარმეების ან იურიდიული პირების მიერ, ლიცენზიების საფუძველზე, ნარჩენების საზღვარგარეთ გატანა, როცა კონკრეტული პირობებით როგორც სუბიექტის, ისე სახალხო მეურნეობაში - მიღწეულია ფინანსური, ეკოლოგიური, სოციალური და რესურსული ეფექტების მიღება, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხო ექსპლოატაცია და დაცვის მოთხოვნილებები;
- ნარჩენების ექსპორტიორი სახელმწიფო** - სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არ მყოფი ნებისმიერი ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ფარგლებში, ამა თუ იმ მიზნით, დაგეგმილია ან უკვე დაწყებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება სხვა ქვეყნების საზღვრების გავლით;
- ნარჩენების იდენტიფიკაცია** – ამა თუ იმ ნარჩენის მოცემულ ობიექტთან კუთვნილებადობის განსაზღვრითი (სახიფათოობა ან სხვა ტექნოლოგიური მახასიათებლები) საქმიანობა;
- ნარჩენების იმპორტიორი სახელმწიფო** – სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არ მყოფი ნებისმიერი ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ფარგლებში, ამა თუ იმ მიზნით, დაგეგმილია ან მიმდინარეობს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება;
- ნარჩენების კადასტრი** – ნარჩენების სისტემატიზაცია წარმოშობის, ფიზიკურ-ქიმიური ნიშნებისა და ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული საქმიანობა, რაც განუწყვეტელ თვალთვალსა და პასპორტიზაციას მოითხოვს;
- ნარჩენების კატალოგი** – საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ნარჩენების აღწერას, სპეციალურად შედგენილი ნიმუშის მიხედვით, რომელშიც ისინი დაჯგუფე-

ბულია ამა თუ იმ პრონციპის ან სახიფათოობის პასპორტის მიხედვით;

**ნარჩენების ლიკვიდაციის უსაფრთხოება** - ნარჩენების ლიკვიდაციის დროს იმ პირობების არარსებობა, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მავნეობა ან პერსონალის ლეტალური შედეგი, მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების დაზიანება ან სხვა სახის კუთვნილების განადგურება.

**ნარჩენების მდგრადობა (სტაბილურობა)** - რაიმე დროსა და პირობებისას, განსაზღვრულ საზღვრებში ნარჩენების მიერ თავიანთი თვისებების, მდგომარეობის პარამეტრების, შემადგენლობის მახასიათებლებისა და/ან სტრუქტურის შენახვა-შენარჩუნების უნარი;

**ნარჩენების მინიმიზაცია** - წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფის შედეგად გაბინძურების წყაროების ფარგლებში, ან ტექნოლოგიური პროცესების მსვლელობისას, ნარჩენების შემცირების ან მათი ფორმირების მთლიანი შეწყვეტის შესაძლებლობა;

**ნარჩენების მოშორება** - გარემოსათვის სახიფათო (საშიში) და სხვა ნარჩენების შეგროვება, დახარისხება, ტრანსპორტირება და გადამუშავება მათი შემდგომი განადგურების ან/და სპეციალურად მოწყობილ სამარხებში განმარხვის ხერხი;

**ნარჩენების მფლობელი** - იურიდიული პირი ან ინდემწარმე, რომელიც ნარჩენების მესაკუთრესთან შეთანხმებით აწარმოებს მათ დამზადებას, უტილიზაციას, შენახვის ადგილამდე გადატანას, მის განამარხებას და/ან განადგურებას;

**ნარჩენების მწარმოებელი** - იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც აწარმოებს ნარჩენების მიღებას ან პირი, რომელიც მოცემული ნარჩენების მფლობელია ან ამა თუ იმ პირის ტერიტორიაზე გავრცელებული;

**ნარჩენების ნეიტრალიზაცია** - გარემოზე მავნე ზემოქმედებების შემცირების ან სრული მოცილების მიზნით ნარჩენების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური გადამუშავება;

- ნარჩენების პოლიგონის სიმძლავრე** – ამა თუ იმ ნარჩენების განთავსების პოლიგონზე წლის განმავლობაში მათი რაოდენობა, რომელიც პროექტითაა გათვალისწინებული;
- ნარჩენების რეგენერაცია** – საქმიანობა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ნარჩენის მეორად ნედლეულამდე აღდგენის ან მეორადი მოხმარებისათვის ვარგის მასალად გადამუშავებისაკენ;
- ნარჩენების რეგისტრაცია** – ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტების შექმნა და შესაბამისი ორგანოების მიერ ნარჩენების ექსპერტიზის ჩატარება, ასევე მიღებული საკლასიფიკაციო სის-ტემისა და კოდირების მიხედვით მათი კოდის ჩვენება;
- ნარჩენების რეკუპერაცია** – ნარჩენებისაგან ძვირფასი კომპონენტების მიღებისა და აღდგენის მიზნით მათი ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესის წარმართვა, რაც ამ შემადგენელ ნაწილებს მეორადი გამოყენების საშუალებას აძლევს;
- ნარჩენების სამარხი** – გარემოს გაბინძურების თავიდან აცილებისა და მისი დაცვის მიზნით, განუსაზღვრელი დროით, ნარჩენის დამარხვისათვის აშენებული ნაგებობა;
- ნარჩენების სახეები** – სხვადასხვა ნარჩენების ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნიათ წარმოშობის, თვისებებისა და ტექნოლოგიური გამოყენების საერთო ნიშნები და ექვემდებარებიან მათი საკლასიფიკაციო სისტემას;
- ნარჩენების სახიფათოობა** – ნარჩენების პარამეტრების გაზომვებისა და დოკუმენტირების შედეგად მისი შემცველი სახიფათო ნივთიერებების გამოვლენა, რომლებიც გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო თვისებებით (როგორც თვითონ, ისე სხვა ნარჩენებთან და ნივთიერებებთან კონტაქტი) ხასიათდებიან;
- ნარჩენების სეპარაცია** – მარტივ შემადგენლებად დაშლის მიზნით არაერთგვაროვანი ნარჩენების მექანიკური დამუშავება;
- ნარჩენების ტექნოლოგიური ციკლი** – კონკრეტული ნარჩენის სალიკვიდაციო ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრულობა;

- ნარჩენების ტექნოლოგიური ციკლის ეტაპები** – კონკრეტული ნარჩენების გამოყენების პროცესის თანმიმდევრულობა (პროდუქციის სასიცოცხლო სტადიები – პასპორტიზაცია, შეგროვება, დახარისხება, ტრანსპორტირება, შენახვა-დასაწყობება, უტილიზაცია, დამარხვა ან/და განადგურება) მათი გაჩენიდან არსებობის შეწყვეტამდე დროის განმავლობაში;
- ნარჩენების ტოქსიკურობის კლასი** –რიცხვითი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ნარჩენების სახეს, ხარისხსა და სახი-ფათოობას (ტოქსიკურობას);
- ნარჩენების ტრანზიტის სახელმწიფო** - სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არ მყოფი ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ აწარმოებს ექსპორტსა და იმპორტს, თუმცა მისი ტერიტორიის ფარგლებში, ამა თუ იმ მიზნით, დაგეგმილია ან მიმდინარეობს სახიფათო ნარჩენების გადაზიდვები;
- ნარჩენების უტილიზაცია** – გარემოში დაგროვილი ნარჩენი ნივთიერებების ახალ ტექნოლოგიურ ციკლში ჩართვა სასარგებლო მიზნების გამოყენების მიზნით;
- ნარჩენების უტილიზაციის უსაფრთხოება** - ამა თუ იმ ნარჩენთა უტილიზაციის ოპერაციის დოკუმენტირებული მახასიათებლების ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის, მოსახლეობის, საწარმოო ნაგებობების, ქონებისა და მიდებარე გარემოს დაზიანების რისკის მინიმუმზაციას ან მის სრულიად გამორიცხვას;
- ნარჩენების შეგროვება** – განსაზღვრული დროის განმავლობაში, ნარჩენების შემდგომი გამოყენების მიზნით, წარმოქმნის ადგილებიდან მათი შეგროვების სამუშაოთა ჩატარება;
- ნარჩენების შენახვა** – ამა თუ იმ ნარჩენის არსებობის სახე (რეჟიმი), მისი შემდგომი გადამუშავებისა და ტრანსპორტირების, ასევე გამოყენებისა და/ან განადგურების მიზნით, რომელიც რაიმე დროის განმავლობაში, განსაზღვრულ ადგილზე განთავსებული, სადაც მომსახურე პერსონალისა და გარემოს ელემენტების უსაფრთხოების მოთხოვნილებები აუცილებლად დაცულია;

- ნარჩენების ხანგრძლივობა** – ამ თუ იმ პირობებში მყოფი ნარჩენების თვისება რაიმე დროის განმავლობაში შეინარჩუნოს მისი უმთავრესი მახასიათებელი ნიშნები;
- ნარჩენების ხარისხი** – ნარჩენების ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მათ გამოსადეგობას;
- ნახშირწყალბადები** - ნავთობის შემადგენელი ორგანული ქიმიური ნივთიერებები, რომელთა მოლეკულები მხოლოდ ნახშირბადისა და წყალბადის ატომებისაგან (მეთანი ( $\text{CH}_4$ ), ოქტანი ( $\text{C}_8\text{H}_{18}$ ) და სხვ) შედგებიან.
- ნაცარი** – ორგანული ნივთიერებების წვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი;
- ნაყარი** – გამოუყენებელი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სავაჭრო, სასაქონლო, სასურსათო, არაკონდიციური წიაღისეული, გრუნტის დანაგროვები და სხვ. ნარჩენები, რომელთა უტილიზაციის პირობები მოცემულ დროს არ არსებობს;
- ნიადაგის თვითგაწმენდის დრო** – დროის ინტერვალი, რომლის განმავლობაში ნიადაგის გამაბინძურებელი ნივთიერების ფუნური შედგენილობის პირველადი მნიშვნელობიდან მასიური წილის 96%-ით შემცირებას აქვს ადგილი;
- ნიადაგის სანიტარული მდგომარეობა** – ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს მის ეპიდემიური და ჰიგიენური ნიშნებით გათვალისწინებულ ხარისხსა და უსაფრთხოებას;
- ნიადაგის ქიმიური გაბინძურება** – ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის ცვლილება, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია მიწათსარგებლობის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორებთან (საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური) და იწვევენ ნიადაგის ხარისხის გაუარესებას ან/და ადამიანთა ჯანმრთელობის შესაძლო სახიფათო მდგომარეობის გამოწვევას;
- ნივთიერება მავნე** –ზღვის გარემოში მოხვედრილი ნივთიერება, რომელსაც აქვს უნარი შეარყიოს ადამიანის ჯანმრთელობა,

მიყენოს ზარალი ცოცხალ რესურსებს, ზღვის ფაუნასა და ფლორას, გამოიწვიოს დასვენების პირობების გაუარესება ან ხელი შეუშალოს ზღვის გარემოს ათვისებას. ასეთი ნივთიერებები ხშირად სახელმწიფოებრივ კონტროლს ექვემდებარება;

**ნიკოტინი** - თამბაქოს ბოლის შემადგენლობაში არსებული მაღალტოქსიკური ალკალოიდი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის მრავალ ფუნქციაზე (სისხლის მიმოქცევა, საკვების მიმწოდებელი ორგანოები, ნერვული სისტემა). თამბაქოს მოწევას მიჩვეულთა მიერ შეიძლება 20 მგ ნიკოტინის დღეში უვნებელი გადატანა, თუმცა ნიკოტინის ხანგრძლივი მიღება იწვევს ფეხების გაცივებას, მოგვიანებით კი ქრომატებს, რასაც აუცილებელი ამპუტაცია ჭირდება. ორსულობის შემთხვევაში იწვევს ნაყოფის დაღუპვას. ნიკოტინი კანცეროგენული მოქმედებისაა. მისი შემცველი ფისი და კადმიუმი ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს;

**ნიტრატები** - აზოტმჟავის ( $\text{HNO}_3$ ) მარილები, რომელიც აზოტის წრებრუნვის უმთავრესი რგოლია. ის შეიძლება დაგროვდეს ნიადაგში აზოტის მინერალური სასუქების მაღალი დოზების შემოტანის შემთხვევაში. ნიადაგებიდან ნიტრატების გამო-რეცხვის შედეგად, ფოსფატებთან ერთად, მათ შეუძლიათ წყალსატევების ევტროფიკაცია და სასმელი წყლების გაბინძურებას შეუწყონ ხელი. ნიტრატებს ხმარობენ აგრეთვე საკვებდანამატების სახით. მაგ., კალიუმის ნიტრატი გამოიყენება ძეხვების, შებოლილი (ლორი, შაშხი) ხორცის, თევზის კონსერვების დასამზადების დროს. თუმცა, ნიტრატების მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში უფრო (70%) ხილის მოხმარებისას აქვს ადგილი. მწვანე კულტურები (ობრახუში, კამა, ნიახური), ასევე კომბოსტო, ჭარხალი, კარტოფილი, მწვანე ხახვი ნიტრატებს 3-5 გ/კგ რაოდენობით აგროვებენ, ხოლო ადამიანის მიერ ნიტრატების მიღების ზღვრული დასაშვები ნორმა 5 მგ 1 კგ წონაზე დღე-ღამის განმავლობაში. ბავშვებში კი ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე (2-3 ჯერ) ნაკლებია. ადამიან-

ნის ორგანიზმში მოხვედრილი ნიტრატები ყველის შემადგენლობაში არსებული ამინებთან ახდენს რეაგირებას და კანცეროგენულ ნივთიერებას (ნიტროზამინები) წარმოქმნის;

**ნიტრიტები** - აზოტის მჟავის ( $\text{HN}_2$ ) მარილები, რომლებიც სუფრის მარილთან შერევის შემდეგ დაემატება ხორცეულისა და თევზეულის დამარილების (მარილწყალში ჩადების) დროს. დამარილებული პროდუქტი (ხორცი, ძეხვი) ვარდისფერ შეფერილობას ღებულობს და ხელს უშლის ბაქტერიული შხამების წარმოქმნას, და შესაბამისად, ადამიანის დაავადებას ბუტულიზმით. ნიტრიტებმა შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთმოქმედება ამინებთან და წარმოშვან კანცეროგენული ნივთიერება – ნიტროზამინები;

**ნოსფერო** – გონების სფერო, ბიოსფეროს განვითარების უმაღლესი (ვ. ვერნადსკის მიხედვით) სტადია, რომელიც ცივილიზებული კაცობრიობის წარმოქმნასა და ფორმირებებასთანაა (ჩამოყალიბებასთან) დაკავშირებული, როცა დედამიწაზე თანამედროვე გონიერი ადამიანის საქმიანობა განვითარების სულ უფრო განმსაზღვრელ ფაქტორადაა ქცეული;

**ნორმა გადანაყრების** – წარმოების მიერ გარემოში გადასყრელად ნებადართული თხევადი და აირისებრი ნივთიერებების ჯამური რაოდენობა, როცა რეგიონის ყველა წარმოებათა მიერ გადაყრილი ნარჩენების საერთო რაოდენობა არ მოახდენს გარემოს ზდკ-ზე უფრო მეტ გაბინძურებას;

**ნორმა რესურსების მოხმარების** – განახლებადი ან არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების მოპოვების მეცნიერულად დასაბუთებული ზღვრული (ტყის გაჩეხვა, ცხოველთა რეწვა, ხილისა და სოკოების მოგროვება, წყლის ობიექტებიდან სასმელი ან/და სხვა წყლების მიღება) სიდიდე, რომელიც უზრუნველყოფს მათი თვითგანახლების (განახლებადი რესურსების) ბუნებრივ მიმდინარეობას ან/და რესურსების თანდათანობითი განახლების მიღწევის მიზნით მათი რაციონალური (გონივრული) ათვისების პრინციპების დანერგვასა და წარმართვას;



**ნორმა რეწვის** – საექსპლოატაციო ბუნებრივი ბიორესურსების (ტყის, ცხოველების, ხილისა და სოკოების, წყლის ფაუნის) მოხმარების ლიმიტი, რომელიც უზრუნველყოფს ამ რესურსების თვითაღდგენას ან განსაზღვრავს მათი ათვისების თანდათანობითობას;

**ნორმატივები გარემოს ზღვრული დასაშვები ზემოქმედების შესახებ** – გარემოზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობისა და სხვა კომპლექსური ზემოქმედების მაჩვენებელთა პარამეტრების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური სისტემების მდგრადი ფუნქციონირების ჩამოყალიბებას;

**ნორმატივები გარემოს ხარისხის** – გარემოს მდგომარეობის დადგენილი მახასიათებლები, რომელთა მიერ შესაძლოა გარემოს ისეთი ხარისხის ჩამოყალიბება, რომლის დროსაც მიღწეულია ადამიანის საცხოვრისის, ცხოველთა საბინადრო გარემოს, მცენარეთა ზრდა-განვითარების ნორმალური პირობები;

**ნორმატივები ზემოქმედების ზღვრული დასაშვები დონეების შესახებ** – გარემოზე ფიზიკური და სხვა ფაქტორების ზღვრულად დასაშვები ზემოქმედების მაჩვენებელთა დადგენა და დოკუმენტის შედგენა, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, მცენარეთა სამყაროზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება, ასევე ბუნებრივი ეკოსისტემებისა და კომპლექსების, ლანდშაფტებისა და ბუნების სხვა ობიექტების შენარჩუნება;

**ნორმატივები მავნე ნივთიერებების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციების შესახებ** – ატმოსფერულ ჰაერში, წყლისა და სხვა ობიექტებში, ასევე მთლიანად გარემოში მავნე გამაბინძურებელი ნივთიერებების დასაშვები მოცულობების მაჩვენებლები, აგრეთვე დოკუმენტი გარემოს ოპტიმალური ხარისხის განმსაზღვრელი მახასიათებლების შესახებ;

**ნორმები წყლის ხარისხის** – წყალსარგებლის კონკრეტული სახისათვის წყლის ხარისხის შესახებ დადგენილი მნიშვნელობები;

**ნორმირება გარემოს თვისების** – ბუნების დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიღწევის მიზნით საზოგადოების მეცნიერული და სამართლებრივი საქმიანობით განსაზღვრული გარემოს კომპონენტების (ჰაერი, ნიადაგი, წყლები, მცენარეები) მდგომარეობის პარამეტრებისა და მათი დასაშვები ცვლილების დადგენა;

## ო

**ოზონის სტრატოსფერული ფენა** - სტრატოსფეროს ფენა, რომელიც ჟანგბადის განსაკუთრებული ფორმისაგან - ოზონისაგან ( $O_3$ ) შედგება და დედამიწის ზედაპირიდან 10-60 კმ-ის სიმაღლეზე წარმოიქმნება, როცა ჟანგბადის მოლეკულები ირღვევა (ჟანგბადის მოლეკულად და მისივე ატომად) ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით. ამ სხივების ადამიანზე მოქმედებას შეუძლია კანის სიმსივნის დაავადება გამოიწვიოს;

**ოზონის ტროპოსფერული ფენა** - ატმოსფეროს ქვედა (ტროპოსფერო) ფენაში ფორმირებული ოზონის ეკრანი, რომელიც ახდენს მზის ულტრაიისფერი და ინფრაწითელი, ასევე რენტგენის გამოსხივებების შთანთქმას, იცავს ცოცხალ ორგანიზმებს დასხივებისაგან;

**ოზონის ხვრელები** - ატმოსფეროში ოზონის ფენის მნიშვნელოვანი სივრცე, რომელშიც  $O_3$ -ის შემცველობა მნიშვნელოვნადაა (50%) შემცირებული. ამ ხვრელების წარმოშობას უკავშირებენ ულტრაიისფერი გამოსხივების ზრდას, რომელიც საბოლოოდ ადამიანის ორგანიზმზე მავნე ზემოქმედებას ახდენს;

**ოქსიდი აზოტის** - აზოტისა და ჟანგბადის შენაერთები ( $N_2O, NO, NO_2$ ), რომელთა წარმოქმნას ადგილი აქვს სამრეწველო საწარმოებში სათბობის წვისა და ტრანსპორტის მუშაობის პროცესში, რაც იწვევს ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებას. ამ დროს წარმოქმნილი ოქსიდის წყლის ორთქლში გახსნის

შედეგად აზოტის მჟავა წარმოიქმნება და "მჟაუნა წვიმების" (ჰაერში შემავალი მჟავების 1/3) ფორმირებას იწვევს. აზოტის ოქსიდის მაღალი კონცენტრაცია ადამიანის სახიფათო მოწამვლას იწვევს, რაც ფილტვების შეშუპებაში, ლორწოვანი გარსების დაწყლულებაში (დამუწუკებაში), თავის ტკივილებსა და უძილობაში გადადის. მზის სინათლის მოქმედებით აზოტის ოქსიდი რთული ქიმიური რეაქციების გავლით, ტოქსიკური ფოტოოქსიდანტების, მათ შორის ოზონის წარმოშობას აქვს ადგილი;

**ოქსიდი ნახშირბდის (სინ. მხუთავი აირი)** - უფერო უსუნო მაღალტოქსიკური აირი (CO), რომლის წარმოშობა დაკავშირებულია სათბობის წვისას, როცა ჟანგბადის ნაკლებობას აქვს ადგილი. ის წარმოიქმნება ავტომანქანების შიგაწვის ძრავებში და ქალაქების გაბინძურების უმთავრეს ნაერთს წარმოადგენს. ქალაქების ქუჩებში შექმნილი "საცობების" მიდამოებში მხუთავი აირის კონცენტრაცია მატულობს და 14 მგ/კუბ.მ მიღწევისას ადამიანში მიოკარდის ინფარქტის ალბათობა სწრაფად იზრდება. ჰაერის შემდგომი განიავების შემთხვევაში ეს აირი ნახშირბადის დიოქსიდის შემადგენლობაში გადადის და ნაკლებად საშიში ხდება;

### 3

**პარკები ბუნებრივი** – ბუნებადაცვითი რეკრეაციული ორგანიზაცია, რომლის ტერიტორია (აკვატორია) მოიცავს მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და ესთეტიკური ღირებულებების მქონე ბუნებრივ კომპლექსებსა და ობიექტებს და გააჩნიათ ბუნებადაცვითი, საგანმანათლებლო და რეკრეაციული დანიშნულება;

**პარკი ეროვნული** – საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშენიარებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, ასევე სასიცოცხლო

გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული კვლევა-ძიებების, ან კიდევ საგანამანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის შექმნილი სახმელეთო ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მდგარი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და ველურ ცოცხალ ორგანიზმთა სახეობა; ეროვნულ პარკში გამოიყოფა ზონები: ა. ბუნების მკაცრი დაცვის; ბ. ბუნების მართვადი დაცვის; გ. ვიზიტორების; დ. აღდგენის; ე. ისტორიულ-კულტურული; ვ. ადმინისტრაციის; ზ. ტრადიციული გამოყენების;

**ppm (parts per million), მილიონის ნაწილებში** - გარემოში გამაზინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციის მაჩვენებელი, როცა მისი სიდიდე მეტისმეტად (უკიდურესად) მცირეა. მის განზომილების ერთეულად ზოგიერთ ქვეყნებში (საქართველოშიც) მიღებულია მგრ/ლ ანუ მოლი.

**pH** - ქიმიური ხსნარის შეფარდებითი მჟავიანობისა და ტუტეანობის განმსაზღვრელი რიცხვითი გამოსახულება, რომელიც შესაბამის სკალაში 0-დან 14-მდე იცვლება. pH -ის 7,0 ტოლობის შემთხვევაში გარემო ნეიტრალურია, უფრო მაღალი მაჩვენებლები გარემოს მომატებულ ტუტეანობაზე მიუთითებენ, ხოლო 7,0-ზე დაბალი მნიშვნელობა მჟავურ გარემოზე მიუთითებს. სამეურნეო საქმიანობაში ხშირად ხმარებაში მყოფი ნივთიერებების pH ტოლია: მათეთრებელი - 12,7; ნიშადური - 11,3; სისხლი - 7,3; რძე - 6,8; ძმარი - 2,8; აკუმულიატორების მჟავა - 0,2;

**პესტიციდები** - ქიმიური შენარჩენები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაცვის მიზნით. ამჟამად, პესტიციდების 700-მდე სახე გამოიყენება. მათ შორისაა: ინსექტიციდები - მწერების, აკარაციდები - ტკიპების, ნემატოციდები - მრგვალი ჭიების, ფუნგიციდები - პარაზიტული სოსკოების, ოაკტერიოციდები - ბაქტერიების, ვირუსოციდები - ვირუსების, ზოოციდები - მავნე ხერხემლიანი ცხოველების, მოლუსკოციდები - მოლუს-

კების, ალგიციდები - წყალმცენარეების, ჰერბიციდები - სარეველა მცენარეების საწინააღმდეგოდ, არბორიციდები - ხე-ბუჩქოვანი მცენარეების გასანადგურებლად;

**პესტიციდის მოქმედი ნივთიერება** – სხვადასხვა პრეპარატიული ფორმით გამოყენებული პესტიციდის ბიოლოგიურად აქტიური ნაწილი, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება ორგანიზმის ამა თუ იმ მავნე სხეულზე ან იწვევს მცენარის ზრდასა და განვითარებას;

**პოლიეთილენი** - საკმაოდ გავრცელებული სინთეტიკური პოლიმერი გამოიყენება საკვები პროდუქტების შესაფუთავად. ის ხშირად შეიცავს ტოქსიკანტებს და სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. პოლიეთილენი საკმაოდ მდგრადია მიკროორგანიზმების მიმართ და დიდხანს (50 წწ-ზე მეტი) არ იხრწნება;

**პოლიმერები სინთეტიკური** - საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მიზნებისათვის ფართოდ გამოყენებული პლასტიკური მასები. მათ შორის, შედარებით ნაკლებად მავნეს პოლიეთილენი წარმოადგენს, ხოლო სახიფათო - პოლივინილქლორიდია. მათი დაბალი თერმოდგრადობა ჰაერში ხელს უწყობს (გახრწნის შედეგად) ტოქსიკური პროდუქტების გამოყოფას. ადვილია მათი მოხვედრა ადამიანის საკვებ-გადამუშავების სისტემაში. ამჟამად ფართოდ გამოყენებული ერთჯერადი შესაფუთი მასალების უტილიზაცია, მიკროორგანიზმების ზემოქმედების მიმართ სინთეტიკური პოლიმერების მაღალი მდგრადობის გამო, საკმაოდ ძნელად მისდწევი საქმიანობაა. ამჯერად, მიმდინარეობს სპეციალური სინთეტიკური პოლიმერების შემუშავება, რომელთა გამძლეობა ამ ორგანიზმების მოქმედებისაგან ძლიერ შესუსტებული იქნება;

**პრინციპი ლე-შატალიეს** – წონასწორობაში არსებულ სისტემაზე გარეგანი ზემოქმედების მიერ მისი ამ მდგომარეობიდან სხვა - უკუმიმართულებით გადახრა, რომელიც წარმოებული ზემოქმედების ეფექტების შესუსტებისაკენაა მიმართული;

**პრინციპი სიფრთხილის** - გლობალური ეკოლოგიური კატასტროფებისაგან (კლიმატური დათბობა) თავის არიდების მიზნით დიდი და მაღალგანვითარებული ქვეყნების ინიციატივა (მიღებულია 1990 წ. მსოფლიო ეკოლოგიურ კონფერენციაზე, ნორვეგია, ქ. ბერგენი, მონაწილეობდა 35 სახელმწიფო) დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს გარემოს დაცვის პრობლემების გადაჭრაში;

**პროგნოზი** - მომავლის წინმსწრაფი ასახვა. შემეცნებითი საქმიანობის სახე, მიმართული კონკრეტული ობიექტების ან მოვლენების, წარსულისა და აწინდელი დროის ანალიზის საფუძველზე, განვითარების (დინამიკის) ტენდენციის განსაზღვრისაკენ. განასხვავებენ პროგნოზის ასპექტებს:

- *გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედებების* - ბუნებათსარგებლობის სისტემების, საზოგადოების სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ტენდენციების შესწავლის საფუძველზე გარემოს ანთროპოგენური ზემოქმედებების სახეების, ფორმების, სიდიდეებისა და შესაძლო მასშტაბების წინასწარმეტყველება;
- *საშიში ატმოსფერული პროცესებისა და მოვლენების* - განსაზღვრულ ადგილსა და განსაზღვრულ დროში გარემოში მოსალოდნელი საშიში მეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური პროცესებისა და მოვლენების წარმოშობისა და განვითარების განსაზღვრა, აგრეთვე მათი შესაძლო შედეგებისა და წარმოჩენებების შეფასება;
- *საშიში გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების* - ლონისძიებათა სისტემა, მიმართული საშიში გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების წარმოშობის, ხასიათის, მასშტაბებისა და ხანგრძლივობის, აგრეთვე მათი ზეგავლენის ზონაში შესაძლო ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების წარმოშობის განსაზღვრისაკენ;
- *საშიში ჰიდროლოგიური პროცესებისა და მოვლენების* - საგანგებო სიტუაციების ზონებში მოსალოდნელი საშიში

- ჰიდროლოგიური პროცესებისა და მოვლენების წარმოშობის, მათი დინამიკის, მასშტაბებისა და რისკების შეფასებები;
- *ბუნებრივი ხანძრების* – ბუნებრივ გარემოში წარმოქმნილი ხანძრების ფორმირებისა და დინამიკის, მათი არასასურველი შედეგების შესაძლო შეფასებების განსაზღვრა;
  - *ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების* – ხანძრების, აფეთქებების, ავარიების, კატასტროფების წარმოშობისა და რისკების შეფასებების საფუძველზე ტექნოგენური წარმოშობის საგანგებო სიტუაციების წარმოჩინების, განვითარებისა და შედეგების წინასწარი ასახვა;
  - *ეპიდემიების* – გარემოში გასატარებელი ღონისძიებათა შემუშავებისა და დასაბუთების მიზნით გარემოში ეპიდემიების შესაძლო წარმოშობის, განვითარების მასშტაბებისა და მათი შედეგების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს: მოსახლეობის ინფექციური დაავადებების გავრცელების გაფრთხილებებს, ამ დაავადებათა შემცირებას, წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ლიკვიდაციას;
  - *ეპიზოტების* – გარემოში გასატარებელი ღონისძიებათა შემუშავებისა და დასაბუთების მიზნით ეპიზოტის შესაძლო წარმოშობის, განვითარების მასშტაბებისა და შედეგების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს: გაფრთხილებებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ინფექციური დაავადებების გავრცელების შესახებ; სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ინფექციური დაავადებების შემცირებას; დაავადებათა შედეგად წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ლიკვიდაციას;
  - *ეპიფოტოტიის* - გარემოში გასატარებელი ღონისძიებათა შემუშავებისა და დასაბუთების მიზნით ეპიფოტოტიის შესაძლო წარმოშობის, განვითარების მასშტაბებისა და შედეგების განსაზღვრა. ის მოიცავს: გაფრთხილებებს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ინფექციური დაავადებებისა და მავნებლების გავრცელების შესახებ; სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაავადებების შემცირების ღონისძიე-

ბების დასახვას; დაავადებათა შედეგად წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ლიკვიდაციას.

## რ

**რადიაცია** - კორპუსკულარული (ალფა-, ბეტა-, გამა-სხივები, ნეიტრონების ნაკადი) და/ან ელექტრომაგნიტური ენერჯიის ნაკადი, რომლის განსაზღვრული დოზა სასკვდილოა ადამიანისათვის. რადიაციის განზომილების პარამეტრებია: აქტიურობა გამოსხივების წყაროში და შთანთქმული დოზა. წყაროში ბირთვული გარდაქმნების რაოდენობა რაიმე დროის განმავლობაში იზომება ბეკერელებში ან კიურებში. რენტგენულ და გამაგამოსხივებებს ზომავენ რენტგენებში. ბიოლოგიური სხეულების მიერ შთანთქმულ რადიაციას ზომავენ რადებში. ბერი - ცოცხალ ქსოვილებში ექვივალენტური დოზის ის ერთეულია, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია სხეულის მიერ შთანთქმული ენერჯიის ურთიერთმოქმედების ფაქტორი, რაც ამ ენერჯიის გაძლიერებას ან შესუსტებას იწვევს;

**რადიაცია ბუნებრივი** - იონიზირებული გამოსხივება, რომელიც დედამიწაზე შემოდის კოსმოსიდან ან კიდევ რადიოაქტიური იზოტოპების ხანგრძლივი დაშლის (ნახევარდაშლის მაღალი ხანგრძლივობით) შედეგად და შედიან ქანებისა და ნიადაგების შემადგენლობაში. ბუნებრივი რადიაციის საშუალო დატვირთვა 110 მბერს/წწ-ში შეადგენს, რომელთა შორის 80% დედამიწისეული წარმოშობისაა, ხოლო 20% - კოსმოსური.

**რადიაცია ფონური** - ბუნებრივი რადიოაქტიური გამოსხივება, რომელთა წყაროებს კოსმოსური სხივები, პლანეტის საკუთარი ნივთიერებების (რადონი, ურანი და სხვ) ბუნებრივი დაშლის გამოსხივებები წარმოადგენენ;

**რადიაციის განზომილების ერთეულები** - მიღებულია ორი სხვადასხვა სისტემის ერთეულები:

- საერთო ხმარებაში არსებული SI სისტემა;



- კიური (კი),  $3,7 \times 10^{11}$  კი = 1 ბკ (ბეკკერელი);
- რენტგენი (რ), 3.876 რ = 1 კლ/კგ (კულონი კილოგრამზე)
- რადი 100, (შთანთქმული დოზა ერგებში);
- გრეი (გრ), შთანთქმული დოზა ჯოჯოხეთში;
- ბერი (ექვივალენტური დოზა)

**რადიოაქტიური ნარჩენები (რან)** - რადიოაქტიური ნივთიერებების გარდაქმნების შედეგად წარმოქმნილი (თხევადი და მყარი) პროდუქტები, რომლებიც რადიაციულ ნორმებზე უფრო მაღალ რადიოაქტიურ იზოტოპებს შეიცავენ. თხევად რანებს ჰყოფენ: სუსტი აქტიურობის (ხვედრითი აქტიურობა  $1 \times 10^{-5}$  კი/ლ); საშუალო აქტიურობის (ხვედრითი აქტიურობა  $1 \times 10^{-5}$ - $1$  კი/ლ); მაღალი აქტიურობის (ხვედრითი აქტიურობა 1 კ/ლ). მყარ ნარჩენებს აქტიურ ნარჩენებად თვლიან, როცა მათი ხვედრითი აქტიურობა ტოლია: ა.  $2 \times 10^{-7}$  კი/კგ ალფა-გამოსხივებებისათვის, ბ.  $1 \times 10^{-8}$  კი/კგ ტრანსურანული ელემენტებისათვის, გ.  $1 \times 10^{-7}$  გრადიუმის ექვივალენტი გამა-გამოსხივების კგ-ზე.

**რადიოაქტიურობა** - ზოგი ქიმიური ელემენტისა და იზოტოპის (ნუკლიდების) თვითდამლის უნარის გამო იონიზირებული გამოსხივების მიმდინარეობა, რომელიც ელექტრომაგნიტურ ან გამოსხივებას ან კორპუსკულარულ ნაკადებს იძლევა. მის სახეებს წარმოადგენენ: ჰელიუმის ბირთვების ალფა-ნაწილაკების ნაკადები, რომლებსაც დიდი ელექტრული მუხტი გააჩნია. მათი შეჩერება ძალიან ადვილია. მას მცენარის ფოთოლიც კი აჩერებს. თუმცა, მისი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას (სუნთქვის ან საკვების მიღების დროს) რადიაციული დაზიანება სახეზეა. ელექტრონებისა და პოზიტრონების ბეტა-ნაწილაკები დიდი შეღწევადი უნარით ხასიათდებიან, რაც ადვილად განაპირობებს ადამიანის ქსოვილებში (1-2 სმ-ის სიღრმემდე) მათ მოხვედრას. გამა-გამოსხივება - მოკლეტალღიანი ელექტრომაგნიტური გამოსხივებაა, რომელსაც ძლიერი შეხწევადი უნარი გააჩნია. მათგან თავდასაცავად, როგორც წესი, ბეტონის სქელ

(რამდენიმე მ-ის სისქე) კედლებს ან ტყვიის ეკრანებს იყენებენ.

**რადონი** - ქიმიური ელემენტი (Rn), ინერტული რადიაქტიური აირი, რადიუმის დაშლის პროდუქტი. იგი იშლება ალფა- და გამმა-ნაწილაკების გამოსხივებით. ყველაზე უფრო სახიფათოა მისი იზოტოპი Rn-222 3,8 წლიანი ნახევარდაშლის პერიოდით. გამოიყოფა ნიადაგის ან არტეზიული ჭებიდან, აგრეთვე ზოგიერთი სამშენებლო (უმთავრესად ქვანახშირის წვიდან მიღებული წიდისაგან, წითელი აგურისაგან და ა.შ.) მასალებიდან. რადონი ხშირად ნაგებობების ქვედა სართულებში გროვდება, სადაც საჭიროა მეტი კონტროლი. მაღალ საცხოვრებლებში ჰაერის წევას შეუძლია რადონის მიწიდან შთანთქმის გაძლიერება. საცხოვრებელ ნაგებობაში რადონის შემცველობის ზღვრული დასაშვები დონე 200 ბკ/კუბ.მ-ს აღწევს. ამ დროს ადამიანი წწ-ში 150 მბერ რადიაციას ღებულობს. მეტი დოზის მიღებისას ადამიანს შესაძლოა ფილტვების კიბო განუვითარდეს;

**რეზერვატი** - ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს სახეობათა ერთი ან მისი ჯგუფების (ზშირად, მთელი ბუნებრივი კომპლექსის) განსაკუთრებულ დაცვას აქვს ადგილი. განასხვავებენ ჭაობების, ბოტანიკურ, ზოოლოგიურ, სამონადირეო, ბუნებრივ რეზერვატებს;

**რეკულტივაცია** - სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით, ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით დარღვეული (ნიადაგების, მცენარეულობის, რელიეფის, ლანდშაფტების) ტერიტორიების აღდგენას;

**რესურსები ბუნებრივი** - ადამიანთა საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, პირდაპირ ან მეშვეობით, მოხმარებული (ათვისებული) საარსებო და ბუნებრივი გარემოცვის მნიშვნელოვანი კომპონენტებისა (წყლის, მიწის, ნიადაგების რესურსები) და პირობების (მზის სხივური და სითბური, ქარის, ტალღების, მოქცევა-უკუქცევის, ბიონარჩენების ენერჯია) ერთიანობა;

- რესურსები განახლებადი** – ბიოსფეროს, ჰიდროსფეროს, მიწის, ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომელთა ხარჯვის (ტყის გაჩეხვა) ინტენსიურობასა და აღდგენის სიჩქარეთა (აღმოცენება) შორის დიდი სხვაობები ან არ არსებობს ან შესაძლებელია მათი შესადარისობა;
- რესურსები გენეტიკური** – მემკვიდრეობითი გენეტიკური ინფორმაცია, რომელიც მოქცეულია ცოცხალი არსებების გენეტიკურ კოდში;
- რესურსები ინტეგრალური** – მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული (სისტემური) ნივთიერი, ენერგეტიკული და ინფორმაციული ბუნებრივი რესურსების სახეების ერთობლიობა ანუ საზოგადოების ცხოვრების ბუნებრივი ფაქტორები, თანაშეხამებული კაცობრიობის მატერიალურ და შრომით რესურსებთან;
- რესურსები მეორადი** – საწარმოო დაწესებულებებში წარმოქმნილი ენერგეტიკული (სათბობის), გადამუშავებისა და მოხმარების საგნების ნარჩენები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია იმავე ან სხვა სახის წარმოებაში;
- რესურსები მიწის** – სახალხო მეურნეობის დარგებში გამოყენებული ან შესაძლო ათვისებას დაქვემდებარებული მიწები;
- რესურსები წყლის** – ხმელეთის წყლების, მსოფლიო ოკეანის, მიწისქვეშა წყლების, ნიადაგების ტენისა და ყინვარებში დაცული წყლების, თოვლის საფარის მექანიკური ან სითბური მარაგებისა ან ენერჯის ერთიანი (ჯამური) გამოხატულება. წყლის რესურსების მოცულობა შეადგენს 1390 მლნ. კუბ. კმ. მათ შორის 1340 მლნ. კუბ. კმ. მსოფლიო ოკეანის შემადგენლობაშია, ხოლო 3% სასმელი (მტკნარი) წყალია.
- რესურსთადაზოგვა** – საწარმოო ციკლის მთლიან (ყველა) ეტაპებზე, საბოლოო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი, როცა მიღწეულია ნივთიერებათა და ენერჯების მინიმალური ხარჯები და ადამიანის ბუნებრივ სისტემებზე უმნიშვნელო ზემოქმედება;

**რესურსთუზრუნველყოფა** - შეფარდება ბუნებრივი რესურსებისა და მათი ათვისების სიდიდეებს შორის. მისი განზომილების ერთეულია რაიმე ბუნებრივი რესურსის მოცულობა (რაოდენობა) მისი სრული ათვისების ხანგრძლივობასთან შედარებით (მოცულობა/-/დრო), ან ერთ სულ მოსახლეზე მარაგების გადაანგარიშებით;

**რეციკლინგი** – ნარჩენების, ნაყარებისა და სხვ. ტექნოგენეზში მობრუნების პროცესი;

**რისკი გეომორფოლოგიური** – ადამიანის ან საზოგადოების (ეკონომიკური ან სოციალური ინსტიტუტები) ზემოქმედებები, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს ბუნებრივი ან ბუნებრივ-ანთროპოგენური გეომორფოლოგიური (რელიეფის) სისტემების მდგარადობის ზღვარზე;

**რისკის ანალიზი** – რაიმე სამეურნეო პროექტის განხორციელების ან განსაზღვრული პოლიტიკის გატარების პროცესში ეკოლოგიური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვ. რისკების ბუნებისა და მისი ალბათობის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული გამოკვლევები;

## ს

**საბინადრო გარემოს ფაქტორები** – ბიოლოგიური (ვირუსული, ბაქტერიული, პარაზიტული და სხვა), ქიმიური, ფიზიკური (ხმაური, ვიბრაცია, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, სითბური, იონიზირებული თუ არაიონიზირებული გამოსხივება), სოციალური (კვება, წყალმომარაგება, საყოფაცხოვრებო, შრომითი და დასვენების პირობები) და საბინადრო გარემოს სხვა ფაქტორები, რომლებიც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ან მათ მომავალ შთამომავლობაზე ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ მავნე ზემოქმედებები;

- საგანგებო სიტუაციების სახიფათოობა** – საგანგებო მდგომარეობის წყაროდან მიღებული მდგომარეობა, როცა სახეზეა მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და გარემოს ელემენტების აშკარა დაზიანება ან მისი გამოვლინების ალბათობა;
- სავარგულები მიწის** – ამა თუ იმ კონკრეტული სამეურნეო მიზნებისათვის სისტემატიურად გამოყენებადი ან გამოყენებისათვის ვარგისი მიწები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ბუნებრივ-ისტორიული ნიშნებით;
- სავარგულები სამონადირეო** – გარეული (ველური) მხეცებისა და ფრინველების საბინადრო მიწის, ტყისა და წყლის ფართობები, რომელთა გამოყენება სამონადირეო მეურნეობისათვის შეიძლება;
- სათბურის ეფექტი** - წიაღისეული სათბობი მადნების ხანგრძლივი წვის შედეგად ატმოსფეროში ნახშირბადის დიოქსიდის შემცველობის ზრდის გამო ჰაერში სითბოსა და ტენის მომატების ტენდენციით გამოწვეული, სათბურებში მიმდინარე მოვლენის ანალოგიური გლობალური ატმოსფერული ეფექტი, რომელიც იწვევს დედამიწის ტემპერატურის მომატებას, რაც, საბოლოო ჯამში, მყინვარების დნობასა და ოკეანეების დონის აწევაში გამოიხატება;
- სალექარი** – დიდი რეზერვუარი ან აუზი, რომელსაც იყენებენ ხსნარების მინარევებისაგან (ფსკერზე დალექვის გზით) გასაწმენდად;
- სანიტარულ-დაცვითი ზონა** – ქალაქის სელიტებური ნაწილისაგან გამომყოფი სპეციალური დანიშნულების ხელოვნურად გამწვანებული ტერიტორია, რომლის ფართობი და ორგანიზაცია გარემოზე მრეწველობის მავნე მოქმედებების ხასიათსა და ხარისხზე დამოკიდებულია;
- სანიტარული დაცვის ზონა** – საწარმოო ობიექტების, მასალებისა და რეაგენტების საცავი სასაწყობე ღია და დახურული ნაგებობების, აგრეთვე მათი სელიტებული გაფართოების პერსპექტივაში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების

ბების საზღვრებს შორის არსებული ტერიტორიები; ზონის დანიშნულებაა: მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის ჰიგიენური ნორმების დაცვა; საწარმოებისა და ტრანსპორტის, ასევე ელსადენების ხაზების, ხმაურის, ვიბრაციის, ინფრაბგერების, ელექტრომაგნიტური ტალღების მიერ გარემოსა და მოსახლეობაზე დატვირთვების შემცირება; გარემოს კეთილმოწყობის პირობებში საწარმოებსა და საცხოვრისებს შორის არქიტექტურულ-ესტეტიკური ბარიერის შექმნა; ჰაერის ასიმილაციისა და ფილტრაციის გაზრდის მიზნით დამატებითი მწვანე უბნების მოწყობა, ასევე ჰაერის მასების დიფუზიის პროცესის გაზრდა და კლიმატზე ლოკალური პოზიტიური გარდაქმნების მიღწევა;

**საქალაქო ზონა** – ქალაქის პირობითი ტერიტორიული ერთეული, რომელზეც აირეკლება მისი ისტორიული განვითარება და შიგა ორგანიზაციური იერსახე, დაკავებული ფართობის გამოყენების ინტენსიურობა, მოსახლეობის შემადგენლობა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ნიშნები;

**საქალაქო ლანდშაფტი** – ქალაქის ფარგლებში წარმოდგენილი ლანდშაფტი, რომელშიც აშკარად ჩანს ბუნებრივი ფაქტორებისა (რელიეფის ფორმები, წყლის აუზები, მცენარეულობა) და საქალაქო განაშენიანების (საინჟინრო ობიექტები, ნაგებობები, გზები, მაგისტრალები) შეთანაწყობა;

**საქალაქო ტყეები** – ქალაქის ფარგლებში გავრცელებული ტყის ბუნებრივად წარმოქმნილი მცენარეები და ხელოვნურად გაშენებული სატყეო კულტურები;

**საქალაქო ფარგლები** – ქალაქის გარე საზღვარი, რომელიც განსაზღვრავს მის ტერიტორიასა და კუთვნილ მიწებს, გამოყოფილს სხვა კატეგორიებისაგან, ან წარმოადგენს ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვარს;

**სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა** – გარემოდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, როელიც ხორციელდება რაიმე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როცა ეს საქმიან-

ნობა მოიცავს: სამეწარმეო და სამეურნეო ან განსახლებისა და განვითარების გეგმების, ან კიდევ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას; განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტების (პროგრამების ჩათვლით) განხორციელებას; არსებული საწარმოების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ განახლებას და ა.შ.;

**სახელმწიფო კადასტრი ბუნების ობიექტების** – ბუნებრივი, სამეურნეო, საკანონმდებლო მონაცემების უტყუარი და დადასტურებული ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: ცოცხალი ორგანიზმების ბინადრობის პირობებისა და გეოგრაფიული გავრცელებულობის, ტყეების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ნიშნების, მათი რაოდენობრივ-თვისებრივი მახასიათებლების, ბუნების არაცოცხალი ელემენტების მდგომარეობების, ნიადაგების ბონიტირებისა და ეკონომიკური შეფასებების, ბუნებრივი წყლების გავრცელებისა და ხარისხის მაჩვენებლების, ბუნების სხვა კომპონენტების სამეურნეო ათვისებისა და ეფექტურობის შესახებ; დაცული ტერიტორიების სტატუსისა და გავრცელების, დაცვის რეჟიმისა და ბუნებისმოსარგებლების, აგრეთვე ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ეკონომიკური, ისტორიული და კულტურული ღირებულებების შესახებ;

**საწმენდი საშუალებები** - ჭურჭლეულობის, აბაზანების, უნიტაზების, სამზარეულოს ბაკანების გასაწმენდი ნივთიერებები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ფოსფატები და ტენზიდები, ასევე ფორმალდეჰიდის ან ნატრიუმის ჰიპოქლორიდის ან ქლორის შენაერთებისა და სხვ. ეკოლოგიურად სახიფათო ნივთიერებების შემცველი სადეზინფექციო საშუალებები. საწმენდი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში სახეზეა საყოფაცხოვრებო ჩამონადენების ხარისხის

დაცემა და მათ შემადგენლობაში ორგანული ნივთიერებების დამშლელი მიკროორგანიზმების დათრგუნვა. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანის ხელის კანის დაზიანება. აუცილებელია საწმენდი საშუალებების შეცვლა. მათ შორისაა: აბრაზიული ღრუბლები, "მსუბუქი ქიმიის" ნაწარმები - თხევადი საპონი, ძმარი, სპირიტი;

**საყოფაცხოვრებო გაცვეთილი ტექნიკა** – პირადი მოხმარების ავტომობილები და მათი შესაცვლელი დეტალები (აკუმულატორები, რეზინის სალტეები), კონდინციონერები, მაცივრები, ელექტროაპარატურა და სხვ;

**სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება** – საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონალური ღონისძიებები, მიმართული პოპულაციურ-სახეობრივი შედგენილობის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რიცხოვნობის დაცვისაკენ, განსაზღვრული მათი არსებობას ღონის შესაბამისად;

**სელიტურ ტერიტორია** – ქალაქის დაგეგმარებითი სტრუქტურის ნაწილი, რომელიც მოიცავს: მიკრორაიონის საცხოვრებელ რაიონებს; საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრებს, ქუჩებს, გასასვლელებს, მაგისტრალებს; გამწვანების ობიექტებს;

**სმოგი** – სამრეწველო საწარმოების, ქიმიური შეანაერთებისა (გოგირდის დიოქსიდი) და რადიაციული ნისლის, აგრეთვე ნისლისა და კვამლის ნარევის მიერ დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მიდამოების ჰაერის მიწისპირა ფენის ძლიერი გაბინძურება. სმოგის ტიპებია: ზამთრისა (ლონდონის) და ზაფხულის (ლოს-ანჯელესის). ზამთრის სმოგი - უქარო და წყნარ ამინდში ავტომანქანებისა და დაბალი მიწებიდან გამონაბოლქვების დაგროვება; ზაფხულისა - აზოტის ოქსიდებსა და ნახშირწყალბადებზე მზის სხივების მოქმედებით ფოტოოქსიდანტებს (უმთავრესად ოზონის) წარმოშობს. სმოგებს დიდი ზარალი და ადამიანის მსხვერპლი მოსდევს: ლონდონში (1952 და 1956 წწ) სმოგის შედეგად 10000 ადამიანი დაიღუპა;



**სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტი** – გარემოზე ძლიერი ზემოქმედებების შედეგად მიღებული ზარალისა და სარფიანობას შორის არსებული შეფარდება, ან კიდევ, იმ ხარჯის სიდიდე, რომელიც ამ ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო;

**სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალი** – საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის (დასვენების პირობების გაუარესება, ორგანიზმთა სახეობების განადგურება (გადაშენება), სარეწი წყაროების გაღარიბება) შედეგად სოციალურ-ეკონომიკური ზარალთან ერთად გარემოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გაუმართლებელი შემცირება;

**სტიქიური უბედურება** – კატასტროფული ხასიათის ბუნების ექსტრემალური (ვულკანის ამოფრქვევა, მიწისძვრა, ცუნამი, მეწყრები, კლდეზვავები, ღვარცოფები, თოვლის ზვავები, წყალდიდობები, ქარიშხალი, ტაიფუნები, ტორნადო, სეტყვა, ელ-ჭექი, ტყის ხანძარი) მოვლენები, ან მათი (თავსხმა წვიმა, თოვლის მოსვლა, წყინვა, ლიპ-ყინული) უეცარი და მკვეთრი ან არაჩვეულებრივად მაღალი ინტენსიურობით, ან ძალიან საშიში (ციკლონები, ქარბორბალა, გვალვები, გაუდაბნობა) გამოვლინებით, რომელიც მიმართულია ადამიანების ნორმალური საქმიანობის უეცარი დარღვევისაკენ, როცა სახეზეა მატერიალური ღირებულებების განადგურება და მოსახლეობის მასიური დასახიჩრება ან სიკვდილიანობა, რომელთა შეფასება განისაზღვრება ნგრევისა და მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით, ხოლო დაუსახლებელ ადგილებში – ბუნებრივი გარემოს კომპონენტების (რელიეფი, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო) დარღვევის ხარისხით, მათ მიერ დაკავებული ფართობის მიხედვით;

**სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები** – გარემოს რაიმე რეგიონში გავრცელებული ან მიმდინარე მოვლენები, რომელთა ინტენსიურობა და ხანგრძლივობა იწვევენ ეროვ-

ნული ეკონომიკისა და მოსახლეობის სახიფათო გამოვლინებებსა და სტიქიურ უბედურებებს;

**სტიქიური უბედურების რისკი** – ბუნების რაიმე ობიექტზე კატასტროფული შემთხვევებისას წარმოქმნილი საფრთხე;

**სტრესი სოციალურ-ეკოლოგიური** – მასიური შეგნებულობის მდგომარეობა, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია მწვავე ეკოლოგიურ კატასტროფებთან, უმთავრესად არამდგრადი სოციალური გამოვლინებებით ხასიათდება და სასიცოცხლო სიტუაციების კონტროლის ბერკეტების დაკარგვასთანაა (მაგ., ჩერნობილის მიდამოების მოსახლეობაში რადიოფობიის შიშის გათავისება) დაკავშირებული;

**სუკცესია** – გარემოს რაიმე განსაზღვრულ უბანზე ერთი ბიოცენოზის (ფიტოცენოზის, მიკრობული თანასაზოგადოების, ბიოგეოცენოზის) მეორეთი თანდათანობითი შეუქცევადი და კანონზომიერი შენაცვლება; სუკცესიის თეორიის პირველი შემუშავება ფ. კლემენტსმა მოახდინა, რომელიც ჯერ ვ. სუკაჩევმა, ხოლო შემდგომ ს. რაზუმოვსკიმ განავითარა. თავდაპირველად სუკცესია დამუშავდა გეობოტანიკოსების მიერ, ხოლო შემდგომ ლანდშაფტმცოდნეობასა და ეკოლოგიაში ჰპოვა ფართო გამოყენება;

## ტ

**ტენზიდები** - ქიმიური შენარტები, რომელთა კონცენტრირებას გარემოს ორ ზედაპირზე აქვს ადგილი - წყალი და ჰაერი. ისინი ზედაპირების დატენიანების უნარის გამო, ადვილად აღწევენ მოხვედრას ჭუჭყის ნაწილაკებს შორის. ტენზიდები შედიან სარეცხი-საწმენდი საშუალებების (საპონი, სარეცხი ფხვნილი) შემადგენლობაში, გარემოში ნელა იშლებიან, ტოქსიკურნი არიან წყლის ეკოსისტემის მრავალი ბინადრების მიმართ, იწვევენ ადამიანის კანის დაავადებებს;

**ტერატოგენები** - ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ტერატოგენები - მის განვითარებაში სიმახინჯის ან სხვა ანომალიების ფორმირება;

**ტექნიკური საგანგებო მდგომარეობა (სიტუაცია)** – გარემოს განსაზღვრული ტერიტორიული ან აკვატორიული ნაწილების ობიექტებში ტექნიკური საგანგებო მდგომარეობის წყაროების (ავარიები, საშიში ბუნებრივი მოვლენები, კატასტროფები, სტიქიური უბედურებები) წარმოქმნის შედეგად მიღებული მდგომარეობა, როცა: დარღვეულია მოსახლეობის სიცოცხლისა და საქმიანობის ნორმალური პირობები; ექმნება ხიფათი მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; არსებობს მოსახლეობაზე, ეროვნულ ეკონომიკასა და გარემოზე ზარალის მიყენების საშიშროება;

**ტექნოგენები** – ადამიანთა საზოგადოების საწარმოო საქმიანობის ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი კომპლექსებისა და ბიოგენოცეზების ცვლილების პროცესი, მიმართული ბიოსფეროს ნეგატიური გარდაქმნისაკენ რაც გეოქიმიური პროცესების გამოვლინებათა ერთობლიობას უკავშირდება და ანთროპოგენური გენეზისის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებითაა (გარემოს ამა თუ იმ კონცენტრაციებისაგან გაღარიბება, რიგი ქიმიური ელემენტებისა და მათი მინერალური, ასევე ორგანული შენაერთების სივრცობრივი გადაჯგუფებები) გამოწვეული;

**ტექნოგენური დატვირთვა** – გარემოზე ადამიანთა საზოგადოების დატვირთვის ხარისხი, რომელიც პირობითად ორ მდგენელად (დასაშვები და ეკოლოგიურად სახიფათო) იყოფა;

**ტექნოგენური ზემოქმედების დრო** – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში ანთროპოგენური (ტექნოგენური) ობიექტის ფუნქციონირება იწვევს რეციპიენტის (ტექნოგენური ან ბუნებრივი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ობიექტის) მდგომარეობის, ხასიათისა და ფუნქციონირების ცვლილებას;

**ტექნოგენური საშიში შემთხვევები** – საწარმოებსა და სამეურნეო საქმიანობის, სატრანსპორტო მაგისტრალებსა და სხვა ობიექტ-

ტებში გაუთვალისწინებელი ტექნოგენური დარღვევები: ავა-რიები, ხანძრები, აფეთქებები, ენერჯის სახეების უცარი გამონთავისუფლებები და ა.შ.;

**ტექნოლოგია რესურსთდამზოგავი** – თანმიმდევრული ტექნოლოგიური ოპერაციების ერთიანობა, რომელიც ერთეული პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს სათბობის ან ენერჯის სხვა წყაროს მინიმალური შესაძლო მოხმარებით, ან კიდევ, ტექნოლოგიური მიზნებით აღწევს ნედლეულის, მასალების, წყლების, ჰაერის მინიმალური ოდენობით გამოყენებას;

**ტექნოლოგია უნარჩენო** – ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯის რაციონალური ათვისების, საბოლოო პროდუქციის მიღებისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა, როცა მოცემული მომენტის ტექნოლოგიური განვითარების დონის შესაბამისად, მიღწეულია წარმოების ნარჩენების მაქსიმალური შემცირება, ხოლო საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილების გონივრული საქმიანობა ეყრდნობა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების, მეთოდებისა და ხერხების, საშუალებებისა და წყაროების გამოყენებას, ამავე დროს მიმართულია მოწინავე და სრულყოფილი ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვისაკენ; აბსოლუტური უნარჩენო ტექნოლოგიის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. იხ. ტექნოლოგია მცირენარჩენიანი.

**ტექნოსფერო** – ბიოსფეროს ნაწილი, ტექნიკური და ტექნოგენური ობიექტები – ნაგებობები, გზები, მექანიზმები და საწარმოები, რომლებიც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური (არა ეკოლოგიური) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, ადამიანთა სამეურნეო ზემოქმედებითა და პირდაპირი ან მეშვეობითი საქმიანობის შედეგად განადგურებულია (დანგრეულია) ან საფუძვლიანადაა გარდაქმნილი;

**ტოქსიკურობა** - შხამიანობა, ნივთიერებათა უნარი გამოიწვიოს ორგანიზმებზე მავნე გავლენა ან ადამიანის ჯანმრთელობის

შერყევა. ტოქსიკურობის შეფასების საფუძველზე ახდენენ მავნეობის მიხედვით გამაბინძურებელ ნივთიერებათა კლასიფიკაციას;

**ტოქსიკურობა წყლის** – წყლების უნარი გამოიწვიონ წყლის ორგანიზმების ცხოველმოქმედების დარღვევა მავნე ნივთიერებების შემცველობის შედეგად;

**ტოქსიკური ნარჩენები** - მეურნეობრივი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, რომლებსაც, ადამიანის ორგანიზმთან კონტაქტის დროს, შეუძლიათ გამოიწვიონ რაიმე დაავადების ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გადახრა;

**ტოქსიკური ნივთიერება** - ნივთიერება, რომელსაც შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობას ან ბუნებრივ გარემოს მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი;

**ტყვია** - მძიმე ლითონი, რომელიც ფართოდ გამოიყენება წარმოებაში (ბენზინის დანამატი) და წარმოადგენს გარემოს ერთ-ერთ სახიფათო გამაბინძურებელს. ადამიანის ორგანიზმში ტყვია საკვების მეშვეობით ხვდება. ტყვიის დაგროვებას ყველაზე მეტად ადგილი აქვს ცხოველთა ღვიძლსა და თირკმლებში, მტკნარი წყლის თევზებსა და ხილბოსტნეული კულტურების ნაყოფებში. ადამიანის ორგანიზმში ტყვიის შემცველობას მისი სისხლის ანალიზით არკვევენ. მისი რაოდენობა 100 მლგ სისხლში 15 მკგ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ბავშვებსა და ორსულ ქალებში კი დოზა 2-ჯერ ნაკლებია. ტყვიით მოწამვლა იშვიათია, თუმცა მან შეიძლება შიდა ორგანოების ან ღრძილების (ტყვიის შავი არშია) დაავადება გამოიწვიოს;

## უ

**უნარჩენო წარმოება** - პროდუქციის წარმოების რესურსთდამზოგავი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ძირითადი საწარმოო ციკლის შიგნით ნარჩენების არარსებობით ხასიათდება ან

დამატებითი ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას მის მთლიან უტილიზაციას აღწევს და, ამ წარმოების ფარგლებში, ძირითადი პროდუქციის მიღებასთან არაა დაკავშირებული. შენიშვნა: წარმოება უნარჩენოა მაშინ, როცა ერთი მათგანის ნარჩენი მეორისათვის ნედლეულს წარმოადგენს;

**ურბანიზაცია** – ქალაქების ზრისა და განვითარების პროცესი, ქვეყნის ან რეგიონის ან მსოფლიოს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია, სასოფლო ადგილებში (განსახლებებში) ქალაქური ცხოვრების გარეგანი და სოციალური ნიშნების (იერ-სახის) მიღება;

**ურბანიზებული ტერიტორია** – ქალაქის ტიპის მოსახლეობით დასახლებული სივრცე, კანონის მიხედვით ქალაქს მიკუთვნებული (დაქვემდებარებული) ტერიტორია, რომელიც მოიცავს ხმელეთისა და მისი მიმდებარე ბუნებრივი (მდინარე, ტბა) ან ხელოვნური (გუბურა, წყალსაცავი) წყლებით დაკავებულ არეალს და, საზოგადოებასთან ერთად - საწარმოო, სატრანსპორტო თუ საინჟინრო ნაგებობების ორგანიზულად დაკავშირებულ სისტემას წარმოადგენს;

**ურბოეკოლოგია** – ეკოლოგიის ახალი მიმართულება ან ცოდნის დარგი, რომლის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ურბანიზებული გარემოს ადამიანი, ბუნებრივი გარემოცვის საზოგადოებრივი განსახლებები გარემოსა და ადამიანის - როგორც ბიოლოგიური და სოციალური არსების პირდაპირი და უკუკავშირების მრავალფეროვნებით;

**ურბოსფეროს გეომორფოლოგიური ანალიზი** – ქალაქის განსახლებების ასპექტებისა და მათი ფუნქციონალური დანიშნულების (დედაქალაქი, კურორტი, სამრეწველო ცენტრი და სხვ) განხილვა ადგილის გეომორფოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით;

**ურბოსისტემა** – ურბანიზებული ტერიტორიების არამდგრადი ბუნებრივ-ანთროპოგენური სისტემა, რომელიც შედგება არქი-

ტექტურულ-სამშენებლო ობიექტებისა და მკვეთრად დარღვეული ბუნებრივი ეკოსისტემებისაგან;

**უსაფრთხოება გეოკოსმოსური** – დედამიწის (პლანეტის), ასევე კაცობრიობის ან მთელი ბიოსფეროს მდგომარეობის დაცვისუნარიანობა ბუნებრივ-კოსმოსური ზემოქმედებებისა (ასტეროიდები, კომეტები და სხვ) და ადამიანის არაგონივრული სამეურნეო საქმიანობისაგან;

**უსაფრთხოება მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებში (სს)** – საგანგებო სიტუაციებში სახიფათო მდგომარეობებისაგან ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის, ან მათი ქონებრივი და საცხოვრისი გარემოს დაცვადობის მიღწევა;

**უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციებში** – საგანგებო სიტუაციებში სახიფათო მდგომარეობებისაგან მოსახლეობის, სახალხო მეურნეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვის მიღწევა. შენიშვნა: 1. უსაფრთხოების სახეებია: საწარმოო, რადიაციული, ქიმიური, სეისმური, სახანძრო, ბიოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა; 2. უსაფრთხოების ობიექტებია: მოსახლეობა, მეურნეობის ობიექტები, გარემოს კომპონენტები;

**უსაფრთხოება ჰიდროტექნიკური ნაგებობების** – ჰიდროტექნიკური ნაგებობების თვისება, რომელიც განაპირობებს ადამიანთა საზოგადოების, მისი საცხოვრებელი გარემოსა და სამეურნეო ობიექტების ნორმალური ცხოვრების, საღი ჯანმრთელობისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას;

**უსაფრთხოების კრიტერიუმი ჰიდროტექნიკური ნაგებობების** – ჰიდროტექნიკური ნაგებობების მდგომარეობათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი (თვისებრივი) ან მათი ექსპლუატაციის ზღვრული მნიშვნელობანი, რომლებიც სახელმწიფოს მიერაა დადგენილი და ამ ნაგებობებათა ავარიის რისკის დონეს განსაზღვრავს, რაც მათი უსაფრთხოების მიზანს ემსახურება;

**უტილიზაცია** – ნარჩენების ნებისმიერი სახეების გამოყენება და სარგებელის მიღება, როცა სასაქონლო პროდუქციის

წარმოების, გამოყენებისა და განლაგების, ასევე გარემოში მათი მავნე მოქმედებებისაგან თავის არიდებისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ტექნოლოგიური პროცესების მსვლელობისა და მეორადი პროდუქციის გადამუშავების გონივრული წარმართვა;

## ფ

**ფენოლი** - უმარტივესი არომატული (მყარი ნითიერება) სპირტი ( $C_6H_5OH$ ), უფერო და ჰაერში მოვარდიფრო კრისტალი, რომელიც მრავალი ქიმიური ნივთიერების (პესტიციდები, სინტეტიკური პოლიმერები, გამხსნელები) წარმოების შუალედურ პროდუქტს წარმოადგენს. მცირე დოზებით გამოიყენება მედიცინაში (დეზინფექცია). ფენოლის ორთქლის შესუნთქვა იწვევს ლორწოვანი გარსების ანთებას, კანის დამწვრობას, საკვების მომწიფებელ სისტემაში მოხვედრისას - თირკმლებისა და ღვიძლის დაზიანებას;

**ფილტრები საყოფაცხოვრებო (სასმელი წყლების)** - გამაბინძურებლების (ნავთობროდუქტები, ფენოლები), მძიმე ლითონებისა და წყლის სიხისტის შემამცირებლებისაგან წყლების გასაწმენდი სპეციალური მოწყობილობა;

**ფიტონციდები** - რთული ბუნების აქროლადი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ატმოსფეროში გამოიყოფა მცენარეების (გაჭრილი ნიორის ან თავიანი ხახვის) მიერ და მიკროორგანიზმების (ბაქტერიები, სოკოები) მოქმედებების დათრგუნვას იწვევს;

**ფიტოტოქსიკური ნაერთები** - მცენარეთა მომშხამავი ნაერთები;

**ფონი ბუნებრივი** - ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირების გარეშე არსებული ბუნებრივი ნივთიერებებისა და სხვა აგენტების (მაგ., გამოსხივება) ადამიანსა და სხვა ორგანიზმებზე ზემოქმედებების ხარისხი ან კონცენტრაციები;



**ფორმალდეჰიდი** - ქიმიური ნივთიერება (HCHO), რომელიც ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში (მერქნის ნარჩენების ფილები, ავტომობილების გამონახოლქვები, მოსაპირკეთებელი საშუალებები საფეიქრო მრეწველობაში). მისი წარმოების მოცულობა მლრდ ტონობით განისაზღვრება. ამავე დროს, იგი მეტად სახიფათო ნივთიერებაა, რომლის შედეგად წყლებისა და ატმოსფეროს გაბინძურებას აქვს ადგილი, ასევე იწვევს ძლიერ ალერგიულ რეაქციებს (ცრემლისდენა, ხველება, ბრონხების სპაზმა), სავარაუდოდ მას კანცეროგენული უნარიც ახასიათებს. წყალში ფორმალდეჰიდის ხსნარი ფორმალინის წარმოშობას იწვევს;

**ფოსფატები** - ორთოფოსფორული და უფრო რთული მჟავების მარილები, რომელთა გამოყენებას მიმართავენ როგორც სასუქებად, ისე სარეცხ და საწმენდ საშუალებად. ფოსფატები ხშირად ხვდება საყოფაცხოვრებო ნაკადებში და წყლის აუზების ევტროფიკაციას იწვევენ. რიგ ქვეყნებში ფოსფატების სარეცხ საშუალებებში შერევას არ მიმართავენ და მათ სხვა შენაერთებით ცვლიან. მცირე დოზით ფოსფატებს საკვებ პროდუქტებშიც (ნადნობი ყველი, შედედებული რძე, ცომის გაფაშრება, მოხარშული ძეხვი, სოსისი, პეპსი-კოლა, კოკა-კოლა) უმატებენ. ბავშვებში ფოსფატების ზომიერად მეტი დოზა იწვევს ნერვული სისტემის მოშლას - აგრესიულობა, ყურადღების მოდუნება, შფოთვა, მღელვარება და სხვ.;

**ფრეონები** - გაჯერებული გაზობრივი ან თხევადი ფტორნახშირბადები ან პოლიფტორნახშირბადები (შეიცავს აგრეთვე ქლორის ატომებს). ისინი არ იწვიან არ ფეთქდებიან, ქიმიურად ინერტიულნი არიან. გამოიყენებენ სამაცივრო დანადგარებში ან ცეცხლსაქრობ კომპონენტებში. ფრეონების ჰაერში გადინება არ იწვევს რეაქციებს, თუმცა სწრაფად ადის ატმოსფეროს მაღალ ფენებში, სადაც იშლებიან ულტრაიისფერი სხივების მიერ და მონაწილეობენ ოზონის ფენის დაშლაში;

**ფტორი** - აქტიური ქიმიური ელემენტი, რომელიც ბუნებაში სუფთა სახით არ გვხვდება. მისი შენარები ფართოდ გამოიყენება ალუმინისა და ცემენტის წარმოებაში, რაც იწვევს ჰაერის გაბინძურებას. ფტორწყალბადის მჟავის (ფტორიდები) მარილების მაღალი კონცენტრაცია განსაკუთრებით ტოქსიკურია და იწვევს ორგანიზმის ფერმენტების დათრუნვას, ქრონიკული ფტორიდული მოწამვლა ადამიანის ჩონჩხის (სკელეტის) ნეგატიურ ცვლილებებს იძლევა. სტომატოლოგიაში ფტორიდების გამოყენებას მიმართავენ კბილების პროფილაქტიკაში ან კარიესის წინააღმდეგ. მცირე დოზით ის დამატებულია კბილის პასტის შემადგენლობაში. ხშირად მიმართავენ წყლის ქლორირებას, თუმცა ის გერმანიაში აკრძალულია;

**ფუნგიციდები** - პრეპარატი, რომლის გამოყენებას მიმართავენ მცენარეთა სოკოვანი დაავადებების (ჟანგი, ფიტოფტორი, გუდაფშუტა) საწინააღმდეგოდ. ფუნგიციდები ტოქსიკური პრეპარატია და ეკოლოგიურად სახიფათოა. ის იწვევს ცხოველებისა და ადამიანის მოწამვლას, ნიადაგის მიკროორგანიზმების აქტიური ცხოველქმედების დათრგუნვას და სხვ. ამიტომ, სოკოვანი დაავადებების კონტროლის ალტერნატივად მიღებულია მცენარეთა ადაპტაციური სელექციის მეთოდი - სოკოვანი დაავადებების მიმართ მდგრადობის გაძლიერება;

## ქ

**ქიმიური წმენდა ტანისამოსის** - ძლიერმოქმედი ქიმიური გამხსნელების (ქლორირებული ნახშირწყალბადები, ტეტრაქლორეთილენი) გამოყენებით ტანისამოსიდან ლაქებისა და ჭუჭყის მოცილება. ამ ნივთიერებებს მაღალი ტოქსიკურობა და კანცეროგენულობა გააჩნიათ, რაც პირველ რიგში საშიშია (პრეპარატებით შევსება და აპარატურის რემონტი) მომსახურე

პერსონალისათვის. ამ საწარმოების მოსამსახურეებს ავთვისებიანი სიმსივნებით დაავადების მაღალი რისკი გააჩნიათ. მავნეობის შემცირების მიზნით საწარმოს ჰერმეტიზაციას მიმართავენ;

**ქლორი** - ქიმიური ელემენტი (Cl), ყვითელ-მწვანე გაზი მწვავე სუნით. მას ცოცხალი ძალის (I მსოფლიო ომში) მოსაწამვლად იყენებდნენ. ქლორი განსაკუთრებით საშიშია (მომწავლავი ნივთიერება) მისი ქლორშემცველი შენაერთიდან გამონთავისუფლებისა და ქიმიური რეაქციების დროს. ქლორშემცველი შენაერთების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია შენობის განიავება, რადგან ქლორის უმნიშვნელო დოზაც კი იწვევს სასუნთქი გზების გაღებინებას, ქლორი წარმოადგენს ოზონის ფენის განადგურების ძირითად ელემენტს;

**ქლორირება წყლის** - ქლორის გამოყენებით სასმელი წყლის განწმენვა, რომელიც სპობს მიკროორგანიზმებს, ხოლო ქლორი წყლის ადულებისას აქროლებას განიცდის. თუმცა, ქლორისა და წყლის გამაბინძურებელ ორგანულ ნივთიერებათა ურთიერთმოქმედებისას შეიძლება მაღალტოქსიკური და კანცეროგენული (მათ შორის დიოქსინი) ნივთიერებათა წარმოიქმნას;

**ქლორფტორმეთანები** - ქლორფტორნახშირბადების ქვეჯგუფის ნაერთები, რომლებიც იწვევენ ოზონის ფენის დეგრადაციას;

**ქლორფტორნახშირბადები (ქფნ)** - წარმოების გზით მიღებული და საყოფაცხოვრებო (სამაცივრო დანადგარები, კონდინციონერები) ან წარმოების (გამხსნელები, სტერილიზატორები, პლასტიკური მასების) მიზნებით გამოყენებული ნივთიერებები, რომელთა ატმოსფეროში მოხვედრისას, ქიმიური რეაქციების შედეგად, ისინი იწვევენ ოზონის ფენის დეგრადაციას, რაც ულტრაიისფერი რადიაციის დონის ზრდის წინაპირობას წარმოადგენს;

## შ

- შავი სია** – პლანეტის მცენარეთა და ცხოველთა გადაშენებული სახეობების საერთაშორისო ნუსხა-სია;
- შპალერი ოთახის სინთეტიკური** - ოთახის კედლების გასაკრავი რეცხვადი მასალა, მზადდება რა ხელოვნური სინთეტიკური ნაწარმისაგან, ნაკლებად ჰიგიენურისა (ურევენ ობისა და ჩრჩილის დამაზიანებელ პრეპარატებს) და ოთახის მიკროკლიმატის ნეგატიური რეგულირების (ჰაერის ტენის შთანთქმა) გამო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო ნიშნებით ხასიათდება;
- შეფუთვა ლითონური** - მზა პროდუქციის შესანახად აუცილებელი შესაფუთი მასალებიდან ხშირად მიმართავენ ლითონისაგან დამზადებულ (თუნუქის კონტეინერები, საკვები და საკონდიტრო პროდუქტების ქილები, ალკოჰოლური სასმელების ტუბები, სუვენირების კოლოფები და კონტეინერები) მასალებს, რომელთა უპირატესობა გამოიხატება მათ ფიზიკურ სიმაგრეში, კოროზიულ მდგრადობაში, ელასტიკურობასა და ეკონომიკურობაში. შესაფუთი მასალები გამოყენების შემდგომ ეტაპზე საჭიროებს გადამუშავებასა და უტილიზაციას, რადგან აბინძურებს გარემოს;
- შეფუთვა პენოპლასტური** - მსუბუქი მასის ეს შესაფუთი მასალა გამოიყენება პროდუქციის ხანგრძლივი ტრანსპორტირებისას მათი ფიზიკური დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. ამ მასალის ხშირი გამოყენება მის რაოდენობას აშკარად ზრდის, რაც გარემოს გაბინძურებას იწვევს;
- შეფუთვა PEt** - ახალი პოლიმერული (1983-85 წლებში აშშ-ში პოლიეთილენტერაფტალატის საფუძველზე შექმნილი პოლიმერი) მასალა, რომლის გამოყენებას საკვები პროდუქციისა და ფარმაცევტული საშუალებების შესაფუთად იყენებენ. **PEt**-ი სწრაფად გროვდება გარემოში და იწვევს მის გაბინძურებას;
- შეფუთვა პლასტიკური** - გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაში, როცა კანფეტების, ტორტების, კეკსების, ნაყინის, ქილების

ერთჯერადი მოსახუფები და სხვ. შეფუთვას აქვს ადგილი. პლასტიკატებად გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა (პოლიეთილენტერაფტალატი - **PEt**) მასალები. ამ მასალების ნარჩენები კი გარემოს გამაბინძურებელ ნაგავად იქცევა, რომლებსაც გონივრული უტილიზაცია ჭირდება;

**შეფუთვა პოლიეთილენური** - გამოიყენება საყოფაცხოვრებო და კვების მრეწველობაში. პოლიეთილენებიდან განასხვავებენ: მაღალი წნევისა და დაბალი სიმკვრივის, დაბალი წნევისა და მაღალი სიმკვრივის და პოლიპროპილენებს. ამ სახეების შესაფუთი მასალა სარეკლამო ასპექტსაც ამჟღავნებს. ამიტომ ის ფართოდ გამოიყენება, რაც მისი ნარჩენების საერთო მოცულობას აშკარად ზრდის;

**შეფუთვა პოლიპროპილენური** - პროპილენის თერმოპლასტური პოლიმერი, იზოტაქტიკური სტრუქტურის უფერო კრისტალური ნივთიერება. სინთეტიკური პოლიმერი  $[CH_2-CH(CH_3)]_n$  პროპილენის პოლიმერიზაციის პროდუქტია და თეთრი ფერის მყარ ნივთიერებას წარმოადგენს. მას მაღალი სიმტკიცე ძლიერი დარტყმისა და მრავალჯერადი გადაღუნვისას არ ფუჭდება, აქვს ცვეთისადმი მაღალი გამძლეობა, კარგი დიელექტრიკა. გამოიყენება პოლიპროპილენური ქსოვილებისა და მილების ფირფიტების წარმოების დროს. მისი ნარჩენები ანაგვიანებენ გარემოს;

**შეფუთვა რბილი** - მზა პროდუქციის შესანახად გამოყენებული მსუბუქი მასალებისაგან (ნეილონი, ბადეები) დამზადებული შესაფუთი მასალა, რომელთა გამოყენებას მიმართავენ კვების მრეწველობის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, პაფიუმერიის, გალანტერიის, საჩუქრების, ჰიგიენის, ფარმაცევტული მრეწველობისა და სხვა პროდუქციის შესანახად ან გადასატანად. განსაკუთრებით ხშირია რძის პროდუქტების (არაჟანი, იოგურტი, მაწონი, ხაჭო და კეფირი) შეფუთვა. ამ დროს, როგორც წესი, თერმოფორმოვან შესაფუთ მასალას გამოიყენებენ. მსუბუქი შეფუთვის მასალები ხშირად აბინ-

ძურებენ გარემოს. ამიტომ, მათი გამოყენების შემდგომ აუცილებელია გონივრული უტილიზაცია;

**შეფუთვა საკვები პროდუქტების** - მოიცავს შესაფუთი მასალების ექსპლოატაციის სისტემას: გარეგანი სახე, ხელსაყრელი ტრანსპორტირება, პროდუქტის შენახვა და საკვებად გამოყენება. საბოლოოდ, შესაფუთი მასალა გარემოს გამაბინძურებლად იქცევა, რაც მის სწორ უტილიზაციას მოითხოვს;

**შლამი** – წარმოების პროცესში, ამ თუ იმ მადნების ან ქვანახშირის გამდიდრებისას, მასალათა დაქუცმაცების შედეგად მიღებული 0,25 მმ-ის დიამეტრის მქონე მარცვლები;

## ც

**ცხოველთა სამყარო** – პლანეტის ან მისი რომელიმე ნაწილის ან რომელიმე რეგიონის (ქვეყნის) ცოცხალ ორგანიზმთა (გარეული ცხოველები) სახეობების ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნიათ ბუნებაში ორგანულად შერწყმის უნარი და არსებობენ ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში, ამავე დროს მიეკუთვნებიან პლანეტის (კონტინენტური შელფის, ღია აკვატორების, ჰაერისა და მიწის) ბუნებრივ რესურსებს;

## წ

**წესი ბუნების გარდაქმნის ზომიერების** – ბუნებრივი სისტემების ექსპლოატაციის მსვლელობაში რაიმე ზღვარის გადაუღახაობა, როცა ამ სისტემას შენარჩუნებული აქვს როგორც თვითორგანიზაციის, ისე თვითრეგულირების უნარები;

**წესი ბუნების მსუბუქი მართვის** – ბუნებრივი პროცესების მართვის ხერხი, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკოლოგიური ბალანსის აღდგენა, როგორც წესი, ბუნებრივი ჯაჭვური რეაქციის სასურველი მსვლელობა სოციალურ-

- ეკონომიკური თვალსაზრისით “ხისტი” მართვის (ეკოლოგიურად სახიფათო, სოციალურად გაუმართლებელი და ეკონომიკურად არაეფექტიური) ალტერნატივას წარმოადგენს;
- წესი ინტეგრალური რესურსის** – კონკრეტულ ბუნებრივ სისტემებში, კონკურენტი მეურნეობის დარგების მიერ ერთმანეთის მიმართ გაწეული ზიანი მით უფრო ძლიერია, რაც მეტია მათი ერთობლივი საქმიანობის (ექსპლოატაციის) შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური კომპონენტის ან მთლიანი ეკოსისტემის ნეგატიური ცვლილებები;
- წიდა** – თხევადი ან მყარი ნარჩენები, რომელთა მიღებას ადგილი აქვს ლითონების გამოდნობის, თუჯის გადამუშავების (რკინის ან ფოლადის მიღება), მინისებრი ან სხვ. მასების გაცივების დროს;
- წითელი წიგნი** – იშვიათი და გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფი ცხოველების, მცენარეებისა და რედუცენტების (მაგ. სოკოების) ანოტირებული (საერთაშორისო, ნაციონალური) სია-ნუსხა;
- წითელი ხაზი** – ქალაქის ფარგლებში განაშენიანებული ან მისთვის განკუთვნილი ტერიტორიის შემომსაზღვრელი პირობითი ხაზი (საზღვარი), რომელიც მას გამოჰყოფს მაგისტრალების, გზების, გასასვლელებისაგან და დგინდება ტროტუარების მიმდებარე გარე საზღვარის გასწვრივ;
- წონასწორობა ბუნებრივი** – გარემოს გარეგანი შემფოთებების პირობებში, მისი აღდგენის მექანიზმის უნარის მქონე ორგანიზმების თანასაზოგადოებების მიერ ბიოგენების მიმოქცევის ბალანსის განხორციელება, როცა მათი მაღალი სიზუსტის ხარისხი და გარემოს არსებობის ხანგრძლივი მდგრადობა უზრუნველყოფს ორგანიზმებისა და მათ მიერ წარმოქმნილი თანასაზოგადოებების ხელსაყრელი პირობების ფორმირებას, ანუ ადგილი აქვს ლე შატალიეს პრინციპის შესრულებას;
- წონასწორობა სისტემაში** - “საზოგადოება-ბუნება” - საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობის მდგომარეობა,

სოციოეკოლო-გიური წონასწორობა, როცა საზოგადოების მიერ ამა თუ იმ ობიექტის ათვისებისას, ბუნებრივი ან გარდაქმნას დაქვემდებარებული ეკოსისტემების მიერ გარემოს სიცოცხლისუნარიანობის ფუნქციის დარღვევა არ მიმდინარეობს;

**წყალდაცვითი ღონისძიებები** – ბუნებრივი წყლების გაბინძურების, დანაგვიანებისა და გამოლევის თავიდან აცილებისაკენ მიმართული ღონისძიებათა კომპლექსი;

**წყალდაცვითი ზონა** – გაბინძურებისაგან დაცვის მიზნით გამოყოფილი ტერიტორიები, რომლებზეც აკრძალულია ან შეზღუდულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობა საზოგადოების ინტერესების (გაბინძურების არიდება, მოსილვა, წყლის ობიექტების გამოლევა) გათვალისწინებით;

**წყალმომხმარების ლიმიტი** – ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ, წყალმომხმარებელი აბონენტისადმი, რაიმე დროის მანძილზე სასმელი წყლის ან ჩამდინარე ბინძური წყლების დადგენილი ზღვრული რაოდენობის გაცემის ნებართვა;

**წყალსარგებლობა** – მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის რიგი დარგების ნებისმიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით წყლის რესურსების გამოყენების წესების, პირობებისა და ფორმების სისტემის შექმნა და რეალიზაცია;

**წყალსარგებლობის ლიმიტი** – წყლის რესურსების მოპოვების (სარგებლობის) ან ხარისხობრივად ნორმატივების ფარგლებში ჩამდინარე ბინძური წყლების ზღვრული დასაშვები მოცულობები, რომლებსაც გარკვეული ვადით ადგენს ადგილობრივი მართვის ორგანოები;

**წყარო ნავთობით გაბინძურების** – განსაზღვრული დანიშნულებისა (ცისტერნა, მილსადენი, მანქანებისა და დანადგარების ნაკვეთურები, ნავთობჩამსხმელი გემმისადგომები) და მოწყობილობის (გამწმენდი ნაგებობები, სალექარები ან სხვა) ფიზიკური ობიექტი ან ნაგებობა, რომელიც შეიცავს კონკრეტული მახასიათებლების (მოცულობა, ფართობი, ზომები, სიმტკიცე,



წნევა და სხვა) მქონე ნავთობის ან ნავთობშემცველი ნივთიერებების ნარევის და რომელთაგან ბუნებრივი წყლების ობიექტებში შესაძლებელია ან უკვე მიმდინარეობს ნავთობის ნარევის შემოდინება;

**წყარო საგანგებო სიტუაციის** – საშიში ბუნებრივი მოვლენების (ავარია ან ტექნოგენური კატასტროფა) მიერ ან ადამიანთა ან სასოფლო-სამეურნეო ობიექტების (მცენარეები და ცხოველები) ფართოდ გავრცელებული ინფექციური დაავადებები, ან კიდევ განადგურების თანამედროვე საშუალებების გამოყენებით გამოწვეული უბედურებები, რომელთა მიერ იქმნება ან შესაძლოა შეიქმნას რეგიონების საგანგებო სიტუაცია;

**წყაროები ბუნებრივი გამოსხივების** – ბუნებრივი, მათ შორის კოსმოსური და დედამიწისეული წარმოშობის გამოსხივების წყაროები, რომელიც შეიმჩნევა ადამიანის საცხოვრებელ გარემოში, გვირაბებსა და სხვა ხელოვნურ ნაგებობებში, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების ფარგლებში;

**წყლები ზედაპირული** – ზედაპირულ წყლის ობიექტებზე მყოფი მუდმივი (ზედაპირული ნაკადები) ან დროებითი წყლები;

**წყლები მიწისქვეშა ტექნიკური** – მიწისქვეშა წყლები, რომლებიც თავისი ხარისხითა და ფიზიკური თვისებებით გამოიყენება ან შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამრეწველო (ტექნიკური) წყალმომარაგების მიზნით;

**წყლები სასმელი** – ბუნებრივი ან სპეციალური მომზადების (გადამუშავების) შემდეგ მიღებული ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყლები, რომელთა სანიტარული ნორმები პასუხობს ადამიანის მიერ მათი სასმელად ან საყოფაცხოვრებო დანიშნულებით მოხმარებისა ან საკვები პროდუქციის დამზადების მოთხოვნებს;

**წყლები ჩამდინარე (ბინძური)** – წარმოების მიზნებით ან საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ან დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების, სარეცხი ან სხვა ობიექტების ან

დასახლებული (ქალაქები, სამრეწველო ნაგებობები), საკანალიზაციო ან სხვა ქსელების ტერიტორიებიდან ან ამა თუ იმ წყლის ობიექტებში ჩამდინარე ან მათ არეალებში (ატმოსფერული ნალექების, სავარგულების მორწყვის, ქუჩების დასუფთავების შედეგად) გამოყენებული და ჩამოდენილი გაბინძურებული წყლები, რომლებსაც შეცვლილი აქვთ პირველადი ქიმიური შედგენილობა და ფიზიკური თვისებები;

**წყლების თვითგაწმენდა** – ბუნებრივი პროცესების ერთიანობა, რომელიც მიმართულია წყლის ობიექტების აღდგენისა და ეკოლოგიური კეთილდღეობისაკენ;

**წყლების მავნე ზემოქმედებები** – განსაზღვრულ ტერიტორიებზე ან ობიექტებზე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მავნე (წყალდიდობა, დატბორვა, წყალმოვარდნა) გავლენები;

## ბ

**ხარისხი ატმოსფეროს** – ატმოსფეროს თვისებათა ერთობლიობა, რომელთა მიერ განსაზღვრულია მისი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ადამიანზე, ასევე მასალებზე, კონსტრუქციებსა მთლიანად გარემოზე ზემოქმედების ხარისხი;

**ხარისხი გარემოს** – ბუნებრივი და ანთროპოგენური მახასიათებლების ერთობლიობა, რომელთა მიერ განსაზღვრულია გარემოს მდგომარეობა;

**ხარისხი წყლის** – წყლების შედგენილობისა და თვისებების მახასიათებლები, რომლებიც მათი სარგებლობისას ვარგისიანობის კონკრეტულ ფორმებს განსაზღვრავენ;

**ხარისხი ჰაერის** – ატმოსფერული ჰაერის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების ერთიანობა, რომელიც ჰაერის

ხარის-ხის ჰიგიენურ და ეკოლოგიურ ნორმატივებზეა ასახული;

### ს

**ჰერბიციდები** - ქიმიური პრეპარატები, რომელთა გამოყენება მიმდინარეობს სარეველა მცენარეთა პოპულაციის სიმკვრივის კონტროლის მიზნით. ჰერბიციდების რიცხვი ამჟამად 100-ზე მეტია. თუმცა, მიმდინარეობს მათი რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდა, რაც ხელს უწყობს მათ მაღალ ეფექტიურობასა და, შესაბამისად დოზების შემცირებას. ასეთი ჰერბიციდები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნაკლებად მავნე ზემოქმედებას ახდენენ;

**ჰიგიენურად დასაშვები გადაყრები** – გარემოში მავნე ნივთიერებების იმ მოცულობითა და კონცენტრაციით შემოსვლა, როცა ის ადამიანთა ნორმალური საქმიანობისა (სამუშაო პირობების) და გარემოცვის მდგომარეობის ნეგატიურ ცვლილებებს არ იწვევს;

**ჰიგიენური ნორმატივი გარემოს ხარისხის** – ადამიანთა საზოგადოების უსაფრთხოების მიღწევის მიზნით საცხოვრისი გარემოს ამა თუ იმ ფაქტორის მეცნიერულად დადგენილი დასაშვები მაქსიმალური ან მინიმალური, ასევე რაოდენობრივი ან თვისებრივი მახასიათებელი უნარი;

**ჰიგიენური ნორმატივი ჰაერის ხარისხის** – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კრიტერიუმი, რომელიც მიუთითებს ჰაერში მავნე (გამაბინძურებელი) ნივთიერებების მაქსიმალურად ზღვრული დასაშვები შემადგენლობაზე, როცა ეს რაოდენობა ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე გავლენას ვერ ახდენს;

**ჰიდრომელორაცია** - ღონისძიებათა და ნაგებობათა ერთობლიობა, როცა ნიადაგების წყლის რეჟიმის რეგულირების

შედეგად უზრუნველყოფილია ბუნებრივი პირობების შეცვლა და სასოფლო-სამეურნეო მიწების წარმატებული გამოყენება;

**ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური** – ფიზიკური და იური-დიული პირების, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონალური გაერთიანების სისტემა, რომელიც განახორციელებს: ჰიდრომეტეოროლოგიური და მისი მოსაზღვრე (მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია, ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, ჰელიოგეოფიზიკა) დარგების ელემენტების პარამეტრების გაზომვებს; გარემოს მონიტორინგს; ინფორმაციას გარემომცველი სივრცის გაბინძურების, მათ შორის იონოსფეროსა და დედამიწისპირა კოსმოსური სივრცის კომპონენტების მაჩვენებლების შესახებ; გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და დაინტერესებულ ორგანიზაციებისადმი მათ გადაცემას; პროგნოზირებას ბუნების სახიფათო მოვლენების შესახებ; მოსახლეობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის სტიქიურ-დამანგრეველი პროცესების გამოვლინების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება და ა.შ.

## ლიტერატურა

1. Географический энциклопедический словарь. Понятия и термины. М., Сов. энциклопедия. 1988
2. Краткая географическая энциклопедия. т.1-4, М., Сов. энциклопедия, 1960-1966.
3. Краткий словарь геоэкологических терминов и понятий.
4. Маруашвили Л.И. Палеогеографический словарь. М., 1985.
5. Морская геоморфология. Терминологический справочник. Береговая зона: процессы, понятия, определения. М., Мир, 1991.
6. Мониторинг окружающей среды. <http://www.ecosystema.ru/07/referats/monitoring.htm>
7. Мониторинг окружающей природной среды. [http://www.glossary.ru/cgi-bin/gl\\_sch2.cgi?](http://www.glossary.ru/cgi-bin/gl_sch2.cgi?)
8. Мониторинг Окружающей Природной Среды, Ее загрязнения. <http://enc-dic.com/ecology/Monitoring-Okruzhajuschej-Prirodnoj-Sredy-Ee-Zagrzaznenija-593.html>
9. Реймерс Н.Ф. Охрана природы и окружающей человека среды. Словарь-справочник. М., 1992.
10. Снакин В.В. Экология и охрана природы. Словарь-справочник. Изд. Академия, 2000
11. Снакин В.В. Природные ресурсы и окружающая среда. Словарь-справочник. М.: НИА-Природа, РЭФИА, 2001
12. Сайт «Мосэкомониторинг» <http://www.mosecom.ru>
13. Экологический мониторинг (мониторинг окружающей среды). <http://ecology-portal.ru/publ/14-1-0-514>
14. Экологический словарь. <http://www.ecoekspert.ru/ecodict.html>
15. Экологический энциклопедический словарь. – М.: Издательский дом Ноосфера, 1999. – 930 с.
16. Экологический словарь. <http://www.ecoindustry.ru/dictionaryhtml>